

როგორ ცხოვრობენ ჩვენი მიცვალებულები და როგორ ვიცხოვრებთ ჩვენ...

ჩვენ სიხარულით
ვეგებებით ახალშობილს,
მიუხედავად იმისა,
რომ მშობიარე იტანჯება,
ახალშობილი კი ტირის.
ასევე ეგებებიან
გარდაცვლილებს
ზეცის მაცხოვრებლები,
მიუხედავად იმისა,
რომ ჩვენ ტირილით
ვაცილებთ მათ

სარჩევი

მაშ, დაშვიდდით, ძმანო და დანო, სიკვდილი არ არის ადამიანის ყოფის განადგურება, შეწყვეტა	5
„ჰოი, რა მწარეა დღე სიკვდილისა და რა საშინელი და საზარელია ხილვა უცნობ და უგვან პირთა“	19
ღმერთს სომ მიცვალებულები არა ჰყავს - მისთვის ყველა ცოცხალია	23
რა მიმართება უნდა გვქონდეს სიკვდილთან საუბარი ბერ პაისი ათინელთან	31
სტაფრო ი-ს სიკვდილის შიშის შესახებ წმ. ნიკოლოზ სერბი (ველიმირევიჩი)	38
„არწმუნე!“	40
„არის კიდევ სხვა ცხოვრებაც!“	41
„მამამ მე უკვე გარდაცვლილმა დამლოცა“	42
სხვა ცხოვრება დადგა მისთვის და სხვაგვარი	

დახმარება სჭირდება მას
ეპისკოპოსი იოანე (მაქსიმოვიჩი) 43

„მკუდარებოდნენ, დამერწმუნებინა მათი ნათესავები“ 51

გესმის? შენს მიცვალებულსაც სიცოცხლე და
სიკვდილი მხოლოდ ქრისტესგან აქვს ნაჩუქარი 56

„დაგვოტოვეთ მღვდელი,
არ განკვეთოთ იგი სამწყსოდან!“ 68

ტუხადს ბორკილები დასცვივდა 69

„ილოცე ღვთისადმი, მე ხომ ცოცხალი ვარ!“ 70

„ოქვენი ლოცვა ჩვენ გვეხმარება, ჩვენი ლოცვა კი - თქვენ“ 71

ილოცე მიცვალებულთათვის, რათა
ამათაც ნეტარებაში მყოფებმა ილოცონ შენთვის! 74

„ახლა მე თავისუფალი ვარ!“ 76

სანუგეშო წერილი ათონის მთიდან 78

ნუ იგლოვებთ, როგორც ისინი, ვისაც ნუგეში არა აქვს!
საუბარი ბერ პაისი ათინელთან 82

ქალბატონს, რომელიც კითხულობს, თუ რატომ
ისჯებიან შვილები მშობელთა ცოდვების გამო
წმ. ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) 88

დედას, რომელმაც შვილის საფლავი ვერ იპოვა
წმ. ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) 89

ქვრივს, რომელიც ბევრს დარდობს და წუხს
წმ. ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) 90

„ადამიანის დარდი მიცვალებულთათვის?“ - სრულიად ბუნებრივია,
რადგან სიცოცხლე დემონისგანაა სიკვდილი კი უშაკისგან
ღირსი თესტინე პოპოვიჩი 92

უფალო, გარდაცვლილთაგან მიმაგალი ვ'ზა აკურთხე!
წმ. ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) 94

საშინელ სამსჯავრომდე ჯერ კიდევ არის დრო 96

ამ უსაყვარლეს სულს შენ გიძღვნი უფალო!
წმ. ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) 97

რედაქტორი და შემდგენელი:	მარიამ ყიფიანი
მთარგმნელები:	ნინო ახალაძე ნანა ბაღათურია ქეთევან გოგუა ნინო ლეჟავა თამარ სელიმაშვილი

ორაკლი კამკამიძე
ნინო რუხაძე
გულისა ჩხაიძე
მარიამ ყოფიანი

კორექტორი: მარინე მასურაძე

„სიკვდილი“ - სიტყვისა და ცნების წარმოშობა

სიტყვა და ცნება - „სიკვდილი“ პირველად სამთხვეულო თაგად ღმერთის ბაგეთაგან გაისმა, რომელმაც ჩვენს წინაპრებს უთხრა, როგორც კი შექამ, მოკვდებიო (დაბ. 2. 17).

ჩვენთვის უცნობია, რამდენ ხანს ცხოვრობდნენ ადამი და ევა სამთხვეულო. მტრის ბოროტებამ არ დააყოვნა. ყველა ღვთისმეტყველო თანახმაა, რომ პირველი ადამიანი, უმაღლესი ანგელოზებისა და თაგად უფლის მსგავსი, ღვთიური ზეშთაგონებისა და ცოდნისათვის ყველა სფეროში კურთხეული, უცოდველი და უმაღლესი ზნეობის არსებობა. დღევანდელი ზნეობრივი დაცემა, ზნეობრივი პესიმისტური პროგრესი ან რეგრესი წინაპართა ცოდვის შედეგია.

ჩვენი წინაპრების უდიდესი სრულყოფილების მაჩვენებელია უკვე ის, რომ ჩვენგან განსხვავებით, მათ არ ჰქონიათ არანაირი მცნებები, არანაირი ზნეობრივი კანონები, არამედ - მხოლოდ უიოლესი მცნება. ალბათ ადამიანის სულში უკვე იყო სულის ყველა მთაგარი კანონი; სხვაგვარად შეუძლებელია; თუ ადამიანი დასმულია ყოველივე ხილულის მეფედ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი წარმოადგენდა ღვთიური ქმნილების გვირგვინს.

სულს არ უმიძიდა სხეული და სულიწმიდის რჩეული ჭურჭლის, პავლე მოციქულის, მსგავსად ჩვენი წინაპარი არ ეკვდრებოდა ღმერთს: „ვინ დამისხნის სიკვდილის სხეულისაგან?“ მაგრამ ეს ზნეობრივი დაცემა, რომელზეც პავლე მოციქული წუნს, ადამის დაცემისგან განვითარდა. ადამის დაცემისთან ერთად მოვიდა მიწაზე სიკვდილი, როგორც სულის, ისე - სხეულის. „ერთისა მის კაცისათვის ცოდვა“ „შემოვიდა სოფლად და ცოდვისა ძალით - სიკუდელი“ (რომ. 5. 12) - ადასტურებს იგივე პავლე მოციქული. ასე გახდა სიკვდილი ჩვენი წინაპრებისა და, მამასადამე, მთელი კაცობრიობის მონაპოვარი. „სიკვდილი“ - ვინ არ იცის ეს სიტყვა და ცნება? იგი ცნობილია გელურისთვისაც და განათლებულისთვისაც; კაცობრიობამ ორი ჭეშმარიტება იცის: პირველი, რომ მოკვდება და მეორე - არ იცის - როდის.

სიკვდილის საიდუმლოს მოქმედება ერთნაირია

უცოდველისთვისა და ცოდვიანისთვის

სულის სხეულთან შერწყმა დედის მუცელში საიდუმლოებითაა მოსილი და მიუწვდომელია ადამიანის ტვინისთვის. ზუსტად ასეთივე საიდუმლოა სულის სხეულისგან განშორება.

ღმერთისგან მცნებადაა დადებული, რომ ყოველი ადამიანი ყოველ წუნს მზად იყოს სიკვდილისათვის. იგი, როგორც კაცობრიობის საერთო ხვედრი, როგორც ტანჯვა-წამება ცოდვებისათვის, როგორც სასჯელი, თანაბრად საზარელია წმიდანისთვისაც და ცოდვილისთვისაც. სიკვდილის საიდუმლოს მოქმედება ერთნაირია უცოდველისთვისა და ცოდვიანისთვის! ბრძანებს რა, ვიყოთ მზად სიკვდილისათვის, სულიწმიდა გვიჩვენებს იმ გარემოებებს, რომლებშიც ხორციელდება გადასვლა იქვეყნად უბიწოსათვის და ცოდვილისათვის. პირველის გარდაცვალება მშვენიერია, მეორისა კი - უღმობელი. ამ სიტყვების ჭეშმარიტება გამჟღავნდა ზოგიერთი წმიდანისთვის ჩვენს შესაგონებლად. მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებით - „სიკვდილი არის სულის სხეულისაგან განშორება“, რის შემდეგაც სული მარტო რჩება თავის თავთან, სხეული კი მიბარდება მიწას და იქ იშლება თავის შემადგენელ ნაწილებად, ელემენტებად. ადამიანის უკანასკნელი ხვედრი მიწაზე

სიკვდილია, რომელსაც წმ. წერილი ასე ადასტურებს: „მოიქცეოდეს მტკვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელიც შობაბერა“ (ეკლეს. XII. 7).

დიდება შენ, ღმერთო,

რომელიც ყველაფერს ჩვენს სასარგებლოდ აკეთებ

სიკვდილის კანონი საერთოა მთელი კაცობრიობისათვის. გარდაცვალება გარდაუვალია თითოეულისა და ყველასათვის.

სიკვდილი მაშინ მოდის ადამიანთან, როდესაც იგი სიცოცხლის იმ ზღვარს მიაღწევს, რომელიც სამართლიანი ღვთიური სასამართლოს მიერ მისთვის განკუთვნილი საქმის აღსასრულებლად წინასწარ აქვს განსაზღვრული - ზღვარს, რომელშიც გათვალისწინებულია ყოველივე, რაც სასარგებლოა ადამიანისთვის; მაშასადამე, სიკვდილი სასარგებლოა მისთვის და ჩვენ მცნებად გვაქვს დადებული, ყველაფრისთვის მადლობა შევსწიროთ ღმერთს; მაშასადამე, დიდება შენ, ღმერთო, რომელიც ყველაფერს ჩვენს სასარგებლოდ აკეთებ... კურთხეულ იყოს შენი სახელი უკუნიითი უკუნისამდე. წმ. ანტონი დიდმა, რომელსაც ხელეწიფებოდა ღვთიური ბედისწერის სიდრემების წვდომა, ერთხელ ღმერთს ასეთი ლოცვით მიმართა: „ღმერთო! რატომ კვდებიან ერთნი ახალგაზრდობაში, სხვები კი ღრმა მოხუცებულობამდე ცხოვრობენ?“ და უპასუხა მას უფაღმა: „ანტონ, შენ შენს თავს ჩასწვდი, თორემ სამსჯავრო ღვთისაა და არ გარეგებს მისი გამოცდა“ (*„უტყუარი გადმოცემები წმ. მამათა შესახებ“*).

ღმერთისგან სულს მისი სამარადისო სიცოცხლის სამი მდგომარეობის გავლა აქვს განწესებული - დედის მუცელში, მიწაზე და იქვეყნად. მაშ, რატომღა გვაცემთ თავზარი, როდესაც ყველაფერი ღმრთის ნებითაა, ჩვენ კი ღმრთისანი ვართ? ჩვენ არ მოვმზადებულვართ პირველი დაბადებისთვის მიწაზე და არაფერი გვახსოვს ჩვენი პირველი მდგომარეობის შესახებ; მაშ, ახლა მოვემზადდით მეთრე დაბადებისთვის იქვეყნიურ და სამარადისო ცხოვრებაში. ჩვენ ხელთ გვაქვს სახელმძღვანელოები, ვიცით როგორ მოვემზადდით და რა იქნება საიქიოში.

აი, რას წერს იოანე თქობირი სიკვდილის შესახებ: „სიკვდილი საზარელი და საშინელია მათთვის, ვინც არ იცის უზენაესი სიბრძნე, იქვეყნიური ცხოვრება, ვინც სიკვდილს ყოფის გამანადგურებლად მიიჩნევს. ცხადია, ასეთებისთვის სიკვდილი საზარელია, მარტო მისი სახელია მომაკვდინებელი. ჩვენ კი, ღვთის მადლით, მისი უცნობი და უხილავი სიბრძნით თვალახელილნი და სიკვდილის გარდაცვალებად ამღიარებელნი, არ უნდა ვძრწოდეთ, არამედ გვიხაროდეს და გულარხინად ვიყოთ, რამეთუ ვტოვებთ ამ წარმაგალ ცხოვრებას და გადავდივართ სხვა ცხოვრებაში, დაუსრულებელსა და გაცილებით უკეთესში“.

მხოლოდ უგუნურნი ხედავენ სიკვდილში დასასრულს

ღვთის სიტყვა მოწმობს, რომ ღმერთს სიკვდილი არ შეუქმნია: „რადგან ადამიანი უნრწნელად შექმნა და თავისი მარადიულობის ხატად დაბადა იგი“ (სიბრძნე სოლომონისა, 2. 23), მაგრამ „ეშმაკის მოშურნეობით სამყაროში სიკვდილი შემოვიდა“ (იქვე, 24) და, მაშასადამე - ცოდვაც.

ევა რომ არ შესულიყო ეშმაკთან კავშირში, არ მონობლიყო მისი ცდუნებით, არ გადაუდგებოდა ღმერთს და ცოდვაც არ იქნებოდა. თვითნებობა იყო სულის სიკვდილის მიზეზი. „რადგან სიკვდილი ღმერთს არ შეუქმნია და არც ცოცხალთა დაღუპვით ხართ, რადგან არსებობისთვის შექმნა ყოველივე და მაცოცხლებელია სამყაროს ყოველი ქმნილებისა, რადგან უკვდავია სამართლიანობა, უღვთოებმა ხელებითაც და სიტყვებითაც მოუხმეს სიკვდილს და, მასთან დამოყვრებულნი, დაიშრიტნენ, აღთქმა დაუდევს მას, რადგან ღირსნი არიან მის კერძად იქცნენ“

(სიბრძნე სოლომონისა, 1, 13, 14, 15, 16). სოლომონის ეს სიტყვები, რომლებიც განსაზღვრავენ სიკვდილის წარმოშობას დედამიწაზე და მის მნიშვნელობას, იმაგდროულად გვეგონებინა ადამიანის უკვდავების დასტურად, რამეთუ მხოლოდ უგუნური ხელავენ სიკვდილში დასასრულს, ყოფის შეწყვეტას (იქვე, III. 2-4). მაშასადამე, ადამიანი დაჯილდოებულია უკვდავებით.

ღმერთთან სულის ურთიერთობის შეწყვეტამ წარმოშვა მისი სიკვდილი. ადამის სულის სიკვდილს 930 წლის შემდეგ ბოლოსდაბოლოს მოჰყვა მისი სხეულის სიკვდილიც.

სიკვდილი ცოდვის შედეგია და იგი ადამიანის

ბუნებისათვის არაბუნებრივია

წმიდა წერილიდან (სიბრძნე სოლომონისა 1, 13) ნათელია, რომ ადამიანის ბუნებისათვის სიკვდილი არაბუნებრივია; მაშასადამე, ადამიანისთვის ბუნებრივია სიცოცხლე. ასევე ბუნებრივია მარადიული სიცოცხლის სიყვარული. მაგრამ დაცემასთან ერთად იმ დროიდან, როდესაც ადამიანმა თავისი სიყვარული აკრძალულისკენ წარმართა, მარადიულობის, ბუნებრივის სიყვარული შეიცვალა ნივთიერი, დროებითი სიყვარულით. სულმა თავის თავს უღალატა. იგი ავადმყოფურ მდგომარეობაშია და უყვარს ის, ერთგულებს იმას, რაც მის ბუნებას არ შეესაბამება.

ღმერთს არ შეუქმნია ადამიანი იმისათვის, რომ მას თავისი შემოქმედისათვის მისი წმიდა ნების დარღვევით შეურაცხყოფა მიეყენებინა. ღვთის სურვილი ადამიანის მუდმივი ნეტარებაა, რასაც თავად ადამიანის ბუნება მოწმობს; იგი მუდმივად ნატრობს და ისწრაფვის მხოლოდ სასიამოვნოსაკენ ცხოვრებაში, ხოლო ყოველივე უსიამოს, სიკვდილს ვერ იტანს და მუდმივად გაურბის. ამგვარად, ნეტარი სამართლის ცხოვრება არის ადამიანის დანიშნულება, ცოდვა კი - არაბუნებრივი მოვლენა. სიკვდილი ცოდვის შედეგია და იგი ადამიანის არსებისათვის არაბუნებრივია; ადამიანი სულით და ხორციით უკვდავებისთვისაა შექმნილი.

დასჯის მიზანი არის ბოროტების აღკვეთა; სასიკეთოა ადამიანისათვის სიკვდილიც. ჩვენ ეკლესია გვასწავლის, რომ ადამიანის დაცემასთან ერთად სიკვდილი აუცილებელი ვანდა, როგორც ბოროტების შემდგომი გაფრცხლების შემაჩერებელი საშუალება. ადამი დაცემის შემდგომაც რომ უკვდავ სხეულად დარჩენილიყო, ბოროტებაც უკვდავი იქნებოდა და ადამიანს აღარ ექნებოდა გადარჩენის იმედი. იმისათვის, რომ ადამიანის უკვდავებასთან ერთად ბოროტებაც არ გამხდარიყო უკვდავი, დაცემისთანავე ადამს აკრძალა სიცოცხლის ხის ნაყოფის გასინჯვა (დაბადება, 3, 22,23). ასევე ახლაც, როდესაც სიკვდილის სამეფო განადგურებულია ქრისტეს ჯვარცმით, სიკვდილით და მისი მორწმუნენი გამოსყიდული და გამართლებული არიან პირველი ცოდვისაგან, სიკვდილი აუცილებელია ადამიანის სრული განწმენდისა და მისი ბუნებიდან ბოროტების სრული აღმოფხვრისათვის. რადგანაც ბოროტების ფესვი ხორციელ ჩასახვაშია, რომელიც სხეულს სულთან აერთებს, ამიტომ მისი მოსპობა სხვა გზით შეუძლებელია, თუ არა ამ კავშირის გაწყვეტით. ამიტომაც, როგორც არ უნდა განიწმინდოს ადამიანი მიწაზე, როგორც არ უნდა დაისვენოს სიწმინდეში, ბოლომდე მაინც ვერ აღმოფხვრის საკუთარ თავში ბოროტების ფესვს და ვერ მიაღწევს იმ მდგომარეობას, რომელშიც არ იქნება დამძიმებული სხეულით და არ ინაღვლებს წმ. პავლე მოციქულთან ერთად: „ვაიმე ბედერულს! ვინ დამიხსნის სიკვდილის ამ სხეულისაგან?“ (რომ. 7).

*რომელიც ქრისტიანებისთვის იგი მიძინებდა და
მშვიდ ძილად აქცია*

სულისა და სხეულისათვის არასასურველ გარემოებათა დამთხვევა, რომელიც ქვასავით აწვება სულს, იწვევს მის მწუნარებას, შეცბუნებასა და ხშირად - ზეცოური სამეფოს დაკარგვით ემუქრება. ასეთ საგაღალლო მოვლენათა დამთხვევას ცდუნება ჰქვია. მაშასადამე, ცდუნება ადამიანისათვის მწუნარებაა და არა სიხარული. სიცოცხლემ სიღამაზე კაცობრიობისათვის წინაპრების დაცემის წუთიდან დაკარგა, როდესაც ადამიანს საარსებო საშუალებათა მოპოვება, თავდაუზოგავი შრომით განესაზღვრა. განუწყვეტელი შრომა, ავადმყოფობა, სულიერი ჭმუნვა, შეცბუნება - აი, რამ შეაგსო ჩვენი ცხოვრება მიწაზე. მხოლოდ წმიდანები ხართენ მწუნარებაში. მაშასადამე, არ არსებობს არცერთი ადამიანი, რომელიც თავისუფალია ცდუნებისაგან. მრავალჭირნახული, უმწიკვლო, წმიდა იობი ამბობდა: განა, თავად სიცოცხლე არ არის ცდუნება?

არ არსებობს არც ერთი ადამიანი, რომელიც სიცოცხლის ბოლოს არ იტანჯებოდეს. რაოდენ ძვირფასიც უნდა იყოს ადამიანისათვის სიცოცხლე, მის ბოლოს მას მაინც სიკვდილის წადილი იპყრობს.

მიწაზე მყოფ ადამიანს ცდუნება და შეცბუნება სიკვდილამდე არ ტოვებს. მხოლოდ სიკვდილი ათავისუფლებს მას ცდუნებისაგან; ამიტომაც, ხომ არ არის გარდაცვალება მადლი და წყალობა ადამიანისათვის, რისთვისაც იგი გულწრფელად მადლიერი უნდა იყოს მისი?

მთელი ჩვენი ცხოვრება გადის ცდუნებებში, რომლებიც აუცილებელია ჩვენი ხსნისათვის. განა რა აკლდა მეფესა და წმიდანს დავითს? მაგრამ მან მაინც გამოთქვა საკაცობრიო ჭეშმარიტება, რომ სიბერე არის შრომა და ავადმყოფობა. იქნებ, სწორედ ამ მიზეზით ევედრებოდა იგი ასე ხშირად ღმერთს: „*გაი, რომ ჩემი მიწაზე ყოფნა გრძელდება*“, ანუ ჯერ კიდევ არ მოდის სიკვდილი. სიკვდილი უბედურებათა დასასრულს გულისხმობს, ამიტომ მას სიხარულითა და მორჩილებით უნდა შევხვდეთ, როგორც უკვე დათრგუნულს ჩვენი მხსნელისა და შუამდგომლის, უფალი იესო ქრისტეს სიკვდილით, რომელმაც ქრისტიანებისათვის იგი მიძინებდა, მშვიდ ძილად აქცია. სიკვდილზე წარმოდგენა შეიცვალა. იგი არის გარდაცვალება, გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე, ხილული სამყაროდან უხილავი სამყაროს მდგომარეობაში, საიქიოში, სულიერში, ქრისტიანთათვის შეუდარებლად უკეთესში. სწორედ ამიტომ ოქრობირი, რომელიც სიკვდილში განცხობის დასაწყისს ხედავდა, აღფრთოვანებით ამბობდა: „*სიკვდილო, სად არის შენი საწერტელი?*“

თითოეული და ყველა მორწმუნის სიკვდილი უფალ იესოს სიკვდილშია, რომელმაც თავისი აღდგომით ნეტარი, სამარადჟამო სიცოცხლე გვაჩუქა. ჩვენ გვწამს, რომ მასში გარდაცვლილი ცოცხლები არიან, თუკი იყვნენ ქრისტიანული ეკლესიის წევრები და არა ღვარძლები.

სიკვდილი თავისთავად წარმოადგენს ღვთიური რისხვის ქმედებას, გაზავებულს მართლმსაჯულებითა და სიყვარულით. ამიტომ, წმიდანებთან მიმართებაში სიკვდილი არის ღვთიური სიყვარულის ზეცოური ნიშანი, რომლითაც მათი სულები ტოვებენ სეგდიან, ბოროტებით სავსე მიწიერ ცხოვრებას და გადადიან სიყვარულის, სიცოცხლისა და განცხრომის სამეფოში, სადაც ასე ხშირად მიიღტვოდა მათი სული. სიკვდილი მათთვის, ღვთის სიტყვით - „*მშვენეირია*“, როგორც სასურველი განდგომა მიწიერისაგან, დროებითისაგან, ამოკებისაგან და ნაცვლად ამისა, სამუდამოდ ყოფნა ქრისტესთან: „*გული მეტყვის, განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად უფროის და უძობეს ფრიად*“ (ფილიპ. I. 23), ყოფნა იქ, სადაც შემოქმედმა ადამიანს განესაზღვრა თავისი დანიშნულებით.

ცოდვილთან მიმართებაში სიკვდილი „უღმობელია“, როგორც ღვთიური რისხვის ქმედება, გაზაფხული მართლმსაჯულებით; სამუდამო მოწყვეტა იმისგან, რაც ასე ძვირფასი იყო მიწაზე და აღარ არის საიქიოში. როგორც ხალხურ გამონათქვამშია: - „სარეველა - შორს ნათესისაგან“, ასევე ცოდვებმოუნანიებელ ცოდვილთა უღმობელი სიკვდილი სასიკეთოა სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისა და ოჯახისათვის.

„როგორ ვიამბო ამ ხორციელი ტკივილის,

სიძიმისა და სივიწროვის შესახებ, რომელსაც განიცდიან მომაკვდავნი...“

სული, რომელიც ღვთის ნებითაა სხეულთან შეერთებული და მასთან ერთად ადამიანს შეადგენს, კვლავ ღვთის ნებით ჩამოშორდება მას. გამოცალკევებული სული მისთვის ერთგვაროვანი არსებების სამეფოში, ანგელოზების სულიერ სამეფოში გადადის; მის მიერ შეთვისებული კეთილი ან ბოროტი თვისებების გამო უერთდება ან კეთილ ანგელოზებს სამოთხეში, ან ბოროტ, დაცემულ ანგელოზებს - ჯოჯოხეთში. ეს ქეშმარიტება თავად უფალმა დაგვანანა იგავში ლაზარესა და მდიდრის შესახებ, რითაც გვასწავლა, რომ სხეულთან განშორებული სული იმავე დღესვე სვდება ან სამოთხეში, ან ჯოჯოხეთში. „დღესვე ჩემთან ერთად აქნები სამოთხეში“, - უთხრა იესო ქრისტემ კეთილგონიერ ავაზაკს.

ამგვარად, თითოეული სული სხეულისაგან ჩამოშორებისთანავე მონგდება სამოთხეში ან ჯოჯოხეთში. როდის? „დღეს“, - თქვა უფალმა იესო ქრისტემ. როგორ გავფოთ სიტყვა „დღეს“? როგორ შევეუთანნოთ იგი სწავლებას საზვერეების შესახებ, ეკლესიის სწავლებას მე-3, მე-9 და მე-40 დღეების შესახებ?

მიწაზე არის დღეები, ღამეები, წლები, საიქიოში კი - მარადისობა, ან ბნელი ან ნათელი. იმისათვის, რომ სულმა საიქიოში ნათელ ან ბნელ მდგომარეობას მიაღწიოს, დროის გარკვეული სივრცეა საჭირო, რომელიც მიწიერ ორმოც დღეს შეესაბამება. განსვავებული მდგომარეობები, რომლებშიც იმყოფება სული სხეულთან განშორების შემდეგ, შეესაბამება გარკვეულ დღეებს მიწაზე. რადგან ცნობილია სულის საიქიო მდგომარეობა სიკვდილიდან პირველი სამი დღის, შემდეგი ექვსი დღის და ასევე შემდეგი ოცდაათი დღის განმავლობაში; ეკლესია და გარდაცვლილის ახლობლები ამ დღეებში ღმრთის შეწყალებისათვის განსაკუთრებულ საშუალებებს მიმართავენ.

ამგვარად, სიტყვა „დღეს“ საიქიოში აღნიშნავს მარადიულობას. მე-3, მე-9 და მე-40 დღეები მიწიერი დღეებია, საიქიოში კი არის მხოლოდ „დღეს“ და სხვა დღე არ არსებობს.

სიკვდილის საიდუმლოს აქვს კარი, რომლითაც სული სხეულთან განშორების შემდეგ მარადისობაში აბიჯებს.

რა ემართება ამ დროს სხეულს, ჩვენ ვხედავთ და ვიცით, ხოლო მის უჩინარ სულს ვერ ვხედავთ, მაგრამ უტყუარად ვიცით წმ. ეკლესიის სწავლებიდან.

თუ რა ხდება სულის გარშემო მისი სხეულიდან გამოსვლისას, წმ. მამები მოგვითხრობენ: სულს წარუდგებიან კეთილი და ბოროტი ანგელოზები. ამ უკანასკნელთა დანახვა უზომოდ აშფოთებს და არცხვენს სულს; კეთილი ანგელოზების დანახვა და მფარველობისას კი შვებასა და ნუგეშს პოულობს. ამ დროს ადამიანს უდიდეს დამხმარედ მისი კეთილი საქმეები და სუფთა სინდისი ეგვლინება. თავმდაბლობა, მორჩილება, კეთილი საქმეები და მოთმინება ესმარებიან სულს და იგი ანგელოზების თანხლებით დიდი სიხარულით მაცხოვრისაკენ მიდის. ვნებიანი, ჟინიანი, ცოდვის მოყვარული სული კი ბოროტ სულებს ჯოჯოხეთში მიჰყავთ სატანჯველად (*წმ. თეოდორა სტუდიელი*).

ერთხელ წმ. მაკარი ალექსანდრიელს (იგი წინასწარმეტყველ მაკარი დიდი ეგვიპტელის თანამედროვე იყო) ესიზმრა, თუ როგორი შეშინებული და დამფრთხალი იყო გარდაცვლილის სული საზარელი და მრისხანე ანგელოზების დასწრებით. მას კარგად ესმოდა და გრძნობდა გარშემომყოფი

ადამიანების ცრემლებსა და ქვითინს, მაგრამ არ ძალუძდა ხმის ამოღება, არც ერთი სიტყვის თქმა. თუ როგორ აცბუნებდა გასასვლელი გრძელი გზა, ცხოვრების ახალი წესი და სხეულთან განშორება (*წმ. მაკარი ალექსანდრიელი*).

თეოდორა სტუდიელისა და მაკარი ალექსანდრიელის გადმოცემები შეესებულა წმ. კირილე ალექსანდრიელის მონაცემებით: „ო, რა შიშა და თრთოლვაში იმყოფება სული საბოლოო განაჩენის გამოტანამდე! ღვთიური ძალები ავი სულების წინ დგანან და სულის კეთილ ზრახვებს, სიტყვებსა და საქმეებს წარმოაჩენენ, სული კი, მისთვის მოდავე ანგელოზებსა და დემონებს შორის შიშითა და ძრწოლით ელოდება ან გამართლებასა და გათავისუფლებას, ან მსჯავრის დადებასა და დაღუპვას“.

წინასწარმეტყველი გასილის მოწაფე წმ. გრიგოლი გამოცხადებისას წმ. თეოდორას მისი სიკვდილის შემდგომი გარემოებების შესახებ შეეკითხა. წმ. თეოდორამ უამბო: „როგორ გაამბო ამ ხორციელი ტკივილის, სიმძიმისა და სივიწროვის შესახებ, რომელთაც განიცდიან მომაკვდავნი! სხეულთან განშორებისას სულის მდგომარეობა მსგავსაა იმისა, რომ შიშველი ჩავარდუ ცეცხლში, დაიწვა და ფერფლად იქცე. როდესაც დადგა ჩემი გარდაცვალების ჟამი, გარს შემომქვიფინენ ავი სულები. ზოგი მათგანი მხეცივით ღმუროდა, სხვები ძაღლებივით ყუფდნენ და მგლებივით ყმუოდნენ, მიყურებდნენ, მემუქრებოდნენ, კბილების ღრჭიალით მოიწვედნენ ჩემსკენ. შიშისაგან ძალა გამომელოა და უეცრად ჩემი საწოლის მარჯვენა მხარეს ორი ანგელოზი დავიანხე, რომელთა ყოფნამ დამაწყნარა. მაშინ დემონებმა ჩემი სარეცლიდან უკან დაიხიეს. ერთ-ერთმა ანგელოზმა რისხვით ჰკითხა მათ: რატომ ყოველთვის ჩვენზე ადრე მიდინართ და აშინებთ სულს, რომელიც სხეულს სცილდება? მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან ნუ გაინარებთ. ამ სულში ღვთიური გულმომწყალებაა და თქვენ არ გეკუთვნით მისი წილი. ავი სულები შეშფოთდნენ და დაიწყეს ჩემს მიერ ყრმობაში ჩადენილი ბოროტი საქმეების ჩვენება, თან გაჰკიოდნენ: „აბა, ეს ვისი ცოდვებია, განა მან არ ჩაიდინა ესა და ეს?“ ბოლოს გამოჩნდა სიკვდილი, შემზარავი შესახედაობის, ადამიანის მსგავსი, მაგრამ სხეულის გარეშე, მხოლოდ შიშველი ადამიანური ძვლებისაგან შემდგარი. თან მოიტანა სხვადასხვა იარაღი ტანჯვა-წამებისათვის: ისრები, მახვილები, ღახვრები, ნამგლები, ორთითები, ცულები და სხვა. ჩემი მორჩილი სული შიშისაგან ათრთოლდა. წმიდა ანგელოზებმა უთხრეს სიკვდილს: „ნუ აყოვნებ, გაათავისუფლე ეს სული ხორციელი კავშირებისაგან, სწრაფად და წყნარად გაათავისუფლე, იგი დიდად არ არის დამძიმებული ცოდვებისაგან“. სიკვდილი მომიანლოვდა, აიღო პატარა ცული და თავდაპირველად ფეხები მომკვეთა, შემდეგ - ხელები; სხვა იარაღების დახმარებით ძალ-ღონე გამოძაცალა სხეულის ყველა ნაწილში და ისინი ერთიმეორისაგან გააცალკევა. მე დაგვარვე ხელები, ფეხები, მთელი სხეული გამიშეშდა და უკვე აღარ შემიძლო მოძრაობა. ამის შემდეგ მომკვეთა თავი და მე ვეღარ შევძელი მისი მოძრაობაში მოყვანა, რადგან ჩემთვის უცხო გამხდარიყო. სიკვდილმა ფილაში გახსნა რაღაც ნარევი, მომიტანა ბაგეებთან და დამალევინა. ეს სასმელი იმდენად მწარე იყო, რომ ჩემმა სულმა ვერ აიტანა, შეძრწუნდა, სხეულს ძალით მოსწყდა და ამოვიდა. ანგელოზებმა იგი ხელში აიყვანეს, უკან მოვიხედე და დავიანხე ჩემი სხეული, რომელიც უსულოდ, უგრძნობლად, უმოძრაოდ იწვა. როგორც განდილ ტანისამოსს, ისე ვუყურებდი ჩემს სხეულს და მიკვირდა. ანგელოზებს მე ხელში ვეჭირე, დემონები კი მოგვიანლოვდნენ და ჩემი ცოდვების ჩვენება დაიწყეს. საბასუსოდ ანგელოზებმა ჩემი კეთილი საქმეები მოიხიეს და, ღვთის წყალობით, იბოგეს კიდეც. ისინი აგროვებდნენ ჩემს ყოველ მადლიან საქმეს, რათა სასწორზე დაედოთ ჩადენილი ბოროტი საქმეების საწინააღმდეგოდ. მოულოდნელად ჩვენი ღირსი მამა გასილი გამოჩნდა და წმიდა ანგელოზებს უთხრა: „ამ სულმა სიბერის ჟამს დიდი სამსახური გამიწია, მე ვილოცე მისთვის და ღმერთმა მაჩუქა იგი. ამ სიტყვებთან ერთად მან ამოიღო მეწამული ფერის ტობრაკი, მიაწოდა ანგელოზებს და უთხრა: „როდესაც საჭაერო ტანჯვა-წამებას გაივლით და ცბიერი სულები დაიწყებენ სულის წამებას, გამოისყიდეთ იგი ვალებიდან. ღვთის წყალობით, მე მდიდარი ვარ, ჩემი ოფლითა და შრომით დიდი საგანძური მოვაგროვე და ამ ტობრაკს ვჩუქნი იმ სულს, რომელიც მემსახურა“, - თქვა ეს და წავიდა. მზაკვარი სულები განცვიფრდნენ, შემდეგ ატირდნენ და

გაგვეცალენ. ისეგ მოვიდა წინასწარმეტყველი ვასილი, თან მოიტანა უამრავი ჭურჭელი სუფთა ზეთით და ძვროფასი მირონით. ერთიმეორის მიყოლებით გახსნა ყველა და დამასხა; მე სულიერი კეთილსურნელებით ავიგეს და ვიგროძენი, როგორ შევიცვალე და გავნათლდი. ღირსმა მამამ უთხრა წმ. ანგელოზებს: „როდესაც შეასრულებთ ყოველივეს, რაც საჭიროა, ეს სული იმ საგანეში შეიყვანეთ საცხოვრებლად, რომელიც ღმერთმა მომძადა“. ამის შემდეგ იგი გაუჩინარდა. ანგელოზებმა ამიყვანეს და აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ“.

წმ. იოანე დამასკელი წერს: „უფალი გადაარჩენს თავის ქმნილებას იმ გამონაკლისის გარდა, ვინც აშკარად განწირულია, ვინც ფეხქვეშ გათელა სწორი რწმენა, რის გამოც სასწორის მარცხენა მხარე დიდად სწონის მარჯვენას. ღვთივგანათლებული მამები ამბობენ, რომ ბოლო ამოსუნთქვისას ადამიანური საქმეები თითქოსდა სასწორზე იწონება და თუ: 1) მარჯვენა მხარე გადასწონის, ასეთი ადამიანის სულს ღმერთი კეთილი ანგელოზების კრებულში ამოუშვებს; 2) თუ ორივე მხარე თანასწორია, მაშინ უეჭველად ღვთის კაცთმოყვარეობა გაიმარჯვებს; 3) თუ მარცხენა მცირედ გადასწონის, ღმერთის გულმოწყალება მაინც შეაფხებს დანაკლისს. ეს მეუფის სამი ღვთიური სასამართლოა: მართლმსაჯულებრივი, კაცთმოყვარული და მადლშემოსილი; 4) როდესაც ბოროტი საქმენი დიდად გადასწონიან - ეს სამსჯავროც მეტად მართლმსაჯულებრივია, მსჯავრდებულთა სამართლიანად განმსაზღვრელი“.

აი, ყველა ის გარემოება, რომელიც თან ახლავს ადამიანის სიკვდილს. თავად მაცხოვარმა სიკვდილის შესახებ ზოგადად იგივე თქვა - ცოდვილის სიკვდილი უღმობელია, წმიდანისა - მშვენიერი. „ამას ღამესა მივიღონ სული შენი შენგან“ - ეთქვა პირველს (ლუკ. XII, 20) მეორეს კი - „და იყო სიკუდილი გლახაკისა □ და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წაიღოთ აბრაჰამისთა“ (ლუკ. XVI, 22). მაშასადამე, გარემოებანი, რომლებიც თან ახლავს პირველ და მეორე სიკვდილს, მსგავსია წმ. მამათა ჩვენებებსა.

ცხადია, ღვთის წყალობის შემწეობით ჩვენსა და მოკიდებული ჩვენი აღსასრული, ჩვენი სიკვდილი; ჩვენსა და მოკიდებული. მშვენიერი იქნება იგი თუ - სასტიკი, იქიდან გამოდინარე, როგორ მივიღებთ და შეგასრულებთ ქრისტეს მცნებას: „მზად იყავით სიკვდილის სათისათვის“ და „მოინანიეთ და გწამდეთ სახარება“. მაშასადამე, განუწყვეტელი სინანულით და უფალ იესო ქრისტეს ცოცხალი, ქმედითი რწმენით ჩვენი აღსასრული სასიკეთო იქნება.

არა მხოლოდ ლაზარეს მსგავსი დატაკნი შემკვიდრებენ სიცოცხლეს და ხდებიან ნეტარი გარდაცვალების ღირსნი, არამედ - მდიდრებიც. თუ იქნებიან სულით დატაკნი და მორჩილად ბრძენნი. არა მხოლოდ მდიდრები, როგორც სახარებისეული მდიდარი, მიდიან ჯოჯოხეთში და აქვთ უღმობელი აღსასრული, არამედ - დატაკნიც, თუ არ ზიდავენ თავიანთ ჯვარს დიდსულოვანი მითმინებით. მაშ, იყავით მზად, ანუ ემზადეთ სიკვდილისათვის ყოველ წუთს.

ადამიანისთვის დამახასიათებელია სიკვდილისწინა შიში და ჭმუნვა. ყველა წმიდანი ცრემლებით ემზადებოდა ამ შემწარავი წუთისათვის და მათი აღსასრული დიდებული იყო.

მაშ, დამშვიდდით, ძმანო და დანო, სიკვდილი არ არის ადამიანის ყოფის განადგურება, შეწყვეტა. სული ცოცხლობს სხვა სამყაროში, სადაც შეიძლება ამ წუთს ჩვენც წავიდეთ. მაშ, ვუთხრათ მათ, ჩვენს მიცვალებულებს: „მშვიდობით, არამედ ნახვამდის, ძვირფასო მეუღლე, ნახვამდის, კეთილო მშობლებო, ნახვამდის, უძვირფასესო ძმავ, ან დაო... ნახვამდის!..“

წიგნიდან: „როგორ ცხოვრობენ ჩვენი მიცვალებულები, როგორ ვიცხოვრებთ ჩვენც სიკვდილის შემდეგ“

ჰოი, რა მწარეა დღე სიკვდილისა და რა საშინელი

და საზარელია ხილვა უცნობ და უგვან პირთა...

...რამეთუ, მაშინ სული ისე კრთის, როგორც შიშით შეპყრობილი ფრინველი; ხორცი ისე ძრწის, როგორც დასაკლავი პირუტყვი, ხოლო გონება ბნელდება. რაჟამს ხორციელი სნეულება შეგვეყრება, ყოველივე ეს გვახსოვს და ვფიქრობთ სიკვდილსა და სინანულზე, მაგრამ როგორც კი სენი განგეშორდება, ყოველივე გვაგვიწყდება. აღარ ვწუნვართ და აღარც ვინსენებთ საუკუნო სატანჯველს, რომელიც ცოდვილთათვის არის გამზადებული. მართალთათვის სიკვდილი განსვენებაა და არ უშინიათ მისი, მაგრამ ვაი მას, ვინც უგულისხმოა და უმეცარი ყოველივე ამისა. მოვა ის მიუკერძოებელი მსაჯული ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად და ფიცხლად წარიტაცებს ცოდვილებს.

მაშინ სული გლოვით იტყვის: საით გაგიქცე, ან როგორ გადაგურჩე მომავალ სატანჯველს მე, ასერიოდ შებღალული ცოდვითა და ბრალითა?

ხორცი მიუგებს და ეტყვის: ვაი ჩემდა, შენს გადაშეიდეს, სული ჩემო, რამეთუ დასაბამს, როცა შეგვიერთდი, ვიყავ უბიწო, ახლა გშორდები და შეგინებული ვარ.

ეტყვის სული: შეწუნებული ვარ მე შენგან, სხეული ჩემო, რამეთუ ბუნებით ვარ უცოდველი და შენი შემოსვით ავიგეც ცოდვითა და ბრალითა.

მიუგებს ხორცი და ეტყვის: შენ შემიტყუე და მაცდუნე, რამეთუ ყოველი შენი ბოროტება გაგიზიარე, შენს ნებას ვასრულებდი, შენს მოსაწონს ვშფრებოდი და წარვიწყმიდე.

ეტყვის სული: მე უფრო ვასრულებდი შენს ნებას, რადგან ბუნებით უბიწო ვარ და შენ მაიძულებდი, მიველოდი შენს წესს, ვიდრე შენს ხრწნილებას არ მაზიარე.

მიუგებს ხორცი და ეტყვის: ვაი ჩემდა, რამეთუ სიკვდილი მოგვადგა კარს და ჩვენი სიტყვა ამათა ამაჟამად.

ეტყვის სული: თუ უფალი შემიწყალებს და განმკურნავს ამ სენისაგან, შევინანებ მე ჩემს ცოდვებს.

ეტყვის ხორცი: კარგი სიტყვა გაგიგონე შენგან, ჰოი, სული ჩემო, მაგრამ რით ვირწმუნო, რომ აღასრულებ მას საქმით?

ეტყვის სული: თუ გადაგურჩები ამ სენს, ყოველ ჩემს ცოდვას ცრემლით განვიბან ჭეშმარიტად და მარხვით განვიწმინდები.

ეტყვის ხორცი: თუ ამ სენს გადაგურჩი, დავიტანჯავ თავს, შევაყენებ და აღარ აღვასრულებ ჩემს ბოროტ ნებას, შრომითა და მღვთიანებით დაგადნობ სხეულს.

ეტყვის სული: თუ სიცოცხლეს ვბოვებ და სიკვდილს გადაგურჩები, შენ სიწმინდის სახლად და სულიწმიდის სადგურად გაქცევი.

ეტყვის ხორცი: რად არ ვიყავით ასე გულმოდგინენი, სანამ ეს ჟამი დაგვიდგებოდა?

ეტყვის სული: მე შენს შემოერთებას ველოდებოდი და გულს ყოველდღე მოვავიწყებდი სინანულს, მაგრამ ვიდრე განგემზადებოდი, მეწია სიკვდილი.

ეტყვის ხორცი: ვაი ჩემდა, რამეთუ სიბნელემ და სიკვდილის აჩრდილმა მომიცვა, დავიდე საფლავად და ვიქცე მიწად და ნაცრად.

ეტყვის სული: მივიშვი შენს ნებაზე და იმიტომაც წარვიწყმიდე.

ეტყვის ხორცი: ნეტავ არასოდეს შეგეერთდი, რამეთუ მაცოცხლე მცირე ხანს და საუკუნოდ მომაკვდინე, განმასორე მართალთა სამყოფელს და გამისტუმრე ჯოჯოხეთად.

ეტყვის სული: რატომ მანამ არ ვსაუბრობდიოთ ასე, სანამ ერთად ვიყავით და ვფლობდით ჩვენს თავს?

ეტყვის ხორცი: რამეთუ ახლადა გაცხადდა შენი საიდუმლო და შენგან შევიცან, რომ მტვრად და ნაცრად ვიქცევი საფლავში.

ეტყვის სული: ვაი ჩვენდა, ეს რა გვეწია, რამეთუ მოახლოვდა მოძალადე გამოიშველი ჩვენი და შენს მშვენიერ თვალებს ვხედავ დაბნელებულს. სიკვდილის აღმურმა მომიცვა ყოველი მხრიდან და დაშლის იგი ჩემს ძვალსა და ხორცს და მთელს გვამს.

ეტყვის ხორცი: შევიყვარე ყოველ არსზე მეტად და ვაი, რომ დღეს გშორდები. ამისთვის ვტერი და ვოგლოვ.

ეტყვის სული: არაფერი შემიძენია შენ გარდა სოფელში და აჰა, საცაა, დადუმდება შენი ბაგეები.

ეტყვის სულს ხორცი: ვაი ჩემდა, როგორ გავლიეთ ჩვენი დღეები უქმად და აი მივიდვართ მოუსყიდველი მსაჯულის წინაშე და ჩვენი ბოროტი საქმეებისთვის მოგვცემს ცეცხლსა საუკუნოსა.

ეტყვის სული: ჰოი, რა მწარეა სასმელი სიკვდილისა, საით გავიქცე მისგან ან რა მოვუგო იმ მსაჯულს ჩემი საშინელი ბოროტი საქმეებისთვის.

და ასეთ ბრძოლაში რომ არის კაცო, რომელიც მიეახლა სიკვდილს, მისი სული და ხორცი რომ ძრწის შიშისა და ჭირისაგან, სიმწრის ოფლი რომ ასხამს პირზე, მაშინ გამოუბრწყინდება სახილველად საშინელი ბრწყინვალე ანგელოზი, ზარდამცემი და მრისხანე, ხელთ ცეცხლის ღაბგარი უბყრია, ჩასცემს და განუმირავს კაცს და წარიტაცებს მის სულს.

ჰოი, რა სასტიკია ეს ჟამი, ძმანო ჩემო საყვარელო, და რა საზარელი და საშინელია შეხვედრა იმ სულელებთან, რომელნიც ჰაერში არიან განწესებულნი ცოდვითა განსაკითხველად. ამისთვის გვეკვდრებით ყველას, რათა იზრუნოთ თქვენი სულელებისათვის, ვიდრე გვაქვს ნება და წუთისოფლის გემოთმოყვარეობით ნუ დაგვარგავთ საუკუნო კეთილს. რომელიც განუშადა დმერთმა მოყვარეთა მისთა, რომლისა არს დიდება და ხელმწიფება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ეფრემ ასური

ადამიანის გარდაცვალება

„ქრისტეანობითნი აღსასრულნი ცხოვრებისა ჩვენისანი, უჭირველნი, ურცხვენელნი, მშვიდობითნი, და კეთილის სიტყვის გება წინაშე საშინელისა სამსჯავროსა ქრისტესა ვითხოვოთ“ - ეს თხოვნა ყველა საეკლესიო წესში შედის. ხორციელი სიკვდილი, რომელიც დაკანონდა ჩვენი წინაპრების შეცოდებათა გამო, გვაშინებს თავისი იდუმალებით. ადამიანები სხვადასხვაგვარად აღესრულებიან: ერთნი აღესრულებიან უზრუნველობასა და დაუდევრობაში, არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა მთელი სიკვდილის შემდეგ; მეორენი მოახლოებული მომენტის სიდიადის გათვალისწინებით იყენებენ იმ საშუალებებს, რასაც მართლმადიდებელი ეკლესია სთავაზობს მოკვდავთ.

ჩვეულებრივ, სიკვდილის წინ ადამიანს არ შეუძლია, იზრუნოს თავის თავზე. ამიტომ ყველა მორწმუნის ვალია, მთელი ცხოვრების მანძილზე გააკეთოს ყველაფერი, რათა იმქვეყნად ისე წავიდეს, როგორც ქრისტიანს შეეფერება.

მართლმადიდებელი ეკლესია ზრუნავს თავისი მრევლისათვის და ეხმარება მას, რათა საიქიო ცხოვრებაში ღირსეულად დამკვიდრდეს. ამას ემსახურება აღსარება, მონანიება და ზიარება, ხორცისაგან სულის გაყრისას კი წესის აგება და სათანადო ლოცვები.

გარდაცვალებისას ადამიანი შეიძლება იტანჯებოდეს. ამ დროს სულს ხვდებიან თავისი მფარველი ანგელოზი (ნათლობისას მიჩენილი) და ეშმაკები. ეს უკანასკნელნი ისეთი შემზარავები არიან, რომ სული მათი ხილვისას ძრწის და იტანჯება. „განა არ იცით, ძმებო, რა გასაჭირშია სული ხორცთან გაყრისას?“ - ამბობს ღირსი ეფრემ ასური. ამიტომ ვკითხულობთ შესაბამის კანონს, რომ სულს მწუხარება და ტანჯვა შევუმსუბუქოთ.

ეს კანონი სასულიერო პირის არყოფნის შემთხვევაში შეიძლება წაიკითხონ მომაკვდავის ანგარიშები.

მიცვალებულის მომზადება დაკრძალვისთვის

დაკრძალვის წესი მოცემულია სახარებაში, სადაც აღწერილია მაცხოვრის ჩვენის - იესო ქრისტეს დაკრძალვა. მართლმადიდებლური წესი დაკრძალვისათვის ცხედრის მომზადებისა შემთხვევითა უძველესი დროიდან და გულისხმობს განბანას, შემოსვას და კუბოში ჩასვენებას.

განბანის დროს იკითხება: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ!“

უნდა განიბანოს მთელი სხეული თბილი წყლით და საბნით. ტრადიციის მიხედვით, განბანას ასრულებს გარდაცვლილის ერთ-ერთი ნათესავი.

მიცვალებულს აცმევენ ახალ, სუფთა სამოსს, ადებენ ჯვარს და დაასვენებენ ამისთვის განკუთვნილ ადგილზე სახით აღმოსავლეთისაკენ. ბაგეები მას მოკუმული უნდა ჰქონდეს, ხელები მკერდზე ჯვრისებურად დაწყობილი (მარჯვენა მარცხენაზე ზევით), ხელში უდებენ ჯვარს.

მიცვალებულს თავქვეშ უდებენ ბამბით ან თივით გატენილ ბალიშს (არსებობს ჩვეულება - წინასწარ მომზადონ ე.წ. „სასიკვდილო“ ბალიში ეკლესიაში ნაკურთხი ტირიფის რტოებითა და არყის ხის ფოთლებით. კურთხევა ხდება ბზობისა და სულთმოფენობის დღესასწაულებზე).

ცხედრის აფარებენ თეთრ, სუფთა ქსოვილს ან სპეციალურ სუდარას იესო ქრისტეს გამოსახულებით ნიშნად იმისა, რომ მიცვალებული, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, აღდგება მკვდრეთით, როგორც აღდგა ჯვარცმული ქრისტე, რომ მიცვალებული იმყოფება ქრისტეს ჯვრის მფარველობის ქვეშ. ასეთი სუდარის შექმნა შეიძლება ეკლესიაში.

კუბოს, ჩვეულებისამებრ, დგამენ ოთახის შუაგულში ნატების წინ. მის გარშემო სანთლებს ანთებენ. თუ არის შესაძლებლობა, დგამენ ოთხ სასანთლეს (კანდელს). თავთან, ფერხით და ორსაც კუბოს ორივე მხარეს, რაც ჯვარს გამონატავს და სიმბოლურად მიანიშნებს მიცვალებულის გარდასვლას სულთა საუფლოში.

ლოცვები მიცვალებულთათვის წესის აგებაში

განბანისა და შემოსვის შემდეგ მღვდელი ან ნათესავთაგან ვინმე კითხულობს კანონს „სულის ამოსვლის შემდეგ...“ თუ ადამიანი სახლს გარეთ დაიდუბა, სულ ერთია, კანონი მაინც იკითხება გარდაცვალების დღეს იმ მიზნით, რომ შეუმსუბუქოს სულის ხორციან გაყრა. მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს წესი „ფსალმუნთა“ კითხვისა გარდაცვალებიდან დაკრძალვამდე.

ლოცვების კითხვისას მიცვალებულის სახელს ემატება სიტყვა „ახლადშესვენებული“ - ასე უწოდებს ეკლესია გარდაცვლილს 40 დღის განმავლობაში.

7 წლამდე ასაკის ბავშვებს ყრმებს უწოდებენ. სხვა დამაკონკრეტებელი დასახელებების გამოყენება, როგორცაა: ქალიშვილი, ცოლი, მოკლეული, დამრჩვალნი, დამწვარი - არ არის კანონიერი და არ გვხვდება ღვთისმსახურების წესებში.

უმიზეზოდ და უმიზნოდ არ დაუწესებია ეკლესიას უძველესი დროიდან მიცვალებულისთვის ფსალმუნების კითხვა. „დავითნი“ ასახავს ადამიანის სულის მრავალგვარობას. ცოცხლად ენაშაურება, თანაურდნობს ჩვენს მწუხარებასაც და სინარულსაც, ანუგეშებს და ამხნეებს მწუხარე გულს.

იმ დროს, როცა სხეული მკვდარია, სული გადის გამოცდას. ამიტომ სჭირდება მას ეკლესიის დიდი დახმარება. გაძლიერებული ლოცვები უადვილებს სულს სხვა ცხოვრებაში გადასვლას.

„პანაშვიდი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მწუხრის ლოცვა-გალობას. ჯერ კიდევ ქრისტიანთა დევნის ეპოქაში დამკვიდრდა ჩვეულება მიცვალებულისათვის ღამით ლოცვისა. იმ საშინელ დროს უსჯულოთა ბოროტებისა და სიძულვილის შიშით ქრისტიანებს მხოლოდ ღამე შეეძლოთ გაეცილებინათ წამებულნი საუკუნო განსასვენებელში, ღამითვე შეეძლოთ ელოცათ მათთვის. ღამის ბნელი ფარდის ქვეშ, რომელიც თითქოს სიმბოლურად გამოხატავდა არაქრისტიანთა მორალურ სამყაროს, ქრისტიანები ანთებდნენ სანთლებს წამებულთა ნაწილებთან და მთელი ღამის განმავლობაში ასრულებდნენ სულის მოსახსენებელ ლოცვებს, დილით კი მიწას აბარებდნენ. იმ დროიდან მიცვალებულთათვის ამგვარ ლოცვებს ქრისტიანები პანაშვიდს უწოდებენ.

პანაშვიდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ლოცვით მოვიხსენიოთ მიცვალებულები, რომლებიც, მართალია, დაიბრუნენ, როგორც ქრისტეს ერთგულნი, მაგრამ მთლიანად მაინც არ იყვნენ თავისუფალი ადამიანურ სისუსტეთა და ცოდვითაგან. და ეს უძღვრება ჩაიყოფის კუბოში. პანაშვიდის შესრულებით წმინდა ეკლესია ჩვენს ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ მიცვალებულის სული როგორ გადადის მიწიდან ზეცაში, როგორი კრძალვითა და შიშით უნდა წარდგეს იგი უფლის სამსჯავროზე. აქ მან გულთამხილაგი ღმერთის წინაშე უნდა აღიაროს თავისი თავის ყველა დიდი თუ მცირე ცოდვა და შეცდომა. იგი ვერ გაბედავს დაუძალოს უფლის სამართლიან სამსჯავროს რაიმე. ეკლესია აცხადებს ამ სამსჯავროს ძირითად კანონს - ღვთიურ გულმოწყალებას და გვაგულთანებს ჩვენ ლოცვისათვის, აძლევს რა სულის სრულ თავისუფლებას - გამოხატოს ლოცვებით, მონანიებითა და ცრემლებით თავისი განწყობა და ითხოვოს შეწყალება. პანაშვიდი მთავრდება დიაკვნის სიტყვებით: „უფალო, შეიწყალე მონა შენი (სახელი), მიანიჭე საუკუნო ხსენება!“

„ეს ლოცვითი მოწოდება, - ამბობს თეოლოგიის არქიეპისკოპოსი ნეტარი სვიმონი, - არის საჩუქარი, დასასრული ყველაფრისა. ის გზავნის მიცვალებულს ზეცაში და აბარებს ღმერთს მის სულსა და ხორცს.“

მიცვალებულის გამოსვენება

ცხედრის სახლიდან გამოსვენებამდე ცოტა ხნით ადრე მიცვალებულთან კვლავ კითხულობენ ლოცვას „სულის ხორციდან გაყრის შემდეგ“. კუბო გამოაქვთ მიცვალებულის სახით წინ წმინდა სამების სადიდებელი გალობით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიცვალებული სიცოცხლეში აღიარებდა სამების ძლევა-მოსილებას და ანლა გადადის სულთა საუფლოში, სადაც ყოვლადძლიერის სადიდებლად დაუდუმებლად გალობენ.

ცხედარი მოაქვთ მიცვალებულის ნათესავებსა და ახლობლებს. უძველესი დროიდან ქრისტიანებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ პროცესში, მოჰქონდათ ანთებული სანთლები.

წესის მიხედვით ცხედრის ეკლესიაში შესვენებისას ზარები სამგლოვიაროს რეკენ. ეს ხმა ცოცხლებს ახსენებს, რომ ისინი ერთი თანამომთმით ნაკლები დარჩნენ, ეს ხმა მსგავსია მთავარანგელოზის საყვირის ხმისა, რომელიც გახშირდება სამყაროს უკანასკნელ დღეს დედამიწის ყოველ კუთხეში.

ცხედარს ეკლესიის შუაში ასვენებენ პირისაზით აღმოსავლეთისკენ, კუბოსთან დგამენ კანდელებს.

წესის აგება

დაკრძალვის წესი, უბრალოდ „წესის აგებად“ რომ იწოდება, პანაშვიდს წააგავს. მისგან განსხვავდება საღვთო წერილის კითხვით, ახლობლებთან გამთხოვებით, საბოლოო შენდობის ლოცვითა და მიწას მიბარებით.

სახარების კითხვის შემდეგ მღვდელი (უმჯობესია გარდაცვლილის სულიერი მოძღვარი) მიუღიანებს ეკლესიის გასაგონად იმეორებს შენდობის სიტყვებს ყველა იმ ცოდვისთვის, რაც მიცვალებულმა მოინანიო, ან ვერ მოასწრო, დაავიწყდა მონანიება. ამასთანავე, ხსნის მას ყველა აღთქმასა და ეპიტიმას, სიცოცხლეშივე დადებულს, თუმცა, ამ ღოცვით მას არ ეხსნება ის ცოდვები, რომლებიც შეგნებულად დამალა აღსარების დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ მიტევების თხოვნით ღოცვების კითხვა არ ნიშნავს აუცილებელ შენდობას და ყველა ცოდვის პატიებას. მონათლული არაკლესიური პირები, რომლებიც შეგნებულად არ ცდილობდნენ ეკლესიის მუშაობით სულის გადარჩენას, შენდობას ვერ მიიღებენ. ეს ღოცვა თავისი შინაარსით ეხება იმ მორწმუნე მიცვალებულებს, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებით ცხოვრობდნენ.

ახლობელთათვის რომ უფრო თვალსაჩინო იყოს ეკლესიის შერიგება გარდაცვლილთან, მღვდელი ღოცვის დასასრულს მარჯვენა ხელს ადებს მას.

შესანდობარი ღოცვის შემდეგ იწყება მიცვალებულთან გამოთხოვება. ჩვენი სიყვარულისა და სიკვდილის შემდეგაც მასთან ერთობის გამოსახატად მიცვალებულს ვეამბორებით. ამ დროს სრულდება ამბლეგებელი საგალობელი: „იგლოვეთ ჩემთვის, სულ ახლახან მე თქვენ გესაუბრებოდით, სიკვდილის უამბო მთულოდნელად დამიდგა. მოდიო და უკანასკნელად მეამბორეთ, ვისაც ვიყვარდით. მე თქვენთან აღარ ვიქნები, უზენაეს მსაჯულთან მივდივარ, სადაც არ არის მეფე და მსედარი, ბატონი და ყმა, მდიდარი და ღარიბი. ყველა ერთად წარდგება თავისი ნამოქმედართი განდიდებული ან შერცხვნილი. გთხოვთ, გემუდარებით, განუწყვეტლივ ილოცეთ ჩემთვის, შესთხოვეთ ჩემთვის იესო ქრისტეს ცოდვათა მიტევება და შენდობა“.

ეკლესიას გამოსათხოვარი გალობით სურს ცოცხალთა გულებში ძლიერად აღბეჭდოს ფიქრი სიკვდილის დღეზე ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს ვაება. ხმამაღლა უნდა შევთხოვოთ მიცვალებულს, რომ მან ახსნას ყველას მის მიმართ ჩადენილი უსამართლობა.

გაისმის „საუკუნოდ იყოს ხსენება...“ მღვდელი ჯვრისებურად აყრის ცხედარს მიწას და ამბობს: „მიწა იყავ და მიწად იქნე“.

დაკრძალვის წესი შეიძლება შესრულდეს ეკლესიაშიც. სახლშიც და სასაფლაოზეც. თუკი მღვდელი მიაცილებს ცხედარს. ამის შემდეგ კუბო იხურება და მისი ახდა არავითარი საბაბით აღარ შეიძლება. ცხედარი ეკლესიიდან გამოაქვთ ფეხებით წინ ამ მომენტისათვის საჭირო საგალობლით.

წესის აგება

დაუსწრებლად

ხდება ხოლმე, რომ ქრისტიანულად გარდაცვლილი ქრისტიანი არ იკრძალება მართლმადიდებლური წესით ამა თუ იმ მიზეზის გამო. ეს შეიძლება იყოს საომარი მოქმედება, სტიქიური უბედურება ან კატასტროფა, იქ არყოფნა ეკლესიის, მორწმუნეთა, რომელთაც შეეძლოთ მიცვალებულის ქრისტიანულად დაკრძალვა.

ასეთ შემთხვევაში ახლობლები მიმართავენ მღვდელს, რომ მან წესი გარდაცვლილის დაუსწრებლად აუგოს. წესის აგების შემდეგ მღვდელი ახლობლებს აძლევს მიწას. მიწა ჯვრისებრ უნდა დაიყაროს საფლაოზე.

თუ საფლაოვი ძლიერ შორსაა და ხელი არ მიგვიწვდება, მიწა შეიძლება მივიტანოთ ნათესავის საფლაოზე.

დაუსწრებლად წესის აგება არ შეიძლება ჯერ დაუსაფლაოებელი მართლმადიდებელი ქრისტიანისა.

ახლა ბევრს შეგნებულად არ მიჰყავს მიცვალებული ეკლესიაში ხარჯების გამო, მაგრამ ეკონომია შეიძლება ყველაფერზე, თუნდაც ქელეხზე. წესის აგებაზე კი - არა, რადგან წესის აგება უდიდესი და ფასდაუდებელი დახმარებაა ჩვენთვის საყვარელი ადამიანისთვის. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ წესის აგება ეკლესიაში მოხდეს, ან მოვიწვიოთ მღვდელი სახლში ან სასაფლაოზე.

ვის არ ეკუთვნის წესის აგება

ეკლესიის მიერ წესის აგება არ ეკუთვნით თვითმკვლელებს. მათგან უნდა განვასხვავოთ ის ადამიანები, რომელთაც უნებურად მოისწრაფეს სიცოცხლე (მაღლიდან უნებური ჩამოვარდნა, დახრჩობა წყალში, მოწამვლა საკვებით, ტექნიკური უსაფრთხოების დაუცველობა საწარმოში). ამავე რიგს განეკუთვნებიან ისინიც, ვინც თვითმკვლელობა ჩაიდინა სულიერი დაავადების ძლიერი შეტყვის დროს, რაც დადასტურებული უნდა იყოს სათანადო სამედიცინო დასკვნით; იმისათვის, რომ ამგვარად გარდაცვლილს ქრისტიანულად აუგონ წესი, ახლობლები ვალდებული არიან წერილობითი ნებართვა მიიღონ ადგილობრივი მღვდელმთავრისგან სათანადო სამედიცინო დასკვნის საფუძველზე.

მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ თვითმკვლელებად ითვლებიან ყაჩაღური თავდასხმის მონაწილე დაღუპულებიც. ბანდიტური თავდასხმის მსხვერპლნი, ცხადია, მათ რიცხვში არ შედიან. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გარდაცვალების ცნობის ეკლესიაში წარდგენა.

წესის აგება და სხვა საეკლესიო წესები არ ეკუთვნის მოუნათლავე ადამიანებს. ეკლესია არ ლოცულობს იმისთვის, ვინც მთელი სიცოცხლე უარყოფდა მას, არ იყო მისი წევრი.

ყრმათათვის წესის აგება და დაკრძალვა

მონათვლის შემდეგ გარდაცვლილ მცირეწლოვანთათვის სრულდება განსაკუთრებული წესი; ამ წესში არ შედის ლოცვა ცოდვათა მიტევების თხზვანით, რადგან ისინი უცოდველნი არიან. აქ არის მხოლოდ ვედრება ყრმის სულის სასუფეველში დამკვიდრებისათვის. თუმცა მცირეწლოვანს რაიმე განსაკუთრებული ქრისტიანული ღვაწლი, თაფგანწირვა არ ჩაუდენია. მაგრამ ნათლისღების მეშვეობით, განწმენდილი სასუფეველის უმანკო მკვიდრად იქცა.

ყრმათათვის წესის აგება ძირითადად მიზნად ისახავს მწუნარე მშობელთა დამშვიდებას. საგალობლებში გამოსჭვივის რწმენა, რომ ნეტარი გარდაცვლილნი უფაღთან წარდგენის შემდეგ ილოცებენ თავიანთი ახლობლებისთვის, სააქაოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის. ასეთი წესი სრულდება შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

მოუნათლავე ბავშვებისათვის წესის აგება არ შეიძლება, რადგან ისინი განწმენდილი არ არიან პირველქმნილი ცოდვისაგან.

მართლმადიდებელი ქრისტიანის საფლავი

უძველესი დროიდან (ქრისტიანობამდე) არსებობს ჩვეულება საფლავზე მცირე ბორცვის შექმნისა. ქრისტიანულმა ეკლესიამ გაითავისა ეს ჩვეულება და საფლავის ბორცვს ამკობს ჯვრით. მიღებულია იგი ისე დაიდგას მიცვალებულის ფერხით, რომ ჯვარცმა მიქცეული იყოს გარდაცვლილის სახისაკენ. მაგრამ ზოგან მიღებულია ჯვრის დადგმა მიცვალებულის თავთან.

მართლმადიდებლის საფლავზე ჯვარი მიუთითებს ნეტარ უკვდავებასა და აღდგომაზე. მიწაში ჩადგმული და ზეცისაკენ აღმართული ჯვარი გამოხატავს ქრისტიანის რწმენას, რომ გვამი მიწაშია, სული კი - ზეცაში, რომ მიწაში არის მარცვალი, თესლი სასუფეველში საუკუნო სიცოცხლისა.

ქრისტიანის საფლავისთვის უფრო შესაფერისია უბრალო ჯვარი მეტალისაგან, ბეტონისაგან, ხისგან, გრანიტის ან მარმარილოსაგან.

*წიგნიდან „გარდაცვლილთა დაკრძალვა და მოხსენიება“
შემდგენელი მღვდელმონაზონი თეოდოსი*

რა მიმართება უნდა გვექონდეს სიკვდილთან

- გერთონდა, რაზე უნდა ფიქრობდეს ადამიანი თავის დაბადების დღეს?
- ის უნდა ფიქრობდეს თავისი მომავალი სიკვდილის დღეზე და ემზადებოდეს ამ დიდი მოვლასთან დაკავშირებით.
- გერთონდა, თუ საფლავიდან ამოღებისას აღმოჩნდება, რომ ნეშტი არ გახრწნილა, რა უნდა იყოს ამის მიზეზი? მოუხანებელი ცოდვა ხომ არა?
- ყოველთვის არა. შეიძლება ამის მიზეზი იყოს მიღებული წამლები, ან საფლავის ნიადაგის შემაღლებლობა. მაგრამ რა მიზეზიც არ უნდა იყოს, თუ ნეშტი არ იხრწნება, ე.ი. გარდაცვლილი ისჯება თავისი ცოდვების გამო. ეს იმიტომ ხდება, რომ ცოდვილი გარდაცვალების შემდეგაც სხვების დასაცემი გახდება.
- გერთონდა, სიკვდილი ხომ გარდაუვალი მოვლენაა, რომელიც ადამიანს ელოდება, მაშ, რატომ გვაფიქვდება ამის შესახებ?
- იცო, ადრე მონასტრებში ერთ-ერთი ბერის მორჩილება სხვა ბერებისთვის სიკვდილის შესახებ იყო. როდესაც დანარჩენი ბერები თავიანთ მორჩილებას ასრულებდნენ, ეს ბერი მიდიოდა მათთან და ეუბნებოდა: „მძებო, ჩვენ მოგვგვებთ“. ჩვენი სული მოგვდავ ხორცშია შეფუთული, ამ დიდი საიდუმლოს გაგება უჭირს იმ ადამიანს, რომელიც მხოლოდ ხორცისგანაა და ამიტომ არ სურს სიკვდილი, არ სურს მისი გაგონებაც კი. სიკვდილი ასეთი ადამიანისთვის ორმაგი სიკვდილი და ორმაგი უბედურებაა.
- საბედნიეროდ, კურთხეულმა უფალმა ყველაფერი ისე მოაწყო, რომ ასაკში შესული ადამიანი მოახლოებული სიბერის ზოგიერთი ნიშნებისაგან გარკვეულ სარგებელს იღებს. ბუნებრივია, რომ მოხუცები უფრო ახლოს არიან სიკვდილთან, ვიდრე - ახალგაზრდები. მათ თმა უთეთრდებათ, კარგავენ სიმხევეს, ძალა თანდათან ელევათ და ამგვარად ისინი თავმდაბლები ხდებიან, იწყებენ მსჯელობას ამ წუთისთვის ამოცანაზე. მოხუცებულს კიდევაც რომ მოუნდეს „არევა“, უკვე აღარ შეუძლია, რადგან ფიზიკურად არ აქვს ამის საშუალება. ან როდესაც იგებენ, რომ მათი ასაკის ან მათზე უფრო ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაშინაც აგონდებათ სიკვდილი. ხომ გინახავთ, სოფლებში, როდესაც სამგლოვიარო ზარი რეკავს, მოხუცები ფეხზე დგებიან, პირჯვარს იწერენ, კითხულობენ: ვინ გარდაიცვალა? რამდენი წლის იყო? „ოჰ, - ამბობენ ისინი, - აი, ჩვენი ჯერიც მოდის! ყველანი წავალთ ამ ქვეყნიდან!“ მოხუცებს ესმით, რომ მათი დრო გავიდა, რომ მათი ცხოვრების ძაფი დასასრულს უახლოვდება, რომ სიკვდილი უკვე ახლოსაა. აბა, სცადე და პატარა ბავშვს სიკვდილზე დაელაპარაკე, ის არც კი მოგაქცევს ყურადღებას და ბურთით თამაშს გააგრძელებს. დემეტრის პატარა ბავშვისთვის რომ მიეცა იმის შეგნება, რომ ის მოკვდება, საბრალო სასოწარკვეთაში ჩაფარდებოდა, აღარაფერი დააინტერესებდა და მწყობრიდან გამოვიდოდა. ამიტომაც დემეტრის, როგორც კეთილი მამა, ყველაფერს აწყო ისე, რომ ბავშვს არ ესმოდა, რა არის სიკვდილი და უდარდელად თამაშობდეს ბურთით. მაგრამ რაც უფრო იზრდება ბავშვი, მით უფრო მეტს იგებს სიკვდილის შესახებ.
- დამწყობ ბერსაც კი, განსაკუთრებით თუ ის ახალგაზრდაა, არ ახსოვს სიკვდილი; მას ჰგონია, რომ წინ ხანგრძლივი ცხოვრება ელის და სიკვდილზე არც ფიქრობს. გახსოვთ, პეტრე მოციქულმა რომ თქვა ანანიასა და საბფირზე: „და ახსოვს ქაბუკნი და შემოსეს და განიღეს და დაჰფუღეს“ (საქმე 5,6). მონასტრებში ჩვეულებრივ მიცვალებულებს ახალგაზრდა ბერები მარხავენ. მოხუცი ბერები, თავიანთ ფიქრებში ჩაფლულები, დიდი ღვთისმოსაობით აყრიან მიცვალებულს ერთ მუქა მიწას სხეულზე და არასოდეს მიაყრიან მიწას თავზე. ერთხელ მონასტერში დაკრძალვას დავესწარი და უსიამოვნო სანახაობის მოწმე გახდი. როდესაც მღვდელმა წარმოთქვა სიტყვები:

„მიწა ხარ და მიწად იქეც“ და ყველამ დიდი მოწიწებით თითო მუჭა მიწა მიაყარა თავიანთ მიცვალებულ ძმას, ერთმა ახალგაზრდა ბერმა ანაფორა აიკეცა, ხელი სტაცა ბარს და უყურადღებოდ, მიმართულივით მიაყარა მიცვალებულს ყველაფერი, რაც მის ბარს მოჰყვა: მიწა, ქვები, ნაფოტები... ამას თავისი სიმართლის საჩვენებლად აკეთებდა. აი, როგორი დრო შეარჩია თავისი ძაღლისა და შრომის უნარის საჩვენებლად! სულ სხვა იქნებოდა, ასე ხეების დარგვისას რომ მოქცეულიყო, გულმოდგინება გამოეჩინა და ეთქვა: „სხვა ბერები მონუცები არიან, რა შეუძლიათ? მოდი, მე ვიმუშავებ“. ამ შემთხვევაში თვითონ დაიღლებოდა, მაგრამ სხვებს შედარებით მისცემდა, ხოლო როდესაც საფლავში მონასტრის ძმის ცხედარს გულგრილად მიწას და ქვებს აყრის, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ ახალგაზრდა ბერს საერთოდ არ ახსოვს სიკვდილი.

როდესაც სიკვდილი გინდა, არ კვდები

- გერთნდა, თქვენი სენის საბოლოო დიაგნოზი დასმულია - სიმსივნე ათვისებულია. ეს კიბოს ერთ-ერთი უძვირესი ფორმაა.

- ახლა კი მზად ვარ ვიცეპო ცეკვა - „მშვიდობით, უბედურო წუთისოფელი!“ ცხოვრებაში არ მიცეკვია, მაგრამ სიკვდილის მოახლოების გამო სიხარულით ვიცეკვებ.

- გერთნდა, ექიმმა თქვა, რომ ჯერ სიმსივნის დასასუსტებლად დასხივებაა საჭირო, შემდეგ კი - ოპერაცია.

- გასაგებია. ჯერ ავიაცია დაბომბავს, შემდეგ კი შეტევაზე ჯარები გადავლენ. მე მინრეგნა, პირდაპირ ზევით ავიდე და გაიბოთ, რა ხდება იქ!.. ზოგიერთი ხანშიშესული ადამიანიც კი წყობიდან გამოდის, თუ ექიმი სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს. მათ უნდათ სიცოცხლე, მაგრამ რისთვის? გასაკვირი ამბავია! როდესაც სიცოცხლე ახალგაზრდას სურს, ეს კადეგ გასაგებია, მაგრამ მონუცისგან მე ეს არ მესმის. გასაგებია, თუ იმიტომ მკურნალობს, რომ ტკივილებს გაუშკლავდეს, ან შეძლოს საკუთარი თავის მიხედვა. ამ შემთხვევაში მკურნალობას აზრი აქვს.

- გერთნდა, ჩვენ უფალს ვევედრებით, გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე.

- რისთვის? განა არ წერია ფსალმუნში, რომ ჩვენი სიცოცხლის ვადა სამოცდაათი წელია? (ფსალ. 89-10).

- მაგრამ მეფსალმუნე იმასაც ხომ დასძენს: „უკუეთუ ძლიერებასა შინა თიხმოც წელ“... (იქვე)

- მართალია, მაგრამ მერე ამბობს: „უმრავლესი მათი შრომა □ და საღამობა □“... ასე რომ, საიქიო ცხოვრებაში მოსვენება მინრეგნა!

- გერთნდა, ხომ შეიძლება, რომ ადამიანი თავისი თავმდაბლობით თვლიდეს, რომ საიქიო ცხოვრებისთვის სულიერად ჯერ მზად არ არის და სურდეს, კადეგ ცოტა იცოცხლოს, რათა მოემზადოს?

- ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ რა იცის ასეთმა ადამიანმა, რომ უფრო ცუდი არ გახდება, თუკი მეტ ხანს იცხოვრებს?

- გერთნდა, თუკი ადამიანი უმეგობრდება, ურიგდება სიკვდილს?

- გააჩნია - როდის. თუ ადამიანის სულში ქრისტე ცოცხლობს, მაშინ სიკვდილი მისთვის სიხარულია, მაგრამ არ არის სწორი, გიხაროდეს სიკვდილი იმიტომ, რომ ამ ცხოვრებამ დაგდალა. როდესაც ადამიანს უხარია სიკვდილი - ამ სიტყვის კარგი გაგებით - მაშინ სიკვდილი მას შორდება და რომელიმე მშინარასთან მიდის! როდესაც სიკვდილი გინდა, მაშინ არ კვდები. ადამიანს, რომელიც არსებობს, უდარდელად ცხოვრობს, სიკვდილის ეშინია, რადგან ამქვეყნიურ ცხოვრებას მისთვის საამოვნება მოაქვს და მას არ სურს სიკვდილი. თუ ასეთ ადამიანს ვინმე სიკვდილს უხსენებს, ის მაშინვე ეტყვის: „ხუზე დააკაუნე!“ იმისთვის კი, ვინც განსაცდელშია, განიცდის ტკივილს, ტანჯვა-წამებას, სიკვდილი ხსნაა, ის ასე ამბობს: „რა საწყენია, რომ სიკვდილი არ მოდის ჩემს წასაყვანად... ალბათ, გზად რაღაც დაბრკოლება შეხვდა“.

სიკვდილი ბევრს არ სურს. ადამიანთა უმეტესობას სურს, რაღაც მოასწროს ამ ცხოვრებაში და ამიტომ არ უნდა სიკვდილი. მაგრამ კურთხეული ღმერთი ყველაფერს ისე აწყობს, რომ ადამიანი მომწიფებული გარდაიცვალოს. მაგრამ რაც არ უნდა ითქვას, სულიერი ადამიანი, გინდ ახალგაზრდა და გინდ ასაკოვანი, უნდა ხართბდეს იმითაც, რომ ცოცხალია და იმითაც, რომ სიკვდილი მოუწევს.

ადამიანს, რომელიც წუთისოფლისთვის მოკვდა და სულიერად აღორძინდა, არა აქვს სიკვდილის შიში, იგი მას სინარულით ელოდება, იმიტომ, რომ ამ გზით ქრისტესთან მივა და მის გვერდით გაინარეხს. მაგრამ იგი ამ ცხოვრებაშიც ხართბს, რადგან აქაც ქრისტესთან ერთად ცხოვრობს და ამქვეყნადაც გრძნობს სამოთხისეული სინარულის ნაწილს. ასეთი ადამიანი თავის თავს ეკითხება, ნუთუ სამოთხეში ამაზე დიდი სინარული არსებობს, რომელსაც მე აქ, ამ მიწაზე განვიციდი? ასეთი ადამიანები დიდი თავგანწირვითა და კეთილსინდისიერებით იღვწიან, რადგან მუდამ ახსოვთ სიკვდილი, მუდამ ფიქრობენ მასზე და ემზადებიან მისთვის და ამარცხებენ ამქვეყნიურ ამოცბას.

სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული ავადმყოფები

- გერთნდა, ჩვენ გვთხოვეს, გველოცა ადამიანისთვის, რომელიც უკვე სიკვდილის პირასაა, მაგრამ სული არადა არ ამოსდის.

- რატომ არ ამოსდის სული? ალბათ აღსარება არა აქვს ნათქვამი.

- არა, აღსარების ჩაბარება არ სურს. გერთნდა, ნიშნავს თუ არა, რომ ადამიანის წამება სულის ხორციან გაყრის ჟამს მის ცოდვებზეა დამოკიდებული?

- არა, ეს არ არის უეჭველი. ასევე არ არის უეჭველიც ის, რომ თუ ადამიანის სული მშვიდობით და წყნარად ტოვებს სხეულს, ის კარგ მდგომარეობაშია. თუ სიკვდილის წინ ადამიანი ძალიან იტანჯება, ეს არ არის აუცილებლად იმის მაჩვენებელი, რომ მას ბევრი ცოდვა აქვს. ზოგიერთი ადამიანი დიდი თავმდაბლობის გამო უფალს გულმოდგინედ ევედრება, ცუდი აღსარული გამოუგზავნოს, რათა უსახელოდ წავიდეს ამ ქვეყნიდან. ზოგჯერ ცუდი აღსარული ადამიანს ეძლევა პატარა (სულიერი) ვალების გასასტუმრებლად. მაგალითად, თუ ადამიანს სიცოცხლეში უფრო მეტად აქებდნენ, ვიდრე ის ამას იმსახურებდა, უფალმა შეიძლება დაუშვას, რომ მისი სიკვდილის ჟამს იგი ისე უცნაურად მოიქცეს, რომ მისი ავტორიტეტი დაეცეს ხალხის თვალში. სხვა შემთხვევაში უფალი ადამიანს მძიმე აღსარულს უგზავნის, რათა მის გვერდით მყოფთ აჩვენოს, როგორ გაუჭირდება სულს იქ, ჯოჯოხეთში, თუ აქ არ მოიყვანს თავს წესრიგში. თუ შენი (სულიერი) საბუთები წესრიგშია (ანუ თუ შენ კარგ სულიერ მდგომარეობაში ხარ), მაშინ მიწიერი ცხოვრებიდან მარადიულში ისე გადადინარ, რომ ეშმაკები ვერც კი მოგიახლოვდებიან.

- გერთნდა, თუ ადამიანი კვდება, ან მძიმედაა დაავადებული, უნდა ვუთხრათ თუ არა მას სიმართლე?

- გააჩნია, რა ადამიანია. ზოგჯერ კიბოთი დაავადებული ადამიანი მეკითხება: „გერთნდა, როგორ გვინია, გადაგრჩები თუ მოკვდები?“ მას რომ ვუთხრა, მოკვდები, ისე აღელდება, რომ მართლაც იმ წუთშივე, ჩემს თვალწინ მოკვდება. თუ არ ვეტყვი ამის შესახებ, ის გამხნეგდება და ავადმყოფობის შიში აღარ ექნება. რა თქმა უნდა, მე არ ვეუბნები ასეთ ადამიანს, რომ ათასი წელი იცხოვრებს, რომ მისი დაავადება არ არის სერიოზული. მე მას ვეუბნები: „რა თქმა უნდა, ადამიანისთვის შენი განკურნება ძნელია, მაგრამ უფლისთვის არაფერია შეუძლებელი, შეეცადე, მოაწესრიგო შენი სულიერი მდგომარეობა“.

- გერთნდა, ზოგჯერ მძიმე ავადმყოფის ახლობლები თავს იკავებენ მისი ზიარებისგან, რადგან არ უნდათ, შეაშინონ იგი, რათა მან არ იფიქროს, რომ კვდება.

- ესე იგი რა გამოდის? ადამიანი უზიარებელი უნდა მოკვდეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ გაიგოს, რომ კვდება და არ აღელდეს? ასეთი ადამიანის ახლობლებმა უნდა უთხრან მას, რომ ზიარება - ეს წამალია, რომელიც შენ დაგესმარება, ზიარებით ადამიანი იღებს დანაშაულებს და ამავე დროს იმქვეყნიური ცხოვრებისთვის ემზადება.

თვითმკვლელობა

- *გერონდა, ზოგიერთი ადამიანი, შეხვდება თუ არა ცხოვრებაში რაიმე სიროულეს, მზად არის თავი მოიკლას.*

- აქ ეგოიზმთან გვაქვს საქმე. თვითმკვლელობა უმეტესობა ყურს უგდებს ეშმაკს, რომელიც შთააგონებს მათ, რომ თვითმკვლელობით ბოლო მოეღებოდა იმ შინაგან ტანჯვას, რომელიც ისინი განიცდიან. ასეთი ადამიანები ეგოიზმის გამო იკლავენ თავს. აი, მაგალითად: თუ ადამიანმა რაიმე მოიპარა და შეძლევა ეს ქურდობა გაცხადდა, ქურდი შეწუხებულია იმით, რომ სახელი გაუტყდა და იმის ნაცვლად, რომ მოინანიოს, აღსარება თქვას და სული მარადიული ტანჯვისგან იხსნას, მიდის და თავს იკლაფს. სხვა თავს იმიტომ იკლაფს, რომ პარალიზებული შვილი ჰყავს. „რატომ უნდა მყავდეს მე პარალიზებული ბავშვი?“ - ამბობს ასეთი ადამიანი და სასოწარკვეთაში ვარდება; მაგრამ, თუ ბავშვის ავადმყოფობა მისი ბრალია და იგი ამას გრძნობს, მან უნდა მოინანიოს ეს. როგორ შეიძლება თავის მოკვლა და ბავშვის ღია ცის ქვეშ დატოვება? განა ამის შემდეგ მისი დანაშაული ბავშვის წინაშე არ დამძიმდება?

- *გერონდა, ხშირად გვეხმის, რომ ადამიანმა თავი მოიკლა, რადგან სულიერად ავადმყოფი იყო.*

- სულიერად ავადმყოფ ადამიანებს, რომლებიც სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ, დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება აქვთ, რადგან მათი გონება წესრიგში არ არის. ასეთ ადამიანს შეიძლება ღრუბლების გროვამაც კი აუფორიაქოს სული. მაგრამ იმ თვითმკვლელებზე, რომლებიც არ არიან სულიერად დაავადებულნი, ეკლესია არ ლოცულობს, ისევე როგორც არ ლოცულობს ის გარდაცვლილი ერეტიკოსებისთვის. ასეთი ადამიანების სახელს მღვდელი კვეთისას არ იხსენიებს და მათ სახელზე ნაწილებს არ იღებს, რადგან ეს ადამიანები თვითმკვლელობით უარს ამბობენ სიცოცხლეზე, სძულთ იგი. სიცოცხლე კი ღვთის საჩუქარია. ასეთი ადამიანები თითქოს სახეში ახლიან უფალს ამ საჩუქარს.

იღუმენია ფილოთეას საუბარი ბერ პაისი ათონელთან

წიგნიდან „ოჯახური ცხოვრება“

სტაფრო ი-ს სიკვდილის შიშის შესახებ

ნეტარ დიაკვან აბაკუმის შესახებ თუ გაგიფიქრია? როდესაც თურქებს იგი ბორკილდადებული მთელი ბელგრადის გავლით მიჰყავდათ, რათა სარზე ჩამოეცვათ, ეს მამაცი ბოსნიელი მღეროდა: „ქრისტეს სერბს უხარია სიკვდილი!“ ეს სიტყვები პავლე მოციქულის ხასიათშია, ფილიპელებს რომ მიმართავდა: „გული მეტყვის განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად, უფროსი და უმჯობეს ფრიად; ხოლო დადგრომბი ხორცთა შინა უნებელადრე თქვენვის“ (I ფილიპ. 1-24), მოციქული ლაპარაკობს არა სიკვდილზე, არამედ ერთი ცხოვრებიდან მეორეში გადასვლაზე და ის ცხოვრება ამ ცხოვრებაზე მეტად ახარებს.

ამას წინათ ერთ მონსტრულ კაცს ვკითხე, ღვთისგან უფრო რის მიღება სურდა. მან მკერდზე ხელი მიიდო და მიხრია:

- სიკვდილის, მხოლოდ სიკვდილის.
- შემდგომი ცხოვრებისა თუ გწამს?
- სწორედ ამ რწმენის გამო მსურს, მაღეგე მოგაკვდე - თქვა მონსტრმა.

ურწმუნოთ სიკვდილის ეშინათ, რადგან მასში ცხოვრების განადგურებას ხედავენ. ბევრ მორწმუნეს სიკვდილის ეშინია იმიტომ, რომ მიწაზე თავიანთი მორჩილების შესრულება არ დაუსრულებიათ. სიკვდილისწინა შიშის განცდა ზოგ წმინდანსაც კი ჰქონდა; როდესაც ანგელოზები წმ. სისოის სულის წასაყვანად მოვიდნენ, ეს ზეციური ადამიანი ლოცულობდა ამ ცხოვრებაში მცირე ხნით მაინც დაეტოვებინათ, რომ შეენანა და იმქვეყნიური ცხოვრებისთვის მომზადებულიყო. უფრო სწორად, წმინდანებს ეშინოდათ არა სიკვდილის, არამედ სიკვდილის შემდგომი ღვთის სამსჯავროსი. და ეს ერთადერთი გამართლებული შიშია ქრისტიანისთვის, რომელსაც მარადიული ცხოვრებისა და ღვთის სამსჯავროს არსებობის მტკიცედ სჯერა. სიკვდილის შიში ზეციური ცხოვრების რწმენის გარეშე მხოლოდ კისერზე გამობმული თოკია, რომლითაც სიკვდილი განსჯილებს თავის ხანაში ექაჩება. ურწმუნოსთვის ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა სიკვდილის შებერვა, რომელიც აშლის და დაბლა ყრის მკვდარ ფერფლს, ქექავს და მიწას აკრავს მას. უღმერთოს ყველაფერი ლოგიკურად ბოლომდე რომ გაეაზრებინა, იტყოდა, რომ სიცოცხლე საერთოდ არ არსებობს, სიკვდილი მისი ერთადერთი რწმენაა. სიკვდილი - ერთადერთი მარადიული ძალაა, სიკვდილი - ერთადერთი ღმერთია.

ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის კი, ის სკოლის დამთავრებაა, სამხედრო სამსახურის დასრულების სიგნალი და სამშობლოში დაბრუნებისკენ მოწოდებაა. ქრისტეს მორწმუნეთათვის სიკვდილი თავისთავად არაფერია. უფალმა მართას უთხრა და დღესაც გვეუბნება: „*მე ვარ აღდგომი და ცხოვრება, რომელსა ჰრწმუნეს ჩემი, მო-ღათუკუდეს, ცხოვნიდესვე*“ (იოან. 11-25). ვის ვერწმუნოთ, თუ არა ქრისტეს, ძმაო სტავრო?

ადამიანებს მაშინაც კი ვერ დაუჯერებ, როცა თავის სახელს გეუბნებიან, და უფრო ნაკლებად „ხვალ გადავიხდით“ რომ ამბობენ, მითუქეტეს, თუ ღრმა და ამადლებულ თემებზე საუბრობენ. სიკვდილისა და იმის შესახებ, მის მერე რა იქნება, ძე ღვთისას გარდა, არავინ იცის. მან იცოდა, განგვიცხადა და დაგვანახა. მოციქულის თქმით, მისმა გამარჯვებამ სიკვდილი განაქარვა (I კორ. 15-26). რატომღა უნდა გვეშინოდეს იმის, რაც ქრისტეს აღდგომითაა ძლეული? სიკვდილზე გამარჯვებულსა და ცხოვრების მომნიჭებელზე მიკრულებს სიკვდილის შიში არ აკვიდებათ.

და მაინც, ერთი სახის შიში მაინც რჩება, საფსებით მართებული და გამართლებული, შიში, რომელსაც სიკვდილის წუთებში წმინდანთა სულებიც კი განიცდიან. ეს არის არა შიში სიკვდილისა, არამედ შიში თავიანთი სულიერი უწმინდურების გამო მარადიული ცხოვრებისთვის მზად არყოფნისა, რამეთუ უწმინდურნი ღმერთისა და ზეციურ ჭეშმარიტ ცხოვრებას ვერ იხილავენ.

დაჲ, უფალი იყოს შენი მხნეობა და ნუგეში!

წმ. ნიკოლოზ სერბი (ეკლემიწოვიჩი)

წიგნიდან “მისიონერის წერილები”

ირწმუნე!

თავადი ვლადიმერ სერგის ძე დოლოგორუკი რუსეთის მეფის კარზე მსახურობდა. იქ თავისუფალი აზროვნებით დააგაღდა, არც ღმერთის და არც იმქვეყნიური ცხოვრების აღარ სჯეროდა. ეს რომ მისმა ძმამ, თავადმა პეტრემ, შეიტყო, შეწუხდა და წერილი მისწერა: „*მერწმუნე, ძმაო, ჭეშმარიტი სარწმუნოების გარეშე არ არსებობს ბედნიერება. იგი აუცილებელია მომავალი ცხოვრებისთვისაც*“. უხსნიდა, არწმუნებდა, მაგრამ - ამოდ. ამგვარი წერილები მხოლოდ ღიმილს ჰგვრიდა თავად ვლადიმერს.

ერთხელაც, მეფისგან დაბრუნებულმა ძლიერი დაღლილობა იგრძნო, სასწრაფოდ დაწვა და ძალე ჩაეძინა. უცებ იგრძნო, თითქოს ვიღაცამ საბანი გადაუწია, მიუახლოვდა და ცივი ხელით ხელზე მოუჭირა. შეხედა, მის წინ პეტრე დგას და ეუბნება: „*ირწმუნე!*“. ძმის უცარი გამოჩენით განარებულმა წამოიწია, რომ მოხვეოდა, მაგრამ ხილვა გაქრა. იმდენად ცხადად

მოეჩვენა, ძმა ჩამოვიდაო, რომ მსახურებიც დაკითხა - სად წავიდა ჩემი ძმაო. ბოლოს დარწმუნდა, ალბათ მომეჩვენა, ან დამეხიზმრაო. თუმცა ძმის ნათქვამმა: „ორწმუნე!“ მოსგებება მაინც დაუკარგა.

ჩაიწერა რიცხვი, საათი და წუთი, როცა ეს ხილვა ჰქონდა. ძალიან მალე მიიღო ცნობა, რომ სწორედ იმ დღეს და იმ დროს გარდაიცვალა მისი ძმა - პეტრე სერგის ძე დოლოგორუკი.

იმ დღიდან იგი ჭეშმარიტი მორწმუნე ქრისტიანი შეიქნა.

არის კიდევ სხვა ცხოვრებაც

„ერთ ექიმს, სახელად გენადის - ყველა ნეტარი ავგუსტინე - არ სწამდა სულის უკვდავებისა და იქვეყნიური ცხოვრების. ერთხელ დაესიზმრა ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელმაც უთხრა, გამომყევო; წავიდნენ და მიაღწენ რაღაც ქალაქს. მცირე ხნის შემდეგ ისევე ესიზმრა ის ყმაწვილი და ჰკითხა:

- მიცნობ?
- ძალიან კარგად, - უპასუხა ექიმმა.
- საიდან მიცნობ?
- შენ წამიყვანე ქალაქში, სადაც არაჩვეულებრივად ტკბილი სიმღერები მოვისმინე.
- სად ნახე ეს ქალაქი და სად მოისმინე სიმღერა, ცხადში თუ სიზმარში?
- სიზმარში.
- ახლა რომ გესაუბრები, სიზმარია თუ ცხადი?
- სიზმარი.
- მაშინ, სად არის შენი სხეული ახლა?
- საწოლში.
- თუ იცო, რომ შენი ფიზიკური თვალებით ახლა გერაფერის ხედავ?
- ვიცი.
- მაშინ, რა არის ის თვალი, რითაც ახლა ხედავ?

ექიმმა არ იცოდა, რა უპასუხა, ყმაწვილმა კი უთხრა:

- როგორც ახლა, ამ წუთში მხედავ, თუმცა შენი თვალები დახუჭული და გრძნობები უმოქმედოა, ესე იცხოვრებ გარდაცვალების შემდეგ, შენ დაინახავ, მაგრამ სულიერი თვალებით, ამიტომ გჯეროდეს, რომ ამის გარდა არის კიდევ სხვა ცხოვრებაც.“

მამამ მე უკვე გარდაცვლილმა დამლოცა...

ეს იყო დიდი ხნის წინათ, როცა მე ჯერ კიდევ კომერციულ სასწავლებელში ვსწავლობდი - მოგვიტონობს მწერალი კელსიევი - მე სასწავლებლის შორიანლოს ვცხოვრობდი, მამაჩემი კი ოჯახით ვასილევსკის კუნძულზე სახლობდა. იგი მთხელედ მსახურობდა საბაჟოზე და ბირჟის ახლოს ეჭირა სახელმწიფო ბინა. იგი იშვიათად თუ ახერხებდა ჩემს მონახულებას. ერთხელაც დამით, როცა ოთახში მარტო ვიყავი, ჯერ კიდევ არ მეძინა და წიგნს ვკითხულობდი, ვხედავ: კარი იღება და ოთახში მამაჩემი შემოდის, ფერმკრთალი და სევდიანი: მე სრულებით არ გამეკვირვებია მისი მოსვლა, ჩვეული ვიყავი მის მზრუნველობას. იგი მომიანლოვდა და მითხრა: „ვასია, მე შენს დასალოცად მოვედი... იცხოვრე კარგად და არ დაივიწყო ღმერთი“. მითხრა, დამლოცა, როგორც წესია და გაუჩინარდა, ე.ი. იმავე კარით გავიდა.

ამ მონახულებამ, როგორც ჩვეულებრივმა ამბავმა, ჩემზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოახდინა. მაგრამ როგორც იყო შემდგომ ჩემი გაოცება, როცა მოგვიანებით კარზე დამიკაკუნეს

და მეეტლემ მაუწყა, რომ მამაჩემი ახლახანს გარდაიცვალა, თითქმის იმ დროს, როცა იგი ჩემს ოთახში ვიხილე. მაშინ ჩემთვის ნათელი გახდა - მამამ მე უკვე გარდაცვლილმა დამლოცა.

წმინდან „საიქით ცხოვრების საიდუმლოებანი“

გაცოცხლებიან თუ არა ადამიანის ძელები?

უსაზღვრო იყო ძველ ოუდეველთა მწუხარება და სასოწარკვეთა, როდესაც ნანგრევებად იქცა იერუსალიმი და თვით ოუდეველნი ბაბილონის მონობაში აღმოჩნდნენ. „სადა არიან წყალობანი შენნი პირველნი, უფალო, რომელ ეფუცე დაავითს“ (ფსალ. 88, 49), შეჰკლადებდნენ ისინი ღმერთს. „ხოლო აწ განმიშორენ და მარცხვინენ ჩუენ... მიძეენ ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი შესაჭმელნი და წარმართთა შორის განმთესენ ჩუენ“ (ფსალ. 43, 9-10).

მაშინ, როცა გადარჩენის იმედი არავის ჰქონდა, უფალმა ასევე ტყვეობაში მყოფი ეზეკიელი წინასწარმეტყველი ღირს-ჰყო საკვირველი ხილვისა. „იყო ხელი უფლისა ჩემზედა“ - გვაუწყებს იგი ამის შესახებ. ღვთის უნილაგმა მარჯვენამ დასვა იგი შუაგულ ველზე, რომელიც ძელებით იყო საფსე და ჰკითხა მას უფალმა: - „ადამის ძეგ! თუ გაცოცხლებია ეს ძელები?“ „უფალო ღმერთო, შენ უწყი“, - უბასუხა წინასწარმეტყველმა. მაშინ ხმამ ღვთისამ უბრძანა წინასწარმეტყველს, ეთქვა ძელებისათვის, რომ მისცემს მათ უფალი სულს ცხოვრებისას, შემოსავს ძარღვებით, ხორციითა და კანით. აღმოთქვა წინასწარმეტყველმა სიტყვა უფლისა, გაისმა ხმა, შეზანზარდა მიწა და იწყეს ძელებმა შეერთება, ძვალი ძვალს მიედგა, ძარღვები გაჩნდა მათზე, შეესხათ ხორცი და ზედ კანი გადაეკრათ, ისე რომ, მთელი ველი გაიფსო ადამიანთა სხეულებით, მხოლოდ სული არ იყო მათში. კვლავ მოესმა ღვთის ხმა წინასწარმეტყველს, მისი ბრძანებით კვლავ წარმოთქვა სიტყვა უფლისა და ქვეყნის ოთხივე კიდიდან მოფრინდნენ სულები, შევიდა სული ცხოვრებისა სხეულებში, ისინი ფეხზე დადგნენ და აიფსო ველი კაცთა დიდძალი ლაშქრით.

და თქვა უფალმა: „ადამის ძეგ, მთელი ისრაელის სახლია ეს ძელები... ამბობენ - წარხორცილია ჩვენი სასო, გამწყდარი ვართო... აჰა, გაგხსნი თქვენს საფლაგებს და ამოგიყვანთ თქვენი საფლაგებიდან, ჩემო ერო... ჩაგიდგამთ ჩემს სულს და გაცოცხლებით, დავსვამთ თქვენს მიწაზე“.

ამგვარად განუცხადა უფალმა ღმერთმა ეზეკიელს, რომ ურყევია მისი აღთქმანი და ადამიანთა გონების მიერ შეუძლებლად მიჩნეული აღსრულება ღვთის ძალით.

ეს ხილვა ნიშნავდა იმას, რომ ტყვეობისაგან განთავისუფლებული ისრაელი დაუბრუნდებოდა თავის მიწას, უმაღლესი აზრით კი მიუთითებდა სულიერი ისრაელის დამკვიდრებაზე ქრისტეს მარადიულ ზეციურ სასუფეველში. ამავე დროს ეს იყო წინასახე ყველა გარდაცვლილის მომავალი საყოველთაო მკვდრეთით აღდგომისა.

ამიტომაც ეზეკიელის ეს წინასწარმეტყველება იკითხება დიდი შაბათის ცისკარზე, როდესაც თავისი სიკვდილით ქრისტემ შემუსრა ბჭენი სიკვდილისანი და ყველა გარდაცვლილს განუღო საფლაგის კარი.

რწმენა აღდგომაში ქვაკუთხედია ჩვენი სარწმუნოებისა. „უკეთუ აღდგომაი ძეუდართაი არა არს, არცა ქრისტე აღდგომილ არს. უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგება ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოება ევე თქუენი“ (1 კორ. 15, 13-14). თუ არ არის აღდგომა, ცრუა მთელი ქრისტიანული სწავლება. არაერთხელ უმძლავრიათ ურწმუნოების ტალღებს, მაგრამ უკან დაუხევიათ ახალი ნიშნების წინაშე, რომლებიც მოწმობდნენ აღდგომის ჭეშმარიტებას, მკვდრად აღიარებულის ღვთის მიერ განცხობვლებას.

V საუკუნეში იმპერატორ თეოდოსი მცირის ზეობის უამს ძლიერ გავრცელდა ეჭვი მკვდართა აღდგომაში, ისე რომ, ეკლესიებიც კი კამათობდნენ ამის შესახებ. სწორედ იმ დროს მოხდა საკვირველი მოვლენა, რომლის უტყუარობასაც მთელი რიგი ისტორიული საბუთები ადასტურებს.

ჯერ კიდევ III ასწლეულის შუა ხანებში, იმპერატორ დეკის მეფობისას (249-251), მისივე განკარგულებით ქალაქ ეფესოს მახლობლად მდებარე მღვიმე, რომელშიც შვიდი ყრმა იმყოფებოდა, ქვებით ამოავსეს. ეფესოს ქალაქმთავრის ძემ, მაქსიმელიანემ, და მისმა ექვსმა მეგობარმა - იამვლიქომ, დიონისემ, იოანემ, ანტონინემ, მარტინიანემ და ექსაკუსტორდიანემ თავი ქრისტიანებად აღიარეს და უარი თქვეს მსხვერპლი შეეწირათ კერპებისათვის. შემდგომ მათ ისარგებლეს მათთვის მოსაფიქრებლად მიცემული დროით და იმპერატორის დროებითი გამგზავრებით, დატოვეს ეფესო და ახლომხლო მთებში ერთ-ერთ მღვიმეს შეაფარეს თავი. როდესაც დეკი დაბრუნდა და შეიტყო მომხდარის შესახებ, ბრძანება გასცა, მღვიმეში შესასვლელი ქვებით ამოეფსოთ, რათა ჰაერსა და საკვებს მოკლებული ყრმანი იქ ცოცხლად დამარხულიყვნენ. როცა დეკის ბრძანება სისრულეში მოჰყავდათ, ორმა ფარულმა ქრისტიანმა, თეოდორემ და რუფინემ, ეს ამბავი კალის ფირფიტებზე ჩაწერეს და მღვიმის შესასვლელთან ქვებს შორის დამალეს.

მღვიმეში მყოფმა ყრმებმა არ იცოდნენ, რა მოხდა. წინააღმდეგ, როდესაც გაიგეს ქალაქში დეკის ჩამოსვლა და მხურვალედ ილოცეს ღვთისადმი, მათ მაგარი, არაჩვეულებრივი ძალით დაიძინეს, რომელიც დაახლოებით 172 წელი გაგრძელდა. გაიგვიეს ყრმებმა მხოლოდ თეოდოსი მცირის ზეობისას, სწორედ მაშინ, როცა მიდიოდა კამათი მკვდრებით აღდგომაზე. იმ დროისათვის იმ ადგილის მაშინდელმა მფლობელმა მღვიმის ამოქოლილი შესასვლელი ქვებისგან გაათავისუფლა და მშენებლობაზე გამოიყენა; და მას აზრადაც არ გაუგლია, რომ მღვიმეში ყველასგან დიდი ხნის წინათ დაფიქრებული ბავშვები იმყოფებოდნენ. გამოღვიძებულ ყრმებს ეგონათ, რომ მხოლოდ ერთი დამე კმინათ, რადგან მღვიმეში არანაირი ცვლილება არ შეუმჩნევათ და თვითონაც საფსებით არ შეცვლილიყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე უმცროსი, იამვლიქო, რომელიც ადრე ქალაქში დადიოდა სურსათ-სანოვაგაზე, მეგობრებთან ერთად ღვთისადმი ლოცვის შემდეგ ეფესოში გაემართა საკვების საყიდლად და იმის შესატყობად, ეძებდნენ თუ არა მათ. ყრმა გააოცა მომხდარმა ცვლილებამ - იგი ხედავდა ჯერ კიდევ გუშინ არარსებულ, როგორც მას ეჩვენებოდა, ეკლესიებსა და ესმოდა სახალხოდ წარმოთქმული სახელი ქრისტესი. იამვლიქომ იფიქრა, შეცდომით სხვა ქალაქში მოვხვდიო და პურის ყიდვა მაინც გადაწყვიტა, მაგრამ როდესაც პურის საყიდლად შეფურთუშეს მონეტა გაუწოდა, იგი დაჟინებით მიატყერდა მას და ჰკითხა, თუ სად იბოვა განძი. ამოდ არწმუნებდა იამვლიქო, რომ განძი მას არ უბოვია და რომ ფული მშობლებისგან მიიღო; ამასობაში კი ხალხი შეგროვდა და პასუხს სთხოვდა კითხვაზე, თუ საიდან ჰქონდა ძველებური ფული. იამვლიქომ დაასახელა თავისი მშობლებისა და მეგობრების სახელები, მაგრამ მათ არაფერი იცნობდა, ბოლოს კი შეიტყო შეკრებილთაგან, რომ იგი ნამდვილად ეფესოში იმყოფებოდა, თუმცა იმპერატორ დეკის მაგივრად, რომელიც დიდი ხნის წინ გარდაცვლილიყო, ქრისტესმოყვარე თეოდოსი მეფობდა.

საკვირველმა ამბავმა ქალაქმთავრისა და ეპისკოპოსის ყურამდეც მიაღწია; იამვლიქოს სიტყვების შესამოწმებლად მათ მისი თანხლებით მღვიმეს მიაშურეს, სადაც იბოვეს ექვსი დანარჩენი ყრმა, მღვიმის შესასვლელთან კი აღმოაჩინეს კალის ფირფიტები, საიდანაც შეიტყვეს, თუ როგორ და როდის აღმოჩნდნენ ყრმები მღვიმეში. ყოველივე მომხდარი ქალაქმთავარმა დაუყოვნებლივ აუწყა მეფეს, რომელიც პირადად ჩამობრძანდა ეფესოში და ესაუბრა ყრმებს. ერთ-ერთი საუბრის დროს მათ თავები მოდრიკეს და საუკუნოდ მიიძინეს. ხელმწიფემ მოისურვა მათი დედაქალაქში გადასვენება, მაგრამ ძილში ყრმები გამოეცხადნენ, რომლებმაც ამცნეს მას, იმავე მღვიმეში მიეჩინა მათთვის საუკუნო სამყოფელი, სადაც უკვე მრავალი წლის მანძილზე ეძინათ საკვირველი ძლით. ყრმების სურვილი შეასრულეს; მათი წმინდა სხეულები საუკუნეების მანძილზე განისვენებდნენ იმ

მღვიმეში. XII საუკუნის რუსი მოგზაური და წმინდა ადგილების მოძლოცველი ანტონი აღწერს, თუ როგორ სცა თავყვანი მათ.

ყრმათა სასწაულებრივი გამოღვიძება მაშინ მიღებულ იქნა როგორც წინასახე და მტკიცება აღდგომისა. ყველგან გაგრცელდა ცნობა ამ მოვლენის შესახებ; მას მოიხსენიებს რამდენიმე თანამედროვე ისტორიკოსი, მასზე იყო საუბარი მცირე ხანში ეფესოში გამართულ III მსოფლიო კრებაზეც. ამ გასათვარმა სასწაულმა განუმტკიცა ხალხს რწმენა აღდგომაში. აშკარად გამოვლინდა ძალა ღვთისა, რომელმაც ხანგრძლივი დროის მანძილზე უნრწნელად შეინახა ყრმათა სხეულები და შესამოსელი; როგორც აღადგინა ეფესელი ყრმები ძილისაგან უფაღმა, ისევე შეკრებს იგი ძელებს და აღადგენს მკვდრებს, როგორც ეს იხილა ეზეკიელ წინასწარმეტყველმა: „აჰა, გავხსნი თქვენს საფლავებს და ამოგიყვანთ თქვენი საფლავებიდან, ჩემო ერთ... და დაგსვამთ თქვენს მიწაზე და მიხვდებით, რომ მე, უფაღმა ვიქნები და აღვასრულებ, ამბობს უფაღი.“ (ეზეკ. 37, 12-14).

მაინც რა მიანიჭებს ნუგეშს გარდაცვლილის სულს?

როგორ შევძლებთ ყველაზე უკეთ მივაგოთ პატივი გარდაცვლილ სულს?

ჩვენ ხშირად ვხვდებით მოწმენი გარდაცვლილის ნათესავების მისწრაფებისა, რაც შეიძლება მდიდრულად ჩაატარონ დაკრძალვა და მოაწყონ საფლავი. დიდი თანხები იხარჯება ხოლმე ძვირფასი ძეგლების აღსამართავად.

ბევრ ფულს ხარჯავენ ნათესავები და ნაცნობები გვირგვინებსა და ყვავილებზე, მაშინ როცა ამ უკანასკნელთა ამოღება სასახლიდან ჯერ კიდევ მის დახურვამდე უნდებოთ, რათა მათ არ დაახქარონ სხეულის გახრწნა.

მაგანთ სურთ, პრესაში გამოქვეყნებული განცხადებით გამოხატონ თავიანთი პატივისცემა გარდაცვლილისადმი და თანაგრძნობა მისი ნათესავების მიმართ, თუმცა კი თვით ამგვარი გზა საკუთარი გრძნობების გამოვლენისა მიუთითებს მათ არასიღრმისეულობასა და სიყალბეზე, რადგან გულწრფელად მგლოვიარე არ შეუდგება თავისი მწუნარების სახალხოდ გამოთქმას; თანაგრძნობის გამოხატვა შეიძლება გაცილებით უფრო თბილად, პირადად.

მაგრამ ყოველივე ამისგან გარდაცვლილი არ იღებს არანაირ სარგებელს. მკვდარი სხეულისათვის სულერთია, სად იწვეება, მდიდრულ თუ ღარიბულ სასახლეში, ძვირფას თუ მოკრძალებულ საფლავში. ვერ გრძნობს იგი მოტანილი ყვავილების სურნელს, არ სჭირდება მას გლოვის ფარისეულური გამოხატვა. სხეული ხრწნას იწყებს, სული კი ცოცხალია, მაგრამ მეტად აღარ განიცდის სხეულის ორგანოებით აღქმად გრძნობებს. სხვა ცნოვრება დადგა მისთვის და სხვაგვარი დახმარება სჭირდება მას.

სწორედ ის, მისთვის საჭირო, უნდა გაგაეკეთოთ ჩვენ, თუ ნამდვილად გვიყვარს გარდაცვლილი და გვსურს, წყალობა გავიდეთ მისთვის!

მაინც რა მიანიჭებს ნუგეშს გარდაცვლილის სულს?

უწინარეს ყოვლისა - გულწრფელი ლოცვა მასზე, როგორც ლოცვა პირადი და საშინაო, ასევე განსაკუთრებით საეკლესიო ლოცვები, შეერთებული უსისხლო მსხვერპლთან, ანუ მოხსენიება ლიტურგიაზე.

გარდაცვლილთა არაერთი გამოცხადება და სხვა ხილვები მოწმობენ, თუ რა უზარმაზარ წყალობას იღებენ ისინი მათზე ლოცვითა და მათთვის უსისხლო მსხვერპლის გაღებით.

სხვა რამ, რასაც დიდი ნუგეში მოაქვს მიცვალებულთა სულებისთვის, არის მათთვის გაღებული მოწყალება. დაახურო მშვიერი გარდაცვლილის სახელით, შეეწით უპოვარს - იგივეა, ეს თავად გაუკეთო მას.

ღირსმა დედამ ათანასიამ (ხსენების დღე 12 აპრილი) სიკვდილის წინ დატოვა ანდერძი - მის მოსახსენებლად დარიბები გამოეკვებათ ორმოცი დღის მანძილზე, თუმცა მონასტრის დედების დაუდევრობის გამო მხოლოდ ცხრა დღის მანძილზე აღასრულებდნენ მის თხოვნას.

მაშინ წმიდანი ორ ანგელოზთან ერთად გამოეცხადა მათ და უთხრა: „რატომ დაიფიქვეთ ჩემი ანდერძი? იცოდეთ, რომ სულისათვის ორმოცი დღის მანძილზე გადებული მოწყალეობა და მღვდლის ლოცვა მოწყალეურობს ღმერთს: თუ გარდაცვლილთა სულები ცოდვილები იყვნენ, უფალი მათ ცოდვათა მიტეკვებას ანიჭებს; და თუ იყვნენ მართალნი, მათთვის მლოცველთ ღვთისგან დიდი წყალობა მიეცემა“.

ყველა ჩვენგანისათვის განსაკუთრებით მძიმე დღეებში უგუნურებაა ფულის ხარჯვა უსარგებლო საგნებსა და საქმეებში, ხოლო თუ მათ გლახაკთათვის გამოვიყენებთ, ერთდროულად ორ ქველ საქმეს გაგაკეთებთ - შეგვწევით თვით გარდაცვლილს და მათაც, ვისაც აღმოგუჩნთ დახმარებას.

ნათესაგებთ და ახლობლებო!

„მოგული აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა“.

უნუგეშო და უსაზღვრო უნდა ყოფილიყო ახლობელთა გარდაცვალებით გამოწვეული ჩვენი მწუხარება, საუკუნო ცხოვრება რომ არ მოენიჭებინა უფალს ჩვენთვის. აზრსმოკლებული იქნებოდა ჩვენი სიცოცხლე, სიკვდილით რომ დასრულებულიყო იგი. რაღა სარგებელია მაშინ სათნოებისაგან, კეთილ საქმეთაგან? მართალნი ყოფილან მაშინ ისინი, ვინც გაიძახიან „ვჭამოთ და ვსვათ, რამეთუ სვალ მოგვდებთ!“ მაგრამ ადამიანი უკვდავებისათვის არის შექმნილი და თავისი მკვდრეთით აღდგომით ქრისტემ ზეციური სასუფეველის, მარადიული ნეტარების ბჭენი განუხვანა მისდამი მორწმუნეთა და მართალი ცხოვრებით მცხოვრებთ. მიწიერი სიცოცხლით ვემზადებით მომავალი, საუკუნო ცხოვრებისათვის, ჩვენი გარდაცვალებით ეს სამზადისი მთავრდება. „კაცი ჯერ არს ერთხელ გარდაიცვალოს, მერე კი სამსჯავროთა“. ტოვებს მაშინ ადამიანი ყველა თავის ამქვეყნიურ საზრუნავს, სხეული იშლება, რათა კვლავ აღდგეს საყოველთაოდ აღდგომის ჟამს; მისი სული კი განაგრძობს სიცოცხლეს და არც ერთი წამით არ წყვეტს თავის არსებობას. გარდაცვლილთა მრავალრიცხოვანი გამოცხადებით ჩვენთვის ნაწილობრივ ცნობილია, თუ რა მისდის სულს სხეულიდან გამოსვლის შემდეგ. როდესაც წყდება მის მიერ ხორციელი თვალეებით ხედვა, მაშინ ეხსნება მას ხედვა სულიერი. ხშირ შემთხვევაში მომაკვდავთ იგი ჯერ კიდევ აღსასრულამდე ეწყებათ, ისინი ხედავენ და ესაუბრებიან გარშემომყოფთ, ხედავენ იმას, რაც სხვების თვალთაგან დაფარულია. სხეულიდან გამოსვლისთანავე სული სვავა, კეთილ და ბოროტ სულებს შორის აღმოჩნდება. ჩვეულებრივ იგი მიისწრაფვის მათკენ, ვისთანაც უფრო მეტად იყო შეთვისებული სულით, და თუ სხეულში ყოფნის ჟამს იგი ბოროტი სულების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მათსავე მორჩილებაში რჩება სხეულის დატოვების შემდეგ, რაც უნდა უსიამოვნოდ აღმოჩნდეს მისთვის მათთან შეხვედრა.

იმაზე, თუ როდენ საზარელი არიან ეშმაკნი და მათი საზვერენი, მიგვითითებს ის, რომ თვით ღვთისმშობელი, რომელსაც მთავარანგელოზ გაბრიელისგან ეუწყა მოახლოებული მიძინების შესახებ, ეკვდრებოდა თავის ძეს, ეხსნა იგი ეშმაკთაგან; შეისმინა რა მისი ლოცვა, თვით უფალი იესო ქრისტე გარდამოხდა ზეციით, რათა მიეღო თავისი ყოვლადწმიდა დედის სული და აღემაღლებინა ცად.

ახლობლებმა თვითონ უნდა იზრუნონ და შეუკვეთონ ორმოცდღიანი მოსახსენებელი იქ, სადაც ყოველდღიური წირვა-ლოცვაა. კარგია გაიფხავნოს მოსახსენებელი მონასტრებსა და იერუსალიმში, სადაც გამუდმებული ლოცვაა წმინდა ადგილებთან. მაგრამ საჭიროა ორმოცდღიანი მოსახსენებელი

გარდაცვალებისთანავე იქნას შეკვეთილი, როდესაც სული განსაკუთრებით საჭიროებს ლოცვით შეწევნას.

ვიზრუნოთ იმქვეყნად ჩვენზე უწინარეს მიმავალთათვის, გავაკეთოთ მათთვის ყველაფერი, რაც ძალგვიძის; გვანსოვდეს, რომ „*ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რაშეთუ ივინი შეიწყალნენ*“.

წმიდა ებსკოპოსი იოანე (მაქსიმოვიჩი)

„შემუდარებოდნენ, დამერწმუნებინა მათი ნათესავები“

ერთხელ, ღამით, როცა ოჯახის წევრებს ღრმა ძილით ეძინათ, ვასილი ჩვეულებისამებრ ლოცვად დადგა. უეცრად საოცარმა სინათლემ მოსჭრა თვალი - მის წინ წმიდა ნიკოლოზი გამოჩნდა და უთხრა: „წამოდი ჩემთან ერთად“.

მოგვიანებით ვასილი ყვებოდა: „ჩემი სახლი თითქოს გაქრა, ირგვლივ მხოლოდ სინათლე იყო. მანათობელ ბერთან ერთად სწრაფად ვშორდებოდი მიწას, მაგრამ საითკენ, არ ვიცოდი. ასევე არ ვიცოდი, სხეულით მივდიოდი თუ მხოლოდ სულით. მახსოვს ერთი, რომ ძალიან დიდხანს მივდიოდით. უცბად აღმოვჩნდით დაკეტილი კარების წინ, რომელსაც საშინელი შესახედაობის უამრავი ბორბლი დემონი ყარაულობდა.“

- გაგვატარეთ! - მოითხოვა წმიდა ნიკოლოზმა.
- არა, ვერ გაგატარებთ, - ერთხმად გვიპასუხეს დემონებმა.
- რატომ?

- ის (ჩემზე მოუთითეს) სხვებსაც მოუყვება აქაურ ამბებს და ჩვენ ზარალში ჩავცვივდებით. ცოცხლები შეშინდებიან, გონს მოგვლენ, წესიერ ცხოვრებას დაიწყებენ და ჩვენს ხრიკებს არად ჩააგდებენ. ამას გარდა, თავიანთ გარდაცვლილებსაც დაუხმარებინან მოწყალეობით, პანაშვიდებით, საღვთო საიდუმლოსთან მოხსენებით და ზეციური განმგებლის ბრძანებით გასაჭირს ააცილებენ.

მაგრამ წმიდა ნიკოლოზი მბრძანებლურად წავიდა წინ, კარები გაიღო და ჩვენ აღმოვჩნდით თავად ჯოჯოხეთში - იქ, სადაც მოუნანიებელი ცოდვილები იტანჯებიან! წმიდა ნიკოლოზი რომ არა, დემონები სიამოვნებით დამგლეჯდნენ, მათი სიმახინჯის შემხედვარე ჩემი სული კი სხეულს გაეყრებოდა.

ჯოჯოხეთის სატანჯველი იმდენად მრავალფეროვანი და შემზარავი იყო, რომ მისი სრულად გადმოცემა შეუძლებელია. ზოგი ყინულზე საშინელ სიცივეში იდგა, ზოგი სხვადასხვა მდგომარეობაში ყინულით იყო შებოჭილი, ზოგს შემოდგომის ძლიერი ქარი უტევდა, ზოგი ზამთრის ქარბუქში, განუწყვეტელ თოვლსა და მოზუზუნე ქარქვეშ იდგა; ზოგს ცეცხლის ალი წელამდე ფარავდა, ზოგს - კისრამდე, ზოგს კი - თავიდან ბოლომდე; ზოგი აბუყბუყბულ შავ მასაში (ასფალტის თუ ფისის) დუღდა; ზოგი შეკრული, დაკრუნჩხული თუ ჩამოკიდებული იყო მათ. ირგვლივ დემონები დათარეშობდნენ და უმოწყალოდ სცემდნენ. შემდეგ ზედ მოასხდებოდნენ და ამხედრებულები დაქროდნენ. ზოგიერთები მიწაში სხვადასხვა სიღრმეზე იყვნენ ჩამარხული, სხვები ჭაობში იძირებოდნენ, ზოგი წყალში და ზოგიც წვიმაში იდგა. ზოგიერთი ფუფუნებით დაფარულიყო, კუთრით იტანჯებოდა. სხვებს გველები ან ჭია-მატლები დახვეოდა. ირგვლივ კვნესა, აუტანელი ტკივილებითა და შიშით გამოწვეული ყვირილი, ცრემლები, კბილთა ღრჭენა, წყვდიადი და აუტანელი სიმყრალე იდგა. იმ სატანჯველის ჩამოთვლა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ მიწიერი ადამიანი მაინც ვერ აღიქვამს მთელი სინამდვილით.

ცოდვილებს შორის შეგნიშნე ნაცნობი თანასოფელი - საშინელი ლოთი, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ სულით უკვე ჯოჯოხეთის ბინადარი გამხდარიყო. ბევრი გარდაცვლილი ნაცნობი და ნათესავი იყო მათ შორის. ყველამ შემომჩვილა: „ძვირფასო ვასილ, უთხარი ჩვენს ახლობლებს, რატომ დაგვივიწყეს? მათ გარდა ვინ გამოგვიხსნის აქედან? ახლა თუ არ გვიშველეს,

მერე ვიღას ვემახსოვრებით? მაშინ კი სამუდამოდ აქ დავგრძობით“. ლიტურგიაზე მოსახსენებელი ზოგს - სამი, ზოგს - ხუთი, ზოგს - ათი და ზოგს ორმოციც სჭირდებოდა. მემუდარებოდნენ, დამერწმუნებინა ნათესავები, ძროხა ან ცხენი გაეყიდათ, პანაშვიდები და მოწყალეობა გაეღოთ მათ სახელზე.

უცნობებიც მენგვევობდნენ მოხსენიებას ლოცვებში. დიდხანს დავგრძობ, ბევრი სათხოვარი მოვისმინე და ბევრი საშინელება ვნახე.

როცა წმიდა ნიკოლოზს გამოეყავიდი ჯოჯონეთიდან, დემონები ისევე შემომენგვიგნენ და ბოროტად მიეპიებდნენ: „არც იფიქრო ნანახის ვინმესთვის მოყოლა, თორემ სამაგიეროს გადაგიხდით. ფრთხილად იყავი, არ დაგაგვიწყდეს!“

ლოცვაზე მუხლმოდრეკილი გამოეფინებოდი. ირგვლივ ყველაფერი უცვლელად დამხვდა, მხოლოდ წმიდა ნიკოლოზი აღარსად ჩანდა. ჩემი მოგზაურობის გაანალიზებით მივხვდი, რომ უფალმა საოცარი მოწყალეობა მოიღო და გასაფრთხილებლად ჯოჯონეთის საშინელება მჩვენა. მივხვდი, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეეძლო და საჭირო იყო მიცვალებულების დახმარება.

ფეხზე ძლივს წამოვდექი. ჯოჯონეთის სიმყარე თითქოს ნესტოებში ჩამრჩენოდა და საშინელი ღებინება დამაწყებინა. ოთხი დღე ვერანაირ საჭმელს ვერ მივეკარე. ნანახი მოსვენებას არ მაძლევდა, სული საშინლად მტკიოდა, ბოლოს ლოგინად ჩაგვარდი, მაგრამ ღვთის წყალობით გადავრჩი და ნელ-ნელა დავწყნარდი“.

განცდილის შემდეგ ვასილისთვის მიწიერი საზრუნავი აღარ არსებობდა. ერთადერთი ნუგეში ლოცვა იყო და სურვილი, როგორმე დახმარებოდა გარდაცვლილთა სულებს. არავისთვის გაუმხელია ნანახი - არა დემონების შიშით, არამედ ადამიანების მხრიდან გაუგებრობის გამო, რომ არ ეთქვათ, სიზმარში, ნასვამზე მოგველანდათ.

მაგრამ ერთხელ სწორედ იმ ღვთის შესვლა გზაში, ვისი სულიც ჯოჯონეთში იხილა. შეატყეო, დიდი დღე არ ექცერა, შეეცოდა, გააჩერა და უთხრა: „მე შენ ჯოჯონეთში გინილე შემოფრთხილებს შორის, გონს მოდი, ხანამ გვიან არ არის!“

ამ სიტყვებზე ღვთის ისე გაბრაზდა, რომ მივარდა და კბენა დაუწყეო, ხელებითა და ფეხებით ცემდა. ვასილი შეეხვეწა: „მეკობარო, მე შენ კი არ დავცინე, შემეცოდე და ამიტომ გაგაფრთხილე. შენ კი გეწყინა. ქრისტეს გულისათვის, მაპატიე, მე მხოლოდ სიყვარული მაძიებდა!“ ღვთის, ცემით გულნაჯერები, გაშორდა. ამ დროს დემონების ლეგიონები დაესხა მას თავს, ცემდნენ და ეუბნებოდნენ: „ესეც შენ - იმ ცოდვილის გაფრთხილებისათვის, საიდუმლოს გაცემისათვის!“ ღვთის მიუწვდომელი განგების დამწყებით, დემონებმა ისე ძლიერ სცემეს იგი, რომ კინაღამ გარდაიცვალა. ამის მერე დიდი ხნით ჩავარდა ლოგინად.

თუმცა მომხდარი ვასილმა აღიქვა, როგორც ქრისტეს მეომრის სახელის მოსაპოვებლად მოწყობილი გამოცდა. დამშვიდდა, არაფერს გაუკიცხავს, არც დაუწუწუნია; ხოლო კაცისგან და დემონებისგან მიღებული ცემა თავისი ცოდვების მიზეზად ჩათვალია. მართალია, ფეხზე ვერ დგებოდა, მაგრამ მწოლიარე განაგრძობდა ლოცვას და მადლობდა ღმერთს ყველაფრისათვის.

ცოტა რომ მომჯობინდა, ღვთის შეწყვეტის იმედით მოუხმო გარდაცვლილთა ნათესავებს, მოუთხრო ყველაფერი და დანაბარებიც გადასცა. ბევრი მათგანი, ზოგი გულგრილი და თავქარიანიც კი, გამოეფინებოდა, გულთან მიიტანა მისი მონაცელი. ამომრავდა ხალხი. მოწყალების გაღება, ორმოცდღიანი მოსახსენებლები, პანაშვიდები, ლიტურგიაზე მოსახსენებლის გადაცემა დაიწყეს. ვასილიმაც გულით გაინარა მათი მონდომების ხილვით, თვითონაც ყოველდღე იხსენებდა ჯოჯონეთში ნანახ ცოდვილებს. თავისი ანგარიშით ბევრი ჩაწერა ორმოცდღიანი მოსახსენებელში.

გავიდა დრო და ვასილს ძალიან მოუხდა გაეგო, რა შედეგები მოჰყვა ლოცვებს. შეეგებრა უფალს, გაემხილა მისთვის ცოდვილთა იმუამინდელი მდგომარეობა.

ერთხელ, დაძინებული, დამკული ლოცვების დროს ვასილი ისევ ჯოჯოხეთში აღმოჩნდა. იცნო ძველი ადგილი, მაგრამ ბევრი ნაცნობი იქ აღარ დახვდა, სხვები კი უფრო უკეთეს მდგომარეობაში იხილა. წმიდა ეკლესიის ლოცვებისა და გაღებული მოწყალების გამო უფალმა მრავალი გაათავისუფლა ტანჯვისაგან. დარჩენილები მადლობდნენ დახმარებისთვის. თუმცა მათთვის გაღებული მსხვერპლი ან არასაკმარისი გამოდგა, ან საჭირო გულმოდგინებით არ იყო გაკეთებული. ამიტომ მადლობასთან ერთად ისევ თხოვდნენ ლოცვების გაგრძელებას.

ამჯერად ჯოჯოხეთში ყოფნისას ვასილმა თავისთვის ახალიც აღმოაჩინა. სატანჯველი სამყარო თითქოს ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთ ნაწილში - საკუთრივ ჯოჯოხეთში - იტანჯებოდნენ ცოდვილები, რომლებიც თავიანთ უბედურებაში დმერთს არ ადანაშაულებენ. ისინი არ კარგავენ იმედს, რომ საღვთო საიდუმლოში მათი მოხსენიებით, წმიდა ეკლესიის ლოცვებითა და მათ სახელზე მოწყალების გაღებით მათი მდგომარეობა შეიცვლება. შეიძლება გაათავისუფლდნენ მეორედ მოსვლის ჟამს.

მეორე ნაწილში, პირიქით, სულიწმიდის მაგნიტები არიან - ისინი, როგორც დემონები, ღანძლავენ დმერთს და მას თავისი დაღუპვის ერთადერთ მიზეზად თვლიან, ამიტომაც ვერანაირ გამოსავალს ვერ ხედავენ.

ჯოჯოხეთის მეორედ მოხილვის შემდეგ გამოფხიზლებული ვასილი ისევ ოთხი დღე ვერ ჭამდა, აღებინებდა და კვლავ ლოგინად იყო ჩაგარდნილი.

მისთვის გაცხადდა საკუთარი ორი ქალიშვილის მომავალიც. საშინელი თავზარი დაეცა, როცა მათი სულები ჯოჯოხეთში იხილა. ისინი ჯერ კიდევ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ მამისეულ სახლში, როცა შეიტყო მათი საზარელი მომავლის შესახებ. დაცემის მიზეზიც იცოდა და შვილები გააფრთხილა კიდევ. მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. საბოლოოდ მათი ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა.

...თავისი შვილების ბედზე დადონებულმა კიდევ უფრო გააღრმავა ლოცვითი გრძობა. ამ მიზნით იქაურ მჭედელს მსხვილი რკინის ბორკილები გამოაჭედინა და თვითონ დაიმბარა, პერანგი სისწლიანი და ჩირქიანი გაუნდა. ლოცვისას კი განუწყვეტელი ცრემლი სდიოდა.

ვასილ დანიელის ძე რადინი გარდაიცვალა 1920 წლის 1 მაისს, 75 წლის ასაკში. მან მშვიდობით ჩააბარა თავისი სული უფალს. მხოლოდ სასიკვდილო სარეცელზე შეიტყვეს მისმა ოჯახის წევრებმა ბორკილების შესახებ. ისინი ისე შეეზარდნენ მის სხეულს, რომ ვერ მოხსნეს და ღვთისნიერი მოხუცი ბორკილებით დაასაფლავეს.

*სამარის ეპარქიის ჟურნალი „ღუბთინი სობესენიკი“ 1997. 1(9).
(იბეჭდება შემოკლებით)*

მათი სულები ზეიმობენ

წმ. მაკარი ალექსანდრიელისადმი ანგელოზის გამოცხადებიდან ჩანს, რომ უბიწო სულის გამოსვლა სრულიად განსხვავებულია ცოდვილი სულის გამოსვლისაგან. უმწიკვლო სულის სხეულთან განშორების შემდეგ წმიდა ანგელოზები იღებენ, იცავენ მას და მიჰყავთ სინათლით, სინარულითა და ნეტარებით აღვსილ ქვეყანაში. გასაკვირი არ არის ამ სულების ასეთი ამოსვლა, რამეთუ ჯერ კიდევ მიწაზე ისინი ანგელოზებთან იმყოფებოდნენ.

აი, რას წერს წმ. ეფრემ ასური წმიდა სულის ამოსვლის შესახებ: „სრულყოფილი მოღვაწენი მხიარულობენ განშორების ჟამს. იციან რა თავიანთი უდიდესი მოღვაწეობრივი შრომის, ურვის, მარხვის, თაყვანისცემის, ლოცვის, ცრემლების შესახებ, მათი სულები ზეიმობენ იმით, რომ გაწვეულნი არიან თავიანთი სხეულიდან განსასვენებელში“.

და არც არის გასაკვირი,

თუ ადამიანი ჯერ კიდევ სიცოცხლეში დაემორჩილა მათ და განდა მათი მონა

„სიკვდილი ცოდვილთა ბოროტ არს“ (ფსალმ. 33, 21), ადასტურებს თავად ღვთის სიტყვა. მაინც რატომ არის ასე? შეხედე, ვინ არის ცოდვილი? ღვთიური კანონის დამრღვევი, მისი მცნებების ფეხქვეშ გამოთელავი. როგორც სათნოება, სინდისში არეკლილი, ანიჭებს სულს არამიწიერ სიხარულს, ასევე ბიწიერება ბადებს პასუხისმგებლობის შიშს. ცოდვილი სულისათვის სიკვდილი, გარდაცვალება საშინელია იმიტომ, რომ უკვე გარდაცვალების წუთს მას თავს ეხვევიან ავი სულები, რომელთაც უშიშრად ემსახურებოდა მიწაზე და რომლებთანაც სხვა ცოდვილებით სამუდამო კავშირში უნდა შევიდეს. მაკარი დიდი ასე მსჯელობს ცოდვილი სულის გამოსვლის შესახებ: „ცოდვილი სულის სხეულიდან გამოსვლისას ხორციელდება რაღაც დიდი საიდუმლო. მას თავს ესმიან დემონები და ბნელი ძალები და თავიანთ მხარეს იტაცებენ. და არც არის გასაკვირი. თუ ადამიანი ჯერ კიდევ სიცოცხლეში დაემორჩილა მათ და განდა მათი მონა, მიოუშეშეს, დატყვევებულ და დამონებულ იქნება ამ ქვეყნიდან წასვლისას“.

„სიცოცხლესთან განშორება, - წერს წმ. ეფრემ ასური, - დიდად ამწუნარებს ცოდვილს, რომელიც ნათლად ხედავს თავისი დაუდევრობის მწარე ნაყოფს. რა სინანულია მაშინ გულში, რომელიც უსულგულოდ კედებოდა აქ მის გადარჩენას!“

მამათა ნაწერებიდან მჟღავნდება, რომ ზოგჯერ უფალი თავისი შეუცნობელი გზებით სიკვდილის წინ ცხოვრებაში უკანასკნელი მადლიანი საჩუქრით, წმიდა ზიარებით, აჯილდოვებს იმ ადამიანებს, რომლებიც არ გამოიჩინებენ ღვთისმისაობით, და პირიქით: რაღაც ძველი ცოდვების გამო, თუნდაც მონანიებით განწმენდილს, იგი ართმევს ამ უკანასკნელი გზის დალოცვას - წმ. ზიარებას; თავად წმიდანსაც კი მოუგლენს უეცარ სიკვდილს, მხოლოდ მისთვის ცნობილი სულიერი დასჯის ამ ერთ-ერთ საშუალებას, მივიწყებული, ყმაწვილკაცობითა და არცოდნით ჩადენილი ცოდვებისაგან განსაწმენდად.

სად არის სული სხეულთან განშორებისთანავე

რას ნიშნავს მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეები?

მაინც რა დროს, რომელ დღეს გადადის სული ზეციურ საზღვრებს და სხეულთან გაყრის შემდეგ როდის ეწყობა კერძო სამსჯავრო?

წმ. მაკარი ალექსანდრიელი ასე გადმოგვცემს ანგელოზის გამოცხადებას გარდაცვლილთა სულის მდგომარეობის შესახებ სხეულისგან განშორების პირველი ორმოცი დღის განმავლობაში: „როდესაც შესრულდება სიკვდილის საიდუმლო და სული გაეყრება სხეულს, პირველი ორი დღის განმავლობაში იგი მიწაზე იმყოფება და ანგელოზების თანხლებით მოინახულებს იმ ადგილებს, სადაც, ჩვეულებრივ, სამართლიანად იქცეოდა, სული ყარიბობს იმ სახლის მახლობლად, რომელშიც თავის სხეულს გაეყარა, ზოგჯერ კუბოსთანაც იმყოფება, რომელშიც მისი სხეული განისვენებს. მესამე დღეს კი ქრისტეს აღდგომის მიბაძვით ღვთის თაყვანისსაცემად ზეცად ამაღლება ებრძანება. აი მიზეზი, რომლის გამოც წმ. ეკლესიას აქვს მადლიანი ჩვეულება, - მესამე დღეს გაიღოს შესაწირავი და ილოცოს გარდაცვლილის სულისათვის.“

განსვენებულს გარდაცვალების მესამე დღესაც იხსენიებენ - ღმრთისადმი მასზე ლოცვით პანაშვიდს ატარებენ. ამ დღეს პირდაპირი სულიერი თანაფარდობა აქვს ჩვენი ცხოვრების განმგებლის აღდგომასთან, რომელმაც სათავე დაუდო ჩვენს (მაშასადამე, თქვენი გარდაცვლილის) ნეტარ აღდგომას. მიცვალებულს კრძალავენ მესამე დღეს. ჩვენთვის ძვირფასი სხეულის დაკრძალვისას გული და გონი მივაბყროთ სიკვდილის დამთრგუნველს, რომელმაც გვაჩუქა

სიკვდილზე სიცოცხლის ზეიმი, ჩვენი ზეიმი და, მაშასადამე, შენი განსვენებულის ზეიმიც, აღსრულებული ქრისტეს აღდგომაში. ეკლესია საზეიმოდ გვარწმუნებს ჩვენ, მის შვილებს, რომ ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და საფლავებში მყოფთ სიცოცხლე აჩუქა. გესმის? - შენ მიცვალებულსაც სიცოცხლე და აღდგომა მხოლოდ ქრისტესგან აქვს ნაჩუქარი.

მესამე დღეს სხეულს მიწას მიაბარებენ, სული კი ზეცად უნდა ამაღლდეს: „*მიიტკეოდეს მტკერი მიწად, როგორც იყო, და სული დაუბრუნდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა*“ (ეკლ. 12,7)“.

განუწომელი სივრცე ცასა და მიწას შორის, მოზიემე და მებრძოლ ეკლესიებს შორის ჩვეულებრივ სასაუბრო ენაზე წმიდა წერილშიც და წმიდა მამათა წერილებშიც ჰაერად იწოდება. ამგვარად, აქ ჰაერი ეწოდება არა ნატიფ, ეთერულ ნივთიერებას, რომელიც გარს არტყია დედამიწას, არამედ - თავად სივრცეს.

ეს სივრცე სავსეა განვიცხული, დაცემული ანგელოზებით, რომელთა მთელი მოღვაწეობა იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი უკუაგდოს გადარჩენა და იქცეს უსამართლობის იარაღად. ისინი გაქნილად და მტრულად მოქმედებენ ჩვენს შინაგან და გარეგან საქმიანობაზე, რათა ჩვენც გვაქციონ მათი დაღუპვის მონაწილეებად: „*ვანიფროსხეთ, მღვიძარე იყვენით, რამეთუ წინამოსაჯული თქუენი, ეშმაკი ვითარცა ღოთი მყვირალი მიმოვალს და ეძიებს, ვითანცა შთანთქა*“ (1 პეტრ. V. 8). საჰაერო სივრცე რომ ბოროტი სულების საცხოვრებელია, სულიწმიდის რჩეული ჭურჭლები ადასტურებენ და ჩვენ გვწამს ეს ჭეშმარიტება.

დიდ ღვთიურ საიდუმლოებათა მჭვრეტელი ადასტურებს, რომ დაცემულმა ანგელოზებმა დაკარგეს თავიანთი ზეციური საცხოვრებელი: „*და ვერ შეუძლოთ და არცაღია ებოვა მას ადგილი ცათა შინა*“ (გამოცხ. XII. 8,9). მაშ, სადღაა მათი თავშესაფარი? იობის წიგნში ქვეყანაა მათი საცხოვრებელი (იობ. I.7). ენათა მასწავლებელი კი უკვე პირდაპირ უწოდებს მათ ბოროტების ზეციურ სულებს, მათ მთავარს კი - ჰაერის ხელმწიფეს (ეფეს. VI. 12, 11.2).

იმ წუთიდან, როდესაც ჩვენი წინაპრები დაეცნენ და სამოთხიდან განიდევნენ, სიცოცხლის ხესთან ქერუბოში დააყენეს (დაბ. III. 24), მაგრამ მეორე, დაცემული ანგელოზიც დადგა თავის მხრივ სამოთხისაკენ მიმავალ გზაზე, რათა ადამიანისთვის შესასვლელი მოესპო. ადამიანისთვის ზეციური კარბჭე დაიკეტა და იმ დროიდან ამა ქვეყნისა და წუთისოფლის მთავარს სამოთხისაკენ არცერთი ადამიანის სული არ გაუტარებია ელიასა და ენოქის გარდა; წმიდანებიც და ცოდვილებიც ჯოჯოხეთში მიდიოდნენ.

ეს გაუგალი ვაა სამოთხისაკენ უჭირველად პირველად სიკვდილის დამთრგუნველმა და ჯოჯოხეთის გამანადგურებელმა განგლო. და იმ დროიდან სამოთხის კარი გაიღო. შემდგომად უფლისა ასევე უჭირველად გაიარა იგი გონიერმა ავაზაკმა და ღვთის მიერ ჯოჯოხეთიდან გამოყვანილმა ძველი აღთქმის ყველა წმიდანმა. წმიდანები ამ გზას უჭირველად გადიან და თუ ზოგჯერ მაინც აჩერებენ ეშმაკები, მათი სათნოებანი სძალავენ დაცემებს.

თუ ჩვენ, უკვე განათლებულნი ქრისტეს ნათლით, სამართლიანობასა და უსამართლობას შორის თავისუფალი არჩევანისას მუდმივად ვექცევით ბოროტის ტყვეობაში, ჩავდივართ უსამართლობას, ვასრულებთ მის ბილწ ნებას, მითუმეტეს არ მოასვენებს იგი ჩვენს სულს სხეულთან განშორების შემდეგ. საჰაერო სივრცის გავლისას ეშმაკები აჩვენებენ სულს თავის ცოდვილ მოღვაწეობას მთელი სისრულით და ისიც აღიარებს ამ ჩვენებების სამართლიანობას.

ქრისტეანები, რომლებიც მიწიერ ცხოვრებას უცოდველად არ გადიან, ნეტარ მარადიულობას პირდაპირ ვერ იღებენ. აუცილებელია ნაკლოვანებების, დაცემების, გადახრების აწონვა და შეფასება.

თუ სულმა აქ, მიწაზე, სრულად ვერ შეიცნო, ვერ შეიმეცნა თავი, მაშინ როგორც ზნეობრივ-სულიერმა არსებამ საიქიოში უნდა შეიცნოს იგი; გააცნობიეროს, რას შეეგუა, რა გამოიმუშავა თავისთვის, რა სფეროს შეეჩვია, რა იყო მისი საკვები და სიამოვნება; შეიცნოს თავი და ამგვარად ღვთის სამსჯავროზე ადრე თავად მოუწყოს სასამართლო საკუთარ თავს. ეს არის ზეციური

მართლმსაჯულების სურვილი. ღმერთს არ სურდა და არ სურს სიკვდილი, მაგრამ ადამიანმა თავად ისურვა იგი. აქ, მიწაზე, მადლის შექმნით სული შეიძლება გონს მოეგოს, ჭკუშმარიტად მოინანიოს და ღვთისგან მიტევა მიაღოს. მაგრამ საიქიოში, იმისთვის, რომ სულმა თავისი ცოდვილიანობა გაიზაროს, იყენებენ დაცემულ სულებს, რომლებიც მიწაზე ყოველგვარი ბოროტების მოძღვარნი იყვნენ. ისინი წარუდგენენ სულს მის ცოდვილ მოღვაწეობას, შეახსენებენ ყველა გარემოებას, რომელშიც ჩადენილი იყო ბოროტება. სული ადიარებს თავის ცოდვებს, რითაც უკვე ღვთიურ სამსჯავროს წინასწარ აფრთხილებს. ასე რომ, ღვთიური სასამართლო თითქოსდა საზღვრავს იმას, რაც თავად სულმა გამოუტანა თავის თავს.

*ჩადენილი ცოდვები მონანიებით ნადგურდება და უკვე აღიარება
მოიხსენიება, არც საზვერებში და არც სამსჯავროზე*

კეთილი ანგელოზები, თავის მხრივ, საზვერებში სულის კეთილ საქმეებს წარმოაჩენენ.

მოელი სივრცე მიწიდან ზეცამდე წარმოადგენს ოც განყოფილებას ანუ სამსჯავროს, სადაც ეშმაკები სულს ჩადენილ ცოდვებში ამხელენ. თითოეული მათგანი გარკვეულ ცოდვას შეესაბამება.

როგორც ითანე კიბისადმწერელი მოწმობს, მეზვერეები სულს არა მარტო ჩადენილ ცოდვებში ამხელენ, არამედ ისეთებშიც, რომლებიც მას არასოდეს ჩაუდენია.

საზვერეთა თანამიმდევრობა გადმოღებულია დარსი თეოდორას მონათხრობიდან მათ შესახებ. ზეცისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც აღმოსავლეთისკენაა მიმართული, სული ხვდება პირველ საზვერეს. აქ ბოროტი სულები აჩერებენ კეთილი ანგელოზების თანხლებით მიმავალ სულს და წარუდგენენ მის სიტყვიერ ცოდვებს (ყბელობა, ენის ტარტარი, ფუჭი ლაპარაკი, ბილწსიტყვაობა, დაცინვა, მკრეხელობა, სიმღერებისა და მგზნებარე ჰიმნების შესრულება, უწესო წამომძახილები, სიცილი, ხარხარი და ა.შ.). მეორე საზვერე არის სიცრუის (ყოველგვარი ტყუილი, ფიცის გატეხვა, ღვთის სახელის ამაოდ მონიშნა, ღმერთისთვის მიცემული აღთქმების შეუსრულებლობა, აღსარებაზე მოძღვართან ცოდვების დამალვა). მესამე საზვერე - ცილისწამების (მოყვასის ცილისწამება, გაკიცხვა, დამცირება, არაფრად ჩაგდება, ლანძღვა, დაცინვა და ამ დროს საკუთარი შეცოდებებისა და ნაკლოვანებების უყურადღებობა და დავიწყება). მეოთხე საზვერე - პირის პატივი (ღორმუცელთა, ლითობა, უდროთა და მალული ჭამა, მარხვის დარღვევა, კვება ღოცვის გარეშე, ძალზე გაძლიძა, ღრუბა, მოკლედ - ყველაფერი მუცლის საამებლად). მეხუთე - სიზარმაცის (სიზარმაცე და დაუდევრობა ღვთის მსახურებაში, გულგატეხილობა, საეკლესიო და საშინაო ღოცვების მიტოვება, მუქთახრობა, დაქირავებულ მუშათა მიერ საკუთარი მოვალეობის დაუდევრად შესრულება); მეექვსე - ქურდობის (ნებისმიერი სახის დატაცება და ქურდობა, უხეში და საპატიო, ხილული და უხილავი); მეშვიდე - გერცნლისმოყვარეობისა და სიძუნწის; მერვე - დიდი სარგებელი (მეგანშეები, მექრთამეები, სხვისი ქონების მიმთვისებლები); მეცხრე - უმართლობის (ტყუილები - სასამართლო, ზომა, წონა და სხვა); მეათე - შურის; მეთერთმეტე - სიამაყის (სიამაყე, პატივმოყვარეობა, დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე, ქება-დიდების შესხმა; მშობლებისათვის, სასულიერო და საერო ხელისუფლებისათვის სათანადო პატივის არმიცება, დაუმორჩილებლობა და გაუგონრობა, ურჩობა); მეორმეტე - სიშმაგე და მრისხანება; მეცამეტე - გულღვარდლიანობა; მეოთხმეტე - მკვლელობები; მეხუთმეტე - ჯადოსნობა (მოგვობა, ხობლი, ჯადოქრობა, საწამლაგების დამზადება, ეშმაკისეულთა ჯადოსნური მონიშნა, შელოცვა). მეექვსმეტე საზვერე - სიძვის (ყოველივე, რაც მიეკუთვნება ამ სიბილწეს: აზრები, სურვილები და თავად საქმეები, მრუში ოცნება, ცოდვის სურვილი, ცოდვით ტეობა, ავტორცული მწერა, უხამსი შეგრძნება და შეხება, იმ პირთა მრუშობა, რომლებიც ქორწინების საიდუმლოთი არ არიან დაკავშირებული); მეჩვიდმეტე - მრუშობის (მეუღლის ერთგულების არშენარჩუნება, იმ ადამიანთა მრუში დაცემა, გინც თავი ღმერთს მოუძღვნა); მეთვრამეტე - სოდომის (არაბუნებრივი მრუშობა და

სისხლის აღრევა); მეცხრამეტე - მწვალებლობა (ერესი; დაეჭვება რწენაში, მასზე ფუჭი ბრძნობა, ღვთის გმობა) და ბოლოს, უკანასკნელი, მეოცე საზვერე - შეუწყალებლობის (შეუბრალებლობა და სისასტიკე). მაშასადამე - საზვერეებს გადიან მესამე დღეს.

უწმიდესი მაკარი წერს: „მწვალებლობის შესახებ სწავლების განუწყვეტელი, მუდმივი და საყოველთაო გამოყენება ეკლესიაში, განსაკუთრებით მეოთხე საუკუნის მასწავლებლებს შორის, უცილობლად ადასტურებს, რომ იგი გადაეცათ მათ წინა საუკუნეების მასწავლებელთაგან და ეფუძნება მოციქულთა გადმოცემებს“ (მართ. დოგმ. ღვთისმ. ტ.5. გვ.85-86).

იცინ რა სულის საიქით მდგომარეობის შესახებ, ანუ ის, რომ საზვერეების გავლა და ღმრთის წინაშე თაყვანსაცემად წარდგომა შეესაბამება მესამე დღეს, ეკლესია და ნათესავეები ცდილობენ დაამტკიცონ, როგორ ანსოვთ და უყვართ გარდაცვლილი და ღმრთის შესთხოვენ სულის მიერ ციური საზვერეების უეჭველად გავლას და მისი შეცოდებების შეწყალებას. სულის გათავისუფლება ცოდვებისაგან ნიშნავს მის აღდგომას ნეტარი, მარადიული ცხოვრებისათვის. ამგვარად, უფალ იესო ქრისტეს მაგალითით, რომელიც მესამე დღეს აღსდგა მკვდრეთით, ტარდება პანაშვიდი განსვენებულის სახელზე, რათა ისიც აღდგეს მესამე დღეს ქრისტესთან ერთად უსასრულო, სამაჟური ცხოვრებისათვის.

ღმრთის თაყვანისცემის შემდეგ ნაბრძანებია, აჩვენონ სულს წმიდანთა საგანეები და სამოთხის სიღამაზე. სამოთხის საგანეებში სიარული და თვალთვლება ექვს დღეს გრძელდება. სული განცვიფრებულია და აღიძებს ყოვლისშემქმნელ ღმრთის. ყოველივე ამის განჭვრეტით იგი იცვლება და ავიწყდება მწუხარება, რომელიც სხეულად ყოფნის დროს ჰქონდა. მაგრამ, თუ იგი ცოდვილია, წმიდანთა ნეტარების დანახვისას ნადვლიანდება და კიცხავს საკუთარ თავს იმისთვის, რომ ცხოვრება უზრუნველად გაატარა და ღმრთის სათანადოდ არ ემსახურა. სამოთხის დათვალიერების შემდეგ, სხეულთან გაყრის მეცხრე დღეს, სული კვლავ აიზიდება ღვთის თაყვანისსაცემად. მაშასადამე, ეკლესია კარგად იქცევა, როცა მეცხრე დღეს ლოცულობს განსვენებულისათვის და გაიძებს შესაწირავს. იცინ რა ამ დროს სულის მდგომარეობა, ეკლესია და ნათესავეები შესთხოვენ ღმრთის, შერაცნოს სული ცხრა ანგელოზთა თანა.

მეორე თაყვანისცემის შემდეგ ნაბრძანებია აჩვენონ სულს ჯოჯოხეთი მთელი თავისი სატანჯველით. სული ყველგან ტანჯვა-წამებას ხედავს, ესმის ტირილი, კვნესა, კბილების დრჭიალი. ოცდაათი დღის განმავლობაში სულს ატარებენ ჯოჯოხეთის განყოფილებებში და იგი, შიშით ზარდაცემული, კანკალებს, რომ მასაც არ მოუსაჯონ იქ დარჩენა. დაბოლოს, სხეულთან გაყრის მეორე დღეს სული უკვე მესამედ აიზიდება ღვთის თაყვანისსაცემად. ანლა კი, ანუ გარდაცვალებიდან მეორე დღეს, სამართლიანი მოსამართლე განუსაზღვრავს სულს მისი საქმეებისა და მიწიერი ცხოვრების საკადრის ადგილსამყოფელს. მაშასადამე, სულის კერძო სამსჯავრო ხორციელდება სულის სხეულთან გაყრის მეორე დღეს. სწორად იქცევა წმ. ეკლესია, როცა მიცვალებულებს მეორე დღეს მოიხსენიებს.

სულის სხეულთან გაყრის მეორე დღეს, ანუ ორმოცი, არის საიქით ცხოვრებაში სულის ხვედრის განმსაზღვრელი დღე. ქრისტეს ეს კერძო სამსჯავრო განსაზღვრავს სულის ბედს მხოლოდ საყოველთაო განკითხვის დღემდე. სულის ეს საიქით მდგომარეობა, რომელიც შესაბამისია მიწაზე ზნეობრივი ცხოვრებისა, არ არის საბოლოო და შეიძლება შეიცვალოს.

ჩვენმა უფალმა, იესო ქრისტემ, თავისი აღდგომის მეორე დღეს განადიდა ადამიანური ბუნება, მის მიერ საკუთარ პიროვნებაში შეთვისებული დიდების მდგომარეობაში დაბრძანდა მამა ღმრთის მარჯვნივ. ამ პირველხატის მსგავსად გარდაცვლილიც სიკვდილიდან მეორე დღეს შედიან გარკვეულ, საკუთარი ზნეობრივი ღირსების შესაბამის მდგომარეობაში.

როგორც უფალმა აღასრულა ჩვენი სხნა თავისი ცხოვრებითა და სიკვდილით და დაავგინგვინა იგი ამადლებით მეორე დღეს, ასე განსვენებულთა სულებსაც, როდესაც დაასრულებენ თავიანთ ცხოვრებისეულ ასპარეზს, სიკვდილიდან მეორე დღეს მიეზღვებათ თავიანთი საიქით ხვედრი.

ქრისტეს მსგავსად, რომელიც მეორმოცე დღეს ამაღლდა და საუკუნოდ ღმერთის მარჯვნივ დაჯდა და მოელის, ვიდრემდის მისი მტრები მის ფეხქვეშ დაემხოებიან (ებრ. X. 12, 13), განსვენებულთა სულებიც ქრისტეს პირად სამსჯავროზე მიღებული ხვედრით მასში რჩებიან (თუმცა შესაძლებელია ცვლილებები) ქრისტეს საყოველთაო სასამართლომდე (არქ. თეოდ. სიტყვ. განსვ. მოსახ. გვ.37.38).

ეს პარალელი ქრისტეს მდგომარეობებსა და გარდაცვლილთა სულების მდგომარეობებს შორის ღმერთის სიტყვითაა დამტკიცებული (ებრ. IX.27-28).

მაშ, შენთვის ახლობელი ადამიანის სიკვდილით დამწუნებულთა სულთ, მის ორმოცზე რწმენით მიაგე გული და გონი ჩვენი ცხოვრების მეუფეს, რომელიც აღდგომიდან მეორმოცე დღეს ამაღლდა, „რამეთუ არა ხელით ქმნულთა სიწმიდითა შევიდა ქრისტე სახედ ჭეშმარიტთა მათ, არამედ თვით მათ ცათა აწვეუ ჩუენებად პირსა ღმერთისასა“ (ებრ. IX. 24). განა უარს ეტყვის ყოვლადმოწყალე მამა შეამდგომლობაში მას, თავის საყვარელ შვილს, რომელიც ჩვენს გამო ჯვარცმის წყლულებშია? მაშ, მაგრად მოუჭიდე ღმერთის ასეთ სიყვარულს. თავის დიდებაში იგი მუდამ ჩვენი ბედითაა დაკავებული, შენ და შენი მიცვალებულის ბედით, და ევედრე მას განსვენებულისათვის, რათა თავისი მადლით უძღურებას უექიმოს, დაკნინებული შეაგოს, ყველა შეცოდება აბათოს, განწმინდოს და შეწყვალებულთა ხვედრი არგუნოს. შენი რწმენა და ლოცვა, დაჩქარებული წმიდა ეკლესიით, დიდად დაეხმარება განსვენებულს მისი ხვედრის განსაზღვრისას ქრისტეს კერძო სამსჯავროზე განკითხვის დღემდე.

იციან რა განსვენებულის სულის მდგომარეობის შესახებ მეორმოცე დღეს, როდესაც, თუმცა არასაბოლოოდ, მაგრამ მაინც წყდება მისი ნეტარების, ან წამების ხვედრი, ეკლესია და ნათესავები კვლავ ესწრაფვიან მის დახმარებას; მოელი დღის განმავლობაში იწინება პანაშვიდი, რათა, რამდენადაც ჩვენ ძალგვიძის, გული მოვუგოთ ყოვლადკეთილ ღმერთს განსვენებულისადმი.

მამასადამე, ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ სული სხეულთან გაყრის შემდეგ ორი დღე მიწაზეა და მესამე დღეს ღმერთის თაყვანისსაცემად მაღლდება; შემდეგი ექვსი დღის განმავლობაში სამოთხეში იმყოფება და ბოლოს, დარჩენილი ოცდაათი დღე - ჯოჯონეთში, მეორმოცე დღეს კი უკვე აღვიღწეა ჯერ კიდევ საბოლოო გადაწყვეტილების გარეშე. საბოლოო განჩინებას სული საყოველთაო სამსჯავროს დღეს მიიღებს.

წლისთავის დღე (რომელიც შემდგომში უკვე გარდაცვალების დღეა) და დაბადების დღე კეთილი ქრისტიანებისთვის მუდმივად სამახსოვრო დღეებია. იმის დამტკიცების სურვილით, რომ სიკვდილმა ვერ გაწყვიტა სულიერი კავშირი ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის, ისდიან პანაშვიდებს და ევედრებიან მას, ვისშიც არის ჩვენი ხსნა და ცხოვრება, ვინც თვითონ გვითხრა: „შე ვარ აღდგომა და ცხოვრება“ (იოან. XI. 25).

ჩვენ ვლოცულობთ და იმედიც გვაქვს, რომ იგი უსათუოდ შეისმენს ჩვენს ლოცვას: ითხოვე და მოგეცემა, რამეთუ მას არ სურს ცოდვილის სიკვდილი, რომლისთვისაც იტანჯა, სისხლი დაღვარა და რომელსაც სიცოცხლეს ჩუქნის... „განა გრწმენინ ხოლო!“ (მარკ. V. 36).

იქნებ როგორი მოუთმენლობით გელოდება

იქნებ როგორი მოუთმენლობით გელოდება ახლობლის სული, როდის მისვალ ეკლესიაში, რომ მღვდელმსახურს მოსახსენებელი გადასცე და მთელ ეკლესიასთან ერთად საშინელ საიდუმლოთა აღსრულებისას ილოცო. რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია მას შესაძრწუნებელ მსხვერპლშეწირვას დაესწროს. რა შუგბით და ნუგეშით აივსება მისი სული, როცა ეკლესიაში მოხსენიებით ანგელოზისებრი სახით წარდგება უფლის ტახტის წინაშე და შეევედრება მთელ ეკლესიასთან ერთად შეწყვალებას, ცოდვების მიტეგებასა და საშინელ სამსჯავროზე კეთილად წარდგენას. როგორი აუხსნელი სიხარული, აღტაცება და ნეტარება მოიცავს მას, როცა სხვებთან

ერთად მისი წილიც ჩაეშვება ბარძიში, ქრისტეს უწმინდეს სისხლში ჩაიძირება მღვდელმსახურის ლოცვით: „უფალო! განზანუ ცოდვებისაგან შენი სისხლით აქ მოხსენებულნი“.

აი, ფასდაუღებელი სამსახური, დახმარება, რომელიც შეგიძლია გაუწიო გარდაცვლილ ნათესავებს ყოველდღე, თუ იქნები ყურადღებიანი და გულშემატკივარი მათი იმქვეყნიური ხვედრის მიმართ. თუ გინდა პატივი მიაგოთ მიცვალებულს - გაიღეთ მოწყალება. დაეხმარეთ უბოვარს, მათხოვარს და დარწმუნებული იყავით, მათი ხელების გავლით ძველი აუცილებლად მივა დანიშნულების ადგილამდე. ამის თავდება თვით უფალი იესო ქრისტეა: „როდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავით“.

ყოვლისშემძლე უფალი ვალში მცირე დროითაც არ დარჩება. იგი, ყოვლად მოწყალე და უხვი, ასწილად მიუზღავს მათ, ვისი სახელითაც ჩვენ ვავიღებთ წყალობას. იგი, რომელიცაა უტკბესი ნუგეშისმცემელი ყველა მწუხარისა, ჩვენს გარდაცვლილ ახლობლებსაც ანუგეშებს, თუ მისი სახელით შევუმსუბუქებთ აქ ტანჯვას თუნდაც ერთ სულიერს.

იქნებ ღვთის სიძარითლის წყურვილი ღრდნის შენი მოძმის ან ნათესავის სულს. დააბურე მისი სახელით მშვიდი, დააღვიძლე მწყურვალს და უფალიც განაძლებს მას ყოვლად ნათელი თავისი სახის გამოცხადებით და დაათრობს ცხოველმყოფელი სულიწმიდის მადლით. იქნებ კეთილი საქმეებისაგან გაძარცვულ და უწმინდურობით შეჩვენებულ შენი ნათესავის ცოდვილ სულს წმიდა ანგელოზების წინაშე რცხვენია და ღვთის სახეს გაურბის? შემოსე მისი სახელით შიშველი, დაბანე ფეხები დადლილ მგზავრს, შეიფარე გადამთიელი და ყოვლადმოწყალე ღმერთიც თავის საკადრისად შემოსავს და განწმენდს მის სიბინძურეს თავისი სისხლით.

იქნებ ბოროტი ძალებისაგან დევნილი შენი ახლობლის სული ეძიებს თავშესაფარს, მაგრამ თავის უღირსების გამო ვერ პოულობს? დაიცავი მისი სახელით დევნილი მღვდელისაგან, მიიღე და შეიფარე ობოლი ან გაჭირვებული ქვრივი და უფალიც გადააფარებს მოწყალების კალთას; ბოროტი სულები შიშით განეშორებიან, ნათლის ანგელოზები კი თავისი ფრთებით დაიცავენ მას.

იქნებ ცოდვებით, როგორც ბოროტებით, დატყვევებული შენი მეგობრის სული იტანჯება სიბნელეში, ღვთისა და მართალთა ნათელი სახეების უნახავი? მოინახულე მისი სახელით საპყრობილეში მყოფნი, შეუმსუბუქე შეძლებისდაგვარად თანაგრძნობით ხვედრი და უფალი გააგზავნის მასთან ნათლის ანგელოზებს სანუგეშებლად და გაახარებს აღთქმული მოწყალებით.

იქნებ სულიერ სამყაროში გადასვლისას ღმერთზე ფიქრს, ლოცვებსა და სულიერ ნეტარებაზე ზრუნვას მიუჩვენებელი შენი ნათესავის სული ვერ პოულობს თავის ახლობლებს ზეციურ იერუსალიმში? მიიღე, შეიფარე მისი სახელით უბოვარი და უფალიც აჩუქებს მას ერთ-ერთ ნათელ საფანეს ღვთიური მამის სახლში, ანგელოზები და მართალთა სულები კი მიიღებენ თავიანთ ნათელ საზოგადოებაში.

დაგვიტოვეთ მღვდელი, არ განკვეთოთ იგი სამწყსოდან!

ერთი მღვდელი განსაკუთრებული გულმოდგინებით მოხსენიებდა გარდაცვლილებს ლიტურგიაზე. ისე რომ, თუკი ვინმე ერთხელ მაინც მიაწვდიდა მოსახსენებელს, სახელებს თავის ადაპში ჩაიწერდა, ამის გამო მას უზარმაზარი, მრავალათასიანი ნუსხის დაყოფა და რიგრიგობით მოხსენიება უწევდა.

მონდა ისე, რომ იგი რომელიღაც ცდომილებაში ჩავარდა. მას მრევლისაგან მოკვეთა ემუქრებოდა. საქმე მოსკოვის მიტროპოლიტ ფილარეტს გადაეცა, მაგრამ განკვეთის რეზოლუციაზე ხელის მოწერისას უწმიდესმა უცებ რაღაც სიმძიმე იგრძნო ხელში. მიტროპოლიტმა ხელმოწერა მეორე დღისთვის გადადო. დამით მან სიზმარი იხილა: ფანჯრის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი - სხვადასხვა ასაკისას თუ წოდებისას, ისინი მიტროპოლიტს თხოვნით მიმართავდნენ.

- რა გსურთ ჩემგან? რის მოხვნელები ხართ? - კითხულობდა გაკვირვებული მიტროპოლიტი.

- ჩვენ, განსვენებულთა სულები, თხოვნით მოგვევლინეთ: დაგვიტოვეთ მღვდელი, არ განკვეთოთ იგი სამწყსოდან!

ამ სიზმარის შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი იყო, რომ ფილარეტმა ვერ შეძლო მისგან განთავისუფლება; მან მღვდელი დაიბარა და ჰკითხა:

- გამომხილე, რომელ კეთილ საქმეს ფლობ?
- არანაირს, მეუფე, სასჯელის ღირსი ვარ!
- მოიხსენიებ გარდაცვლილებს?

- როგორ არა, მეუფე! მე ასეთი წესი მაქვს: მუდმივად პროსკომიდიის დროს ამოვიღებ ხოლმე ნაწილებს მათთვის, ისე რომ, მრევლი ხშირად ჩივის, რომ მე ლიტურგიაზე უფრო გრძელი პროსკომიდია მაქვს, მაგრამ მე უკვე სწავებარად არ შემიძლია.

ამის შემდეგ უწმინდესი მისი სხვა მრევლში გადაყვანით შემოიფარგლა. მღვდელს კი აუხსნა, თუ ვინ უშუამდგომლა მას.

ტუსადის ბორკილები დასცვივდა

ერთ-ერთ სოფელში გარდაიცვალა მღვდელი და მის ადგილას სხვა მოიყვანეს. პირველი დვთისმსახურების აღსრულების შემდეგ რამდენიმე დღეში ისიც გარდაიცვალა.

დანიშნეს ახალი, რომელიც ჩამოსვლისთანავე შეუდგა საქმეს. პირველივე კვირას გაეშურა ეკლესიაში. საკურთხეველში შესვლისთანავე მოულოდნელად შეერთა: ტრაპეზის ახლოს უცნობი იდგა მღვდლის შესამოსელში, ხელებსა და ფეხებზე რკინის ბორკილები ედო. ახალი მღვდელი ჯერ გაშრა, ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე, მაგრამ არ დაიბნა და ლიტურგიის შესრულებას შეუდგა.

წირვის დამთავრებისთანავე მოჩვენება გაქრა. მღვდელი მიხვდა, რომ იმქვეყნიურის მკვიდრთან ჰქონდა შესვედრა, მაგრამ რას ნიშნავდა მისი შებორკილი მდგომარეობა, ვერ აუხსნა. ერთი კი შენიშნა: უცნობი მთელი წირვის განმავლობაში ხმას არ იღებდა, მხოლოდ ხანდახან მაღლა წევდა შეკრულ ხელებს და საკურთხეველის ერთ ადგილზე მიანიშნებდა, სადაც არაფერი განსაკუთრებული არ იყო. იგივე განმეორდა შემდეგი წირვისას, იმ განსხვავებით, რომ მღვდელმა საკურთხეველში შესვლისას პირველ როგში ყურადღება იმ ადგილს მიაქცია, რომელზეც უცნობი მიუთითებდა, იატაკზე, კუთხეში, სამსხვერპლისთან ახლოს პარკი შენიშნა. გახსნა და შიგ მოსახსენებლები აღმოჩნდა ცოცხალთა და მიცვალებულთა სახელებით, როგორსაც ჩვეულებრივად პროსკომიდიის დროს იღებენ. თითქოს ზემოდან შთაგონებით მღვდელი მიხვდა, რომ ეს მოსახსენებელი თავის დროზე ახლადგარდაცვლილ მღვდელს არ წაუკითხა. ამიტომ პროსკომიდიის დროს პირველ როგში ისინი მოიხსენია. დამთავრებისთანავე მიხვდა, რა მაღლიც ქნა. მის თვალწინ ტუსადის ბორკილები დასცვივდა, იგი ხმის ამოუღებლად მიუახლოვდა მღვდელს და მიწამდე თაყვანი სცა.

„ილოცე ღვთისადმი, მე ხომ ცოცხალი ვარ!“

ერთმა მორწმუნე, პატიოსანმა ქალმა, სახელად პარასკევამ, შემდეგი მიაბზო: „მამაჩემი, საუბედუროდ, უეცარი სიკვდილით - აღსარებისა და ქრისტეს წმ. საიდუმლოს ზიარების გარეშე გარდაიცვალა. იგიც ჩვენსავით ცოდვილი ადამიანი იყო, სხვადასხვა უძღურებისადმი, განსაკუთრებით კი - სიმთვრალისადმი მიდრეკილი, რასაც, ჩემი აზრით, ასეთი უცაბედი სიკვდილი მოჰყვა. ორმოცი დღის განმავლობაში განსაკუთრებული გულმოდგინებით ვლოცულობდი მისი სულის მოსახსენებლად. ყოველდღიურად შეძლებისამებრ ვავცემდი სამოწყალოს და განსაკუთრებით ვთხოვდი მღვდლებს, მისი სულის საცხოვნებლად ამოეღოთ ნაწილები ლიტურგიის დროს. მსახურება ჩვენთან ყოველდღიურად აღესრულებოდა. ორმოცი დღის თავზე სიზმარში ვნახე: მე წარმომიდგა რაღაც ვრცელი, ბნელი ადგილი, რომლის ბოლოშიც კუთხეში მამაჩემი იდგა. იგი უფრო მომცრო ტანისა იყო, ვიდრე - სიცოცხლეში. მან საკმაოდ მკაფიოდ მიიხრა:

- პაშა! მე ხომ ცოცხალი ვარ!

- რატომ ხარ ასეთი პატარა?
- ჩემი ცოდვების გამო - მხოლოდ შენ გააგრძელებ ლოცვა ჩემთვის, მშვიგობი დააბურე, განსაკუთრებით არ დაივიწყო პროსკომიდია და მე გაგიზრდები.
- კიდევ სხვა რამეც მითხრა, მაგრამ ახლა არ მაგონდება. დასასრულს კი ხმამაღლა თქვა:
- პაშენკა! ილოცე ღვთისადმი, მე ხომ ცოცხალი ვარ!
- ამით ჩემი ხილვა დასრულდა“.
- საჭიროა, ამას რაიმე დაგუმატო? - არაფერი, იმის გარდა, რომ ჩვენ მოვალენი ვართ, ჩვენი გარდაცვლილი მამებისა და ძმებისათვის ვილოცოთ. დაე, შეიწყალოს ისინი უფალმა თავისი უდიდესი წყალობით, განსაკუთრებით კი არ მივატოვოთ ჩვენიანებისათვის ლოცვა ღვთაებრივი ლიტურგიის დროს.

„თქვენი ლოცვა ჩვენ გვეხმარება, ჩვენი ლოცვა კი - თქვენ“

1853 წლის 21 აგვისტოს ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მრევლმა, ღვთისმოსაგმა ქვრივმა აკილინამ, რომელსაც ქალიშვილსა და შვილიშვილს მეტი არავინ ჰყავდა, უჩვეულო, საღათის ძილით დაიძინა. ყველას ეგონა, რომ იგი გარდაიცვალა, რადგან სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. სახე სულმთლად გაფითრებოდა, გაცეპულიყო და უძრავად იწვა. მაგრამ, როდესაც სახესთან სარკე მოუტანეს და იგი დაიბრუნდა, მისგან, რომ ცოცხალი იყო და თავი ანებეს. ეს უჩვეულო ძილი ერთი დღე და ღამე გაგრძელდა. მეორე დღეს, ზუსტად იმ დროს, როდესაც მას დაეძინა, ავადმყოფმა ტირილი დაიწყო ისე, რომ ლოცვებზე ცრემლები დაბადებოდა ჩამოსდიოდა. მოულოდნელად თვალები გაახილა, პირჯვარი გადაისახა და თქვა: „მადლობა ღმერთს, რომ თქვენ გხედავთ!“ გარშემომყოფნი ვატიცებით ეკითხებოდნენ, რა შეემთხვა, ვინ ნახა; მან მხოლოდ ეს თქვა: „მე იმ ქვეყანაში ვიყავი და ჩემი ქმარი ენახე“; შემდეგ კვლავ ცრემლებად დაიღვარა და ძლიერი ქვითინისაგან ხმა ვეღარ ამოიღო. დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, დაწყნარდა და იმისი მოყოლა დაიწყო, რაც ნახა: „როგორც კი დამეძინა, ვხედავ, მოვიდა ჩემთან წმინდა დიდმოწამე თეოდორე სტრატილატი, მეომრის სამოსში, ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენი წმ. თეოდორეს მონასტრის ნატყუა გამოსახული. მას თან თეთრ სამოსში გამოწყობილი საოცარი სილამაზის ფრთოსანი ჭაბუკი ახლდა. წმინდა დიდმოწამე თეოდორემ მითხრა: „ეს შენი მფარველი ანგელოზია.“ ამ სიტყვებით მათ სადღაც წამიყვანეს.

მე ვხედავდი პატარა მთებს, რომლებზედაც მრავალი პატარა ლამაზი და ნათელი კელია იყო შეფენილი, ქვევით კი არაჩვეულებრივი სილამაზის მწვანე მდელო მოჩანდა. მდელოს ბოლოში ენითაუწყრელი სილამაზისა და სიდიდის სასახლე იდგა. როდესაც ამ არაჩვეულებრივ შენობას ჩავუარე, წმ. თეოდორემ მითხრა: „აქ მართალი სულები სახლობენ; ღმერთმა მათ აქ ყოფნა საშინელ სამსჯავრომდე გავუჩინა“. გზა განვაგრძე. დავინახე ბნელი კელიები, რომლებშიც ის ცოდვილები იმყოფებოდნენ, რომელთა გამოსყიდვაც მიწაზე ცოცხლად დარჩენილებს ლოცვებით კიდევ შეეძლოთ. განსაცვიფრებელია ის ამბავი, რომ, როდესაც ცოცხლები ეკლესიაში ლიტურგიის დროს წმინდა ნატყუის წინ სანთლებსა და კანდილებს ანთებენ, ანდა გარდაცვლილთა სულების მისახსენებლად პანაშვიდებს იხდიან, მაშინ ეს ბნელი და საზარელი კელიები ნათდება. უფრო მოშორებით ჯოჯოხეთი დავინახე და შიშისაგან აგაკანკალდი. იგი სამ ნაწილად მოჩანდა: პირველი ნაწილის ალი მეწამული ცეცხლის ფერისა იყო, მეორის - ყვითელი ფერისა, მესამე კი თვალუწვენილი, მყრალ და უკუნ უფსკრულად მოჩანდა. პირველ ნაწილში სხვადასხვა სატანჯველში მყოფ ბევრ ჩემს ნაცნობს შევხვდი. ზოგი ცეცხლის ენებით ცეცხლოვან სკამზე იყო მიჯაჭვული, ზოგი იმავე ენებით ცეცხლოვან ბოძზე იყო მიბმული, ზოგი, უბრალოდ შეკრული, ცეცხლში იდგა. ისინი შიშვლები იყვნენ. მათი ხილვისას მწარედ ავტირდი. ისინი კი ყველანი ერთხმად მეპუდარებოდნენ, ამ საშინელ უბედურებაში მათთვის მეშველა. ისინი ევედრებოდნენ ყველას, მიწაზე დარჩენილებს, განსაკუთრებით - თავიანთ ნათესავებსა და შვილებს. ტირილით მეუბნებოდნენ, რომ საშინელ სამსჯავრომდე ღმერთი ყველაზე მეტად იწყნარებს შვილების ლოცვებს თავიანთი მშობლებისათვის და მშობლების ლოცვებს თავიანთი შვილებისათვის. საბრალონი ასე მოთქვამდნენ: „თქვენ, მიწაზე მცხოვრებთ, კიდევ შეგიძლიათ ჩვენი გამოსყიდვა მოხსენიებითა და მოწყობებით, მაგრამ თუ უფლის საშინელ სამსჯავრომდე არ გაიზრებით ჩვენს გამოსახვილად, მაშინ ჩვენ საუკუნო დაღუპვა გველის, ჩვენს ტანჯვას არ ექნება დასასრული. ახლა ყოველადწმიდა ღვთისმშობელი, ჩვენი ლოცვების მსწრაფლშემსენელი, ყველა ცოდვილთა შემწე, თავისი უდიდესი მოწყალებით ჯერ კიდევ გვშუამდგომლობს ღვთის წინაშე, განკითხვის დღის შემდეგ კი იგიც დაღუპდება.

ცოდვილთა ტანჯვის ადგილიდან ჩვენ ისევე მართალითა განსახსენებელ ადგილას გადავინაცვლეოთ. იმ ძვრფასი სასახლის შუაგულში მე დავინახე ამაღლებული ადგილი, სადაც ბრწყინვალე ტანტრეკანზე ენითაუწყრელ დიდებაში უფალი ჩვენი იესო ქრისტე იჯდა. მის მარჯვნივ ყოველადწმიდა ღვთისმშობელი იდგა და ყოველთა

მეუფეს ადამიანთათვის ცოდვების მიტევებას ევედრებოდა. სასახლის შესასვლელში კი ნათლითმემოსილი ანგელოზები იდგნენ. იქ მყოფი ხალხის დიდი ნაკადი უდიდესი მოწიწებით წყვილ-წყვილად მიემართებოდა უფლის ტახტრეკანსაკენ. წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ ნათელი კელიებიდან თეორ სამოსში გამოწყობილი მართლებიც, თავზე ენითოქმეული ბრწყინვალე გვირგვინებით. მე იქ ბევრი ნაცნობი ვნახე, მათ შორის - ჩემი ქმარიც. ის მომიანლოვდა, მანანა თავისი ნახევრად გაშავებული ხელი და მთხოვა, გამეწმინდა იგი. მე ვკითხე, თუ რას ნიშნავდა ეს. წმინდა დიდმოწამე თეოდორე სტრატელატმა მიხსნა: „მართალია, მიწაზე ის სათნოდ ცხოვრობდა, მაგრამ სიკვდილის წინ აღსარებითა და ზიარებით განწმინდა ვერ მოასწრო, შენ და შენს შვილებს შეგიძლიათ, დიქროს გული მოუღებოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელის მეცხებით.“

ყველა გარდაცვლილი ერთხმად მევედრებოდა, რომ ჩვენ, მიწაზე ცოცხლად დარჩენილებს, მათთვის გველოცა: „თქვენი ლოცვა ჩვენ გვეხმარება, ჩვენი ლოცვა კი - თქვენ“.

როდესაც მართალია ურიცხვი სული უფლის ტახტრეკანს გარს შემოიხვია, შიშით თვალი ვერ გავუსწორე უფლის დიდებას მისი ბრწყინვალეების გამო. ეს შუქი არ ჰგავდა მზის შუქს, იგი ძალიან მკვეთრი იყო და ჩემს მზერას მისი ატანა არ შეეძლო. ამ დროს მომესმა საოცარად მწყობრი გალობა, რომელმაც ჩემი სული ერთიანად დაატყბო. როდესაც ვკითხე, რა იყო ეს, წმიდა თეოდორემ მიხსნა: „მადლობდუ უფალს, რომ მან დინსი გაგხადა, მოგესმინა, როგორ განადიდებენ ანგელოზები მის ყოვლადწმიდა სახელს. რადგან ამჟამად მიწაზე პარაკლისებს იხდიან, აქაც ამ დროს აღიდებენ უფალს.“

მაგრამ შენ აქ ვერ დარჩები, დანიშნულ დრომდე მიწაზე უნდა დაბრუნდე. წადი უდაბნოში, იქ ნახავ ერთ ბერს, რომელიც გეტყვის, როგორ უნდა მოიქცე. წმიდა თეოდორეს ამ სიტყვების შემდეგ მე გამომეღვიძა“.

უცნობია, შეასრულა თუ არა ამ ქალმა წმ. თეოდორეს დარიგება; ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი ყოველთვის ღვთისმოსავად ცხოვრობდა, ქრისტიანული სიყვარულით მასხინდობდა მოგზაურთ, განსაკუთრებული გულმოდგინებით დადიოდა წმიდა თეოდორეს მონასტერში და მხურვალე რწმენით ლოცულობდა მისი ხატის წინაშე. ამ ხილვის შემდეგ მან მხოლოდ ექვსი კვირა იცოცხლა და თავისი მიწიერი ცხოვრება სინანულსა და სიმწვინდში ადასრულა.

ილოცე მიცვალებულთათვის, რათა იმათაც, ნეტარებაში მყოფებმა, ილოცონ შენთვის!

* მიცვალებული დაიტირე, მაგრამ ნუ იქნები უნუგეშო, იმის მსგავსად, ვისაც სასოება არა აქვს. გამოხატე შენი მწუხარება ახლობელთა დაკარგვის გამო, დაიტირე ისინი მღუდარე ცრემლით, მაგრამ ამავე დროს მანუგეშებელ უფალს მიმართე ლოცვით და თანდათან განმტკიცდები უფლის ყოვლადბრძნული და ყოვლადკურთხეული განგებისადმი ერთგულებაში, ძალიან ძალე დარდი შეგომსუბუქდება და ნუგეშს მიიღებ. „დღესა ჭირისა ჩემისასა დაღად-ვეყვ შენდამი, რამეთუ ისმინე ჩემი“ (ფსალ. 85,7) - ამბობს დავით მეფსალმუნე. ნეტარი იერონიმეს რჩევით, მორწმუნე ადამიანი ახლობელთა დაკარგვისას ასე უნდა ფიქრობდეს და ინუგეშებდეს თავს: „მოწყალე არს უფალი“ (ფს. 144, 8), შესაბამისად ყველაფერი, რასაც უფალი აკეთებს, ჩვენდა სასიკეთოდ კეთდება. ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, მე მას დავტირი, მაგრამ რადგან უფალს ასე ენება, მე ამ უბედურებას მოთმინებით ავიტან. ჩემმა ერთადერთმა ვაჟმა დამტოვა, ეს რა თქმა, უნდა დიდი უბედურებაა, მაგრამ ნუგეშიც არის, რადგან იმანვე წაიყვანა, ვინც მომცა“.

* გარდაცვლილთა ხვედრი, ისევე როგორც ცოცხალთა - უფლის ხელშია : „ვინა თუ ცხოველ ვართ, უფლისა ცხოველ ვართ, და ვინა თუ მოვსწყდებით, უფლისა მიერვე მოვსწყდებით“ (რომ. 14,8).

* გარდაცვლილი უნდა დაიტირო, მაგრამ ზომიერად, თითქოს შორეულ ქვეყანაში აცილებდე მას.

* გასაკვირი არ არის? როდესაც ქალიშვილს ათხოვებ, უბედურებად არ მიგაჩნია, თუ მის ქმარს შორეულ ქვეყანაში მიჰყავს იგი და იქ ბედნიერად ცხოვრობენ, რადგან განშორების სიმძიმეს გამსუბუქებს ცოდნა, მისი კეთილდღეობის შესახებ. აქ კი, როდესაც ადამიანს კი არა, თავად უფალს მიჰყავს თავისთან შენი ნათესავი, შენ გლოვობ და დრტვინავ! (წმ. იოანე ბქრობირი).

* იფიქრე არა იმაზე, რომ გარდაცვლილი შენთან აღარასდროს მობრუნდება, არამედ იმაზე, რომ ძალე შენც მასთან გადასახლდები.

* შენ ტირი იმის გამო, რომ მიცვალებულმა მიგატოვა, მაგრამ არ ფიქრობ იმათზე, ვინც მან იხოვა.

* ჩვენ სინარულით ვეკვებით ახალშობილს, მოუხედავად იმისა, რომ მშობიარე იტანჯება, ახალშობილი კი ტირის. ასევე ეკვებიან გარდაცვლილებს ზეცის მაცხოვრებლები, მოუხედავად იმისა, რომ ჩვენ ტირილით ვაცვილებთ მათ.

* მოციქულთა შესახებ ნათქვამია, რომ მათ თაყვანი სცეს ზეცად ამადლებულ თავიანთ დგთაებრივ მასწავლებელსა და უფალს, რომელიც მთელი სულითა და გულით უყვარდათ და „მოიქცეს იერუსალიმად სინარულითა დიდითა“ (ლუკ. 24, 52) - იმ იმედით, რომ კვლავ შეუერთდებოდნენ მას სიყვარულით, ხოლო სულით არ დაშორებულან მას ამადლების შემდგომაც კი. ასევე ჩვენც, ლოცვითა და ტირილით ჩვენი მიცვალებულების გაცვილების შემდეგ, სახლში იმ მანუგაშებელი იმედით უნდა დავბრუნდეთ, რომ კვლავ შევხვდებით მათ საყოველთაო აღდგომისას.

* სიყვარული დასტირის მიცვალებულებს, სულითა დიდებულ აღდგომაში რწმენამ კი უნდა შეაჩეროს ცრემლები

* რას წარმოადგენს მორწმუნესთვის კუბო, რომელშიც მიცვალებულის სხეულია მოთავსებული? - ვიწრო კარს, რომლითაც სულები სსეულს ტოვებენ და უმადლეს სამყაროში გადადიან, და რომლის ნაპრალებიდან მარადიული ცხოვრების სამოთხისკენი სინათლე ბუუტაგს ჩვენთვის.

* თუ კეთილი და საყვარელი ადამიანის დაკარგვის გამო სევდა ძალიან დაგამძიმებს, შენ თავს ასე უთხარი: „ხილი ჩვენი მოქალაქეობა ცათა შინა არს“ (ფილ. 3, 20).

* სულიერი სიყვარული იმათაც კი აერთიანებს, რომლებიც განცალკევებულნი არიან დროსა და სივრცეში.

* მიცვალებულისთვის არა ტირილი, არამედ ლოცვაა საჭირო.

* ილოცე ცოცხალთათვის, რათა მარადიული ცხოვრება მოიპოვონ და ილოცე მიცვალებულთათვის, რათა თავი დაადლონ მარადიულ სიკვდილს, ილოცე, მიცვალებულთათვის, რათა იმათაც, ნეტარებაში მყოფებმა, ილოცონ შენთვის.

წიგნიდან „სულიერი ყვაობისწილი“

ახლა მე თავისუფალი ვარ

1871 წელს ერთ-ერთ მოსკოვისშირა ეკლესიაში ჩემი დეიდი მძა, მამა ი.შ. დიაკონი გარდაიცვალა. ძალიან სამწუხარო იყო ჩემთვის მისი დაკარგვა. სევდა მასზე მხოლოდ ძილის დროსა და ლოცვისას მტოვებდა. მისთვის კი მთელი სულითა და გულით გლოცულობდი, რადგან გააზრებული მქონდა მისი სიკვდილისშირა აღსარების არასრულყოფილება. ეს აღსარება მან ქოლერის მტანჯველი კრუნჩხვის მდგომარეობაში აღმოთქვა. მალე იგი სიზმარში გამოიქცნადა, როგორც ცოცხალი. მე საზგერეებზე დაგუწყე საუბარი.

- შენ ალბათ ახლა საზგერეებს გადისარ, - ვეკითხები მე.

- დიახ, - მიპასუხა მან.

- მითხარი, როგორ გადისარ?

- ძალიან ძნელად - მიპასუხა მან, - ეშმაკებს, როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი ჩაწერილი ჰქონდათ, ვინ რაში უქცოდა, ფიქრებიც კი, რომლებიც ხანდახან უნებლიედ აღეგზნებოდა სულში და ჩავივლიდა ელვის სისწრაფით, რასაც ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდით, გვაგვიწყდებოდა და არ ვინახებდით. ეს უნებლიე და წამიერი ცოდვები მხილებულია საზგერეებში, რომლის დროსაც სულებს ასხენდებათ ისინი.

მან მიჩვენა არწა, კორდონის ზომის, საფოსტო ქაღალდების მკითხველზე რამდენადმე დიდი, რომელიც ერთი მხრიდან საგსე იყო წვრილად დაწერილი ცოდვებით, თითქოს შავი ხაშხაშითაა მოფენილი. აი, თქვა მან, ჩემზე ასეთი არწა თცდასუთი იყო, აქედან სიკვდილისშირა აღსარებით შვიდი აღგზოცე, თგრამეტი კი ისევე ჩემზე დარჩა.

შემდეგ ვკითხე მას, უშვებენ თუ არა გარდაცვლილებს მიწაზე მოსანახულებლად.

- უშვებენ. - მითხრა მან.

- მამის ხშირ-ხშირად მოდი ჩემთან, - ვუთხარი მე. მაგრამ იგი იმწამსვე გაუჩინარდა. ამ ჩვენების შემდეგ უფრო გავამდიერე ლოცვა, თუმცა ათი წლის განმავლობაში იგი ერთხელაც არ გამოიმცნადა. როდესაც უფალმა ღირსი გამხადა მღვდლობის მადლისა, უფრო გულმოდგინედ დაგვიწყე ლოცვა საყვარელი ძმის სულის შესაწყალებლად და აი, ჩემი მღვდლობის მესუთე წელიწადს იგი გამოიქცნადა ჩემი მრევლის ერთ-ერთ წევრ ქალს, რომელიც პატისონის ცხოვრებითა და მიცვალებულთა მიმართ განსაკუთრებული, გულმოდგინე ლოცვით გამოირჩეოდა.

ერთხელ, მოულოდნელად საგანგებოდ მითხვა, მასთან მიგსულიყავი. მან მკითხა, მყავდა თუ არა გარდაცვლილი ძმა სასულიერო ხარისში? „დიაკონი იყო“, - მივუგე მე. მან კი ისეთი სიცხადით აღწერა იგი,

თითქოს ცოცხლად ენახოს. მან შეძლევი მიაჩნო: „ამ დამით იგი გამოიმეცნა და მიიხრა: უთხარი ჩემს ძმას, რომ, ხუთი არზა უკვე გასწორებულია.

- ვინ არის თქვენი ძმა?
- აქაური მღვდელი.
- რომელ არზებზე მელაპარაკებით?
- მან იცის ეს, მხოლოდ უთხარით აუცილებლად!
- მაგრამ რატომ არ ეჩვენებით თავად მას?
- ვეჩვენები მაშინ, როცა ყველა არზა აღისრულდება, - მიპასუხა მან და გაქრა.

მე ვუამბე მას ჩემი ძმის პირველი გამოცხადების შესახებ და სწორედ მაშინ გაგიაზრე, რომ ეს ჩვენება უბრალო არ იყო, როგორც მანამდე ვფიქრობდი და დავიწყე ჩემი ძმის დანაპირების ლოდინი. მთლიანად მესუთე წელს ისევე ამ კეთილმოსაგი ქალისაგან შევიტყვე მისი მეორედ გამოცხადების შესახებ. იგი მოხვდა, განსაკუთრებით მელოცა მისთვის დიდ ხუთშაბათს: „ეს საჭიროა ჩემი ცოდვებისათვის“, - თქვა მან და ყოველ წელიწადს ეს დიდებული დღე, როცა უფალმა დაადგინა წმიდა ზიარება ცოდვათა განწმენდისათვის, მასსენებს მის თხოვნას, რომელიც ჩემთვის ყოველთვის წმიდა მცნებად დარჩება.

ჩემი მთლიანად თვითმკურნალობის (აღსანიშნავია, რომ ლოცვის წლების რიცხვი ემთხვევა მოუნანიებული ცოდვების არზების რიცხვს), ბოლოსდაბოლოს, იგი, როგორც დამპირდა, გამოიმეცნა სიზმარში, რათა ეცნობებინა ჩემთვის ცოდვისგან მისი საბოლოო განთავისუფლების შესახებ. ჩვენება ხანმოკლე იყო: მე თითქოს სავსე მაგიდასთან ვიჯექი, უცებ მესობელი თათარიდან შემოვიდა ჩემი გარდაცვლილი ძმა ანაფორაში, როგორც ცოცხალი, ჩამიარა და ცხადად თქვა: „ახლა მე თავისუფალი ვარ“, - და გაუჩინარდა.

„სულთსთვის საჭირო საკითხავი“. 1998.

ეს სანუგეშო წერილი ათონის მთიდან დედის გარდაცვალებით დამწუხრებულმა ქართველმა მოძღვარმა მიიღო

პატივცემულო მამა გიორგი! ამ წერილით გვსურს ის მწუხარება გამოვხატოთ, რომელიც დედათქვეყნის, ქეთევანის, გარდაცვალებითაა გამოწვეული და განუგეშოთ. მიუხედავად იმისა, რომ ხორციელად თქვენგან შორს ვართ, სულიერად, ჩვენი მდაბალი ლოცვებით, თქვენს გვერდით ვიმყოფებით. სრულიად გასაკებია, რომ დიდ მწუხარებას, ტკივილსა და მონატრებას განიცდიოთ, მაგრამ ამან არავითარ შემთხვევაში სასოწარკვეთილებასა და უიმედობაში არ უნდა ჩაგვადოთ.

იცოდეთ, რომ ახლობელ ადამიანებთან დროებით განშორებისას მწუხარებას იმედი უნდა დაუუბრისპიროთ. იმედი რწმენიდან ჩნდება. პავლე მოციქულიც რომ ამას ამბობს: „რამეთუ უკეთუ გურწამს, ვითარმედ იესუ მოკუდა და აღსდგა, ეგრეთა ღმერთიან შესვენებულნი იგი იესუს მიერ მოიყვანეს მის თანა“ (1 თეს. 4,13-14).

სამწუხაროდ, დღესდღეობით ქრისტე ღმერთის რწმენა თვით ქრისტიანებს შორისაც კი შესუსტებულია. მართალია, მრავალ ადამიანს სწამს ღმერთის არსებობის, მაგრამ არა აქვს მტკიცე რწმენა ქრისტეს ღვთაებრიობისა, მისი სიტყვებისა, მისი შემწეობისა. მოციქული იაკობი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ღმერთის არსებობის რწმენა საკმარისი არ არის, ვინაიდან უშედეგოა სწამით მისი არსებობისა და ძრწიან მის წინაშე: „შენ ვრწამს ვითარმედ ერთ არს ღმერთი, კეთილად იქმ, და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან“ (აკ. 2, 19). ჩვენ, როგორც მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანებს, უნდა გვწამდეს ღმერთის მცნებების, მივინდოთ მის მზრუნველობას. ამის დასტურად ქრისტემ გვითხრა, რომ უფალი ზრუნავს „მფრინველთათვის ცისათა და შროშანთათვის ველისათა, ხოლო თქვენნი თავისა თმანცა ყოველნი განრაცხილ არიან“ (მათ.10, 30). ეს არის რწმენის თეორია, რომელიც თანდათანობით უნდა გააძლიეროთ და თუ ადამიანი ამ თეორიულ რწმენას ფლობს, ის აღარაფერზე შფოთავს, აღარაფრის ეშინია, არასდროს ჩაგარდება სასოწარკვეთილებაში, არამედ მუდამ მშვიდი და მხიარულია, რადგან მის ცხოვრებაში რაც უნდა მოხდეს, იგი მუდამ ღვთის ნებასაა მინდობილი. ხოლო თუ ღმერთი ჩვენზე რაიმე მწუხარებას დაუშვებს, იცოდეთ, რომ მან

უწინარეს ჩვენსა და ჩვენზე უკეთ იცის, რა სარგებლობის მომტანია ეს განსაცდელი ჩვენთვის. ქრისტე რომ არ ყოფილიყო ცხოვრება, ჭეშმარიტება, სიბრძნე, სიხარული, სიყვარული, ნათელი, მაშინ მართლაც სასოწარკვეთილებას უნდა მივცემოდით და მწუნარებითა და შფოთით შევხვედროდით იმ განსაცდელს, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწყდებით. რადგან ქრისტე არა მხოლოდ ზემოთხსენებული სათნოებებია, არამედ ადამიანთათვის აურაცხელი მადლის მომნიჭებელიცაა, მაშინ რატომღა უნდა ვდრტვინავდეთ?

ღმრთისთვის ადამიანი არის არა მარტივი არსება, არამედ - განსაკუთრებული ქმნილება, რადგან მან იგი თავის ნატად და მსგავსად შექმნა; ამდენად ადამიანი სრულყოფილების საწყისის მატარებელია. ღმერთი, როგორც აბსოლუტური პიროვნება, ადამიანს მუდამ უყურებს როგორც პიროვნებას და პატივს სცემს როგორც პიროვნებას. ადამიანისთვის განკაცდა ღვთის სიტყვა, ადამიანისთვის მოეგლინა უძლებ და დაუმორჩილებელ ოუდეველთ, ასწავლა, სასწაულები მოახდინა, დაითმინა საშინელი ტანჯვა, დაცინვა, შეურაცხყოფა, ცემა და ბოლოს - ჯვარზე სიკვდილი. მაგრამ მოუხედავად ამ დამცირებისა, ისევ ადამიანისათვის, და რა თქმა უნდა, არა საკუთარი თავისთვის, აღდგა ქრისტე მკვდრეთით.

ქრისტე წუთისოფელს ხორციელად მოეგლინა, რათა ადამიანი ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობისაგან გამოეხსნა და გაეთავისუფლებინა. ქრისტეს აღდგომამ კაცობრიობას საღვთო ცხოვრება, მარადიული ცხოვრება, ჭეშმარიტი ცხოვრება მიანიჭა. მოციქული პავლე ამბობს: „უკეთო ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებაი ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებაი ევე თქუენი“ (I კორ. 15, 14), და აგრძელებს, რომ თუკი მხოლოდ ამა ცხოვრებისთვის გვწამს და ვსასობთ ქრისტეს, მაშინ საბრალონი და უგუნური ვყოფილვართ. ქრისტე ჭეშმარიტად აღსდგა და იქმნა „საწყისი წყარო მიძინებულთა ცხოვრებისა“. თავად ქრისტე, სიცოცხლე და აღდგომა, გვამცნობს, რომ „*შე ცხოველ ვარ და თქუენცა ცხოველ იყვნეთ*“ (იოანე, 14, 19).

ქრისტეს აღდგომით „სიკუდილი დაითრგუნა“. ადამიანი წარმოადგენს სულისა და ხორცის უწყვეტ ერთობას. სიკვდილით კი სულისა და ხორცის ეს ერთობა დროებით წყდება. სხეულისგან სულის განსვლა საიდუმლოა, რომლის არსიც მხოლოდ ღმრთისთვისაა საცნაური. თუმცაღა ამ დროს სული მაინც ინარჩუნებს თვითშემეცნებას. სულისა და სხეულის დროებითი განშორების შემდეგ, უფლის მეორედ მოსვლის ჟამს სხეულს ადამიანი კვლავ დაიბრუნებს „მარადიულობით, ძლიერებითა და დიდებით“. ის, რომ სულელები გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებენ სიცოცხლეს, კარგად ჩანს ჩვენს ცხოვრებაში მფარველი წმიდანების გამოცხადებებით, რომლებიც უხილავ ბრძოლაში გვეხმარებიან, გვაძლიერებენ და სხვადასხვა სხეულებათაგან გვეკურნავენ. განსაკუთრებულია თანამედროვე წმიდა მამების გამოცხადებები.

ნეტარი ბერის, პორფირი კავსოკალიგიელის (გარდ. 1991წ.) სულიერი შვილი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, როდესაც გარდაიცვალა მისი მოძღვარი. მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. ათენში დაბრუნებულმა რჩევა-დარიგებისათვის ბერს დაურეკა. ბერმა დააროგა სულიერი შვილი და უთხრა: „*ნუღარ დამირეკავ, რადგან მე მკვდარი ვარ*“.

ნეტარი ბერი იაკობ ცალიკისი (გარდ. 1991წ.) თავისი მიძინებიდან სამი წლის მანძილზე ჩნდებოდა ხოლმე ათენში კოალიციის მოედანზე და ადამიანთა შორის დადიოდა; ესაუბრა და დალოცა ორი ქალბატონი. იგივე ბერი თავისი მიძინებიდან შვიდი წლის თავზე გამოეცხადა ორ ახალგაზრდას და ასწავლიდა, თუ როგორ უნდა დაეწყოთ ქრისტიანული ცხოვრება.

გარდა გამოცხადებებისა, წმინდანთა სასწაულები იმის დამადასტურებელია, რომ წმინდანები არსებობენ, ისმენენ და იწყნარებენ ჩვენს ლოცვა-ვედრებას, გვეხმარებიან, რადგან აქვთ კადნიერება ღმრთის ტახტის წინაშე დგომისა და ეს დიდი მადლიც მისგან აქვთ ბოძებული.

მაშასადამე, ყველა მიცვალებულის სული აგრძელებს სიცოცხლეს და მეორედ მოსვლამდე შუალედურ მდგომარეობაში იმყოფება. ქრისტეში სათნომყოფელნი ნეტარებას გრძნობენ. ისინი ღმერთთან ახლოს არიან, მისგან სიყვარულითა და დიდებით იკვებებიან და სახიერი ღმერთი მათი

ცოდვილი ცხოვრების წარსულსაც შორს განაგდებს. ყოვლადმოწყალე ღმერთს, რომელსაც სურს „ყოველთა კაცთა ცხოვება“, ეკლესიის მლოცველთა მეშვეობით შეუძლია, დაეხმაროს ჯერ კიდევ აქამომდე ცოდვილებს, როგორც ამას ჩვენი ეკლესიის მამები გვასწავლიან. ამიტომაც იხსენებენ მათ, ატარებენ წირვებს, ლოცულობენ და ვასცემენ სამოწყალოს.

და უნდა იცოდეთ, რომ თქვენთვის ძვირფასი გარდაცვლილის სულისათვის საუკეთესო შესაწირი ქრისტეს სახარებისეული მცნებების შესაბამისად თქვენი სულიერი ცხოვრებაა. ნუ დაარღვევთ ეკლესიური ცხოვრების წესსა და რიტმს. მიიღეთ მონაწილეობა ეკლესიური ცხოვრების საიდუმლოებებში (აღსარება, წიარება). იბრძოლეთ, რათა დაიცვათ და შეინარჩუნოთ ღვთისგან მონიჭებული მადლი. მაშინ წყალობა, კურთხევა, სიხარული და ბრწყინვალეობა, რომელიც გარდამოვა თქვენი სულიერი ცხოვრების შესაბამისად, მოგიტანთ წარმატებას არა მარტო თქვენ და თქვენს გარშემომყოფთ, არამედ თქვენს მიცვალებულ ახლობლებსაც.

გაცნობებთ, რომ დედათქვენი ქეთევანის სახელს ყოველდღიურად ვიხსენიებთ წმიდა ლიტურგიისას და ვეკედრებით ღმერთს, რათა განუსვენოს ამ თქვენი ძვირფასი მიცვალებულის სულს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, იქ სადაც არ არის მწუხარება, ტანჯვა და იწროება, იქ, სადაც მეფობს და გაბატონებულია საუკუნო ცხოვრება.

ჩვენთვის მლოცველმა ღვთისმშობელმა, სოფლის ნუგეშისმცემელმა, გაგაძლიეროთ და განუგეშოთ ამ მწუხარებაში და ილოცეთ, რათა ყველანი ღვთის განცხადებისა და განდიდების ჟამს დაგემკვიდროთ ღვთის მარჯვნივ, სადაც ჩვენთვის საყვარელ და ნაცნობ კრებულთან ერთად „გამოუთქმელი და ენით აღუწერელი სიყვარულითა და სიხარულით“ ვეწიარებით უფლის დიდებულ ნატებას.

*წმიდა ვატოპედის დიდი მონასტრის
წინამძღვარი არქიმანდრიტი ეფრემი*

ნუ იგლოვებთ, როგორც ისინი, ვისაც ნუგეში არა აქვს!

- გერონდა, რატომ უშეგბს უფალი ამდენი ახალგაზრდის სიკვდილს?
- ჯერ არავის დაუდგია ხელშეკრულება უფალთან გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. უფალს თითოეული ადამიანი მიჰყავს მისი ცხოვრების ყველაზე უფრო შესაფერის დროს, მიჰყავს განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის მისაღები გზით ისე, რომ გადაარჩინოს ადამიანის სული. თუ უფალი ხედავს, რომ ეს ადამიანი უკეთესი განდება, ის ტოვებს მას მიწაზე. მაგრამ თუ ხედავს, რომ იგი უარესი განდება, მაშინ მიჰყავს იგი, რათა გადაარჩინოს მისი სული. ზოგიერთები, რომლებიც ცოდვილი ცხოვრებით ცხოვრობენ, მაგრამ კეთილგანწყობილი არიან სიკეთის გასაკეთებლად, უფალს მიჰყავს მანამდე, სანამ ისინი მოასწრებენ ამ სიკეთის გაკეთებას. უფალი ამას იმიტომ აკეთებს, რომ იცის, ეს ადამიანები ჩაიდენდნენ სიკეთეს, თუკი ამის საშუალება მიეცემოდათ. უფალი თითქოს ამით ეუბნება მათ: „ნუღარ გაირჯებით, ეს კეთილგანწყობაც საკმარისია“. ზოგიერთი, ძალიან კარგი ადამიანი უფალს იმიტომაც მიჰყავს, რომ სამოთხეს ყვავილის კოკორიც ესაჭიროება.

რა თქმა უნდა, გარდაცვლილი ბავშვის მშობლებისა და ახლობლებისათვის ეს ძნელი გასაგებია. შეხედეთ: როდესაც ჩვილი კვდება, უფალს იგი, როგორც პატარა ანგელოზი, თავისთან მიჰყავს, მშობლები კი ტირიან, თავს იკლავენ, იმის მაგივრად, რომ გაიხარონ. მათ ხომ არ იციან, როგორი ადამიანი დადგებოდა მათი შვილი, შეძლებდა თუ არა სულის გადარჩენას? როდესაც 1924 წელს ჩვენ მცირე აზიიდან გემით მივემგზავრებოდით, მე ჩვილი ვიყავი. გემზე უამრავი ლტოლვილი იყო. მე, საფენებში გახვეული, გემბანზე ვიწექი. ერთმა მეზღვაურმა შემთხვევით დამაბიჯა ფეხი. დედამ გადაწყვიტა, რომ მე მოგვეღი და ტირილი დაიწყო. მაშინ მართლაც რომ მოგვეღიაროდა,

ნამდვილად სამოთხეში მოგხვდებით, ახლა კი უკვე ამდენი წლისა ვარ, ამდენი ვიდგაწე და მაინც არ ვარ დარწმუნებული იმაში, მოგხვდები თუ არა სამოთხეში.

გარდა ამისა, შვილების სიკვდილი მათ მშობლებს ეხმარება. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ იმ წუთიდან, რაც მათ შვილი უკვდებათ, ისინი იძენენ მათთვის მლოცველს სამოთხეში. როდესაც მშობლები გარდაიცვლებიან, მათი შვილები სამოთხის კართან მივლენ მათ სულებთან შესახვედრად. ეს კი პატარა საქმე არ არის! გარდა ამისა, ავადმყოფობით დატანჯულ, დასახინრებულ ბავშვებს ქრისტე ეტყვის: „მოდით სამოთხეში და აირჩიეთ ყველაზე კარგი ადგილი“. ბავშვები კი ქრისტეს ასე უბასუხებენ: „აქ ძალიან კარგია, მაგრამ გვინდა, რომ ჩვენთან ერთად იყოს დედიკოც“, ამ თხოვნის მოსმენის შემდეგ, ქრისტე მონახავს გზას მათი დედის გადასარჩენად.

რა თქმა უნდა, დედები არ უნდა ჩაცვივდნენ მეორე უკიდურესობაში. ზოგიერთ დედას სწამს, რომ მისი გარდაცვლილი შვილი წმინდანად იქცა და ხიბლში ვარდება. ერთ-ერთ ასეთ დედას უნდოდა, თავისი გარდაცვლილი შვილის რაიმე ნივთი ჩემთვის მოეცა, რადგან სწამდა, რომ ის წმინდანად იქცა. „მაკურთხებთ, - მეთხა მან, - რომ ჩემი შვილის ნივთები ხალხს დავურიგო, როგორც სიწმინდეები?“ - „არა, - ვუთხარი მე, - სჯობს, ნუ იწამ ამას“. მეორე დედამ კი დიდ ხუთშაბათს შუა ტაძარში აღმართულ ჯვარცმას მიაკრა ფოტოსურათი თავისი შვილისა, რომელიც გერმანელებმა მოკლეს. ის ასე ამბობდა: „ჩემი შვილიც ისე ეწამა, როგორც ქრისტე.“

მგლოვიარეთა ნუგეში

- გერთნდა, რა დიდი ძალა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ უცარი სიკვდილის არ შეეშინდეს!
- თუ ადამიანი ჩასწვდება სიცოცხლის ღრმა აზრს, მაშინ ის პოულობს ძალებს სიკვდილისადმი სწორი განწყობისთვის, რადგან სიცოცხლის აზრის გაგების შემდეგ ის სულიერად უდგება სიკვდილს. იცით, რამდენი ახალგაზრდა იმტვრევა მოხუცებზე, რამდენი მოტოციკლებით ხვდება ავარიში? ბიჭები მოტოციკლს ცალ ბორბალზე აყენებენ და ამით იწონებენ თავს. ხედავ, რას ასწავლის მათ ეშმაკი, რათა ამოტრიალდნენ და თავები გაიტყონ? მაგრამ თუკი უფალი უშვებს, ეშმაკმა ბოროტება ჩაიდინოს, ან უშვებს იმას, რომ ვინმე უყურადღებოდ იყოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეშმაკის ბოროტებისგანაც და ადამიანთა უყურადღებობისგანაც რაღაც სიკეთე გამოვა.
- გერთნდა, მაშინ რატომ ღოცულობს ჩვენი ეკლესია უცარი სიკვდილისგან თავის დასაცავად?
- ეს სულ სხვა რამეა. ეკლესია ღმერთს ეკუთრება, სიკვდილს მოუშადებლები არ შეგხვდები.
- გერთნდა, ერთი დედა მოდის ჩვენთან, უნუგეშო გლოვაშია, რადგან თავისი შვილი საქმეზე გააგზავნა, მას კი გზად მანქანა დაეჯახა და ბავშვი დაიღუპა.
- შეეკითხე მას, განა მძლოლმა ძალით დააჯახა მანქანა, ან განა დედამ შვილი იმიტომ გააგზავნა, რომ მანქანას დაერტყა? არა. მაშასადამე, ადიდოს ღმერთი, რადგან ასე რომ არ მომხდარიყო, მისი შვილი ალბათ მრუდე გზას დაადგებოდა. ახლა კი უფალმა იგი თავისთან წაიყვანა, ყველაზე შესაფერის დროს. უთხარი მას, არ იტეროს, რადგან ტირილით თავის შვილს აწუხებს. ურჩევნია, სხვა შვილებზე იზრუნოს, რომლებიც ღმერთისგან დაშორებული ცხოვრობენ. მათზე უნდა იტიროს და არა იმაზე, ვინც უკვე ღმერთთანაა. აი, გუშინაც, აქ ერთი ატირებული დედა იყო მოსული. „ღმერთმა ერთადერთი ვაჟი წამართვა“, - ტირიდა იგი და ამაში ღმერთს ადანაშაულებდა. „თუ კარგად ჩაუფიქრებდი იმას, რაც დაგეპართა, მიხვდები, რომ ღმერთმა დიდი პატივი მოგაგო, - ვუთხარი მე, - მან წაიყვანა მონათლული ბავშვი, როგორც ანგელოზი და არ დაუშვა მისი ცოდვებითა და ვნებებით დამძიმება, ძალიან ძალე შენ იგრძნობ, რომ შენი გარდაცვლილი შვილი შენთვის ღოცულობს უფლისადმი“. შემდეგ ამ ქალმა თავისი ცხოვრების შესახებ მიაშბო. მან მითხრა, რომ ახალგაზრდობაში შექმლო ბევრი შვილი ჰყოლოდა, მაგრამ არ ისურვა.

იცით, რამდენი დედა ლოცულობს და ითხოვს, რომ მისი შვილი ღმერთთან ცხოვრობდეს?! „ღმერთო, მე არ ვიცი, შენ რას იზამ, - ამბობენ ეს ქალები, - მე მინდა, რომ ჩემი შვილი გადარჩეს, რომ იგი შენთან იყოს“. თუ ღმერთი ხედავს, რომ ბავშვი ასცდება სწორ გზას, რომ ის დაღუპვისკენ მიექანება და არ არსებობს მისი გადარჩენის სხვა გზა, მას მიჰყავს იგი უეცარი სიკვდილით. აი, მაგალითად, იგი უშეგებს, რომ მთვრალმა მძღოლმა ბავშვი გაიტანოს და ამ გზით მიჰყავს იგი თავისთან. უფალი არ დაუშვებდა ამ უბედურ შემთხვევას, ბავშვს რომ ჰქონოდა საშუალება უკეთესი გამხდარიყო ამ ცხოვრებაში. ხოლო მძღოლს, რომელმაც ბავშვი გაიტანა, მთელი დარჩენილი ცხოვრება სინდისის ქენჯნა აწუხებს და ღმერთს განუწყვეტლივ პატიებას სთხოვს. ამ გზით ისიც გადაიჩინეს სულს. დაღუპული ბავშვის დედა კი სულიერი ტკივილის ზეგავლენით იწყებს მოწესრიგებულ ცხოვრებას, ფიქრობს სიკვდილზე და ემზადება იმქვეყნიური ცხოვრებისთვის. ამგვარად ისიც ცნობდა. ხედავთ, როგორ ეხმარება უფალი ადამიანებს სულის გადარჩენაში? მაგრამ თუ დედებს ეს არ ესმით, ისინი იწყებენ ღმერთის დადანაშაულებას! რას აღარ ისმენს უფალი ჩვენგან!

თუ ადამიანი საკითხებს მიუდგება არა საერთო პოზიციიდან, მისი სული დამშვიდდება. რადგან თუ ადამიანს არ სწამს ღმერთის, არ სწამს ჭეშმარიტი, მარადიული სიცოცხლისა სიკვდილის შემდეგ, იგი ვერ მოიპოვებს ჭეშმარიტ ნუგეშს. მახსენდება ერთი ქვრივი, რომელიც ყოველდღე დადიოდა სასაფლაოზე და საათობით ხმამაღლა მოთქვამდა, საფლავის ქვას თავს ურტყამდა და ყვირილით გარშემო ყველას აფორიაქებდა! ქვრივი ძალით მიჰყავდათ საფლავიდან, იგი კი ისევე ბრუნდებოდა და ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე. ამ ქალის ქმარი გერმანელებმა მოკლეს, ქალიშვილი კი მამის გარდაცვალებიდან რამდენიმე წელიწადში, ცხრაშვილი წლის ასაკში, გულის ავადმყოფობით მოკვდა. ეს უბედური ქალი სულ მარტო დარჩა. თუკი ვინმე ამას ზედაპირულად შეხედავს, იტყვას: „რატომ დაუშვა ეს უფალმა?“ ქალიც ასე უდგებოდა საკუთარ უბედურებას და ამიტომაც ვერ მშვიდდებოდა. ერთხელ მე მივედი მასთან სასაფლაოზე და მან მითხრა: „რატომ მოაწყო უფალმა ყველაფერი ასე? ჯერ ქმარი თმში მომიკლეს, ერთადერთი ქალიშვილი მყავდა, ისიც უფალმა წაიყვანა...“ იგი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და ყველაფერში ღმერთის დადანაშაულებდა. ბოლოს მე ვუთხარი: „შენ ქმარს მე ვიცნობდი, ძალიან კარგი ადამიანი იყო. მან სამშობლოსთვის დადო თავი, დაიღუპა თავისი წმინდა მოვალეობის შესრულებისას. ღმერთი მას უსამართლოდ არ მოექცევა. ქმრის სიკვდილის შემდეგ ღმერთმა რამდენიმე წლით დაგიტოვა ქალიშვილი, თქვენ ერთად ცხოვრობდით და ის იყო შენი ნუგეში. მაგრამ შემდეგ, როდესაც უფალმა დაინახა, რომ გოგონა შეიძლება გზას აცდენოდა, წაიყვანა იგი და ამით მისი სული დაღუპვას გადაარჩინა“. თავად ეს ქალი თავის დროზე წუთისოფლის მოყვარული იყო. მე მას ვკითხე: „რაზე ფიქრობ ახლა, კიდევ გიყვარს წუთისოფელი?“ მან მიხასხუხა: „არავის და არაფრის ნახვა არ მსურს“. „ხედავ, - ვუთხარი მე, - წუთისოფელი შენთვისაც მოკვდა. ტკივილი გეხმარება და ამქვეყნიური აღარაფერი გაინტერესებს. ასე რომ, მალე სამივენი ერთად იქნებით სამოთხეში. გესმის, უფალმა რა პატივი დაგდო?“ ამ საუბრის შემდეგ, უბედურმა შეწყვიტა სასაფლაოზე სიარული. როგორც კი შეძლო სხვისი დახმარებით ცხოვრების დრმა აზრის გაგება, ქალი მაშინვე დამშვიდდა.

- *ვერონიკა, მე გამეგია, რომ თუ ადამიანი ძალადობრივი სიკვდილით კვდება, მისი ცოდვები მკვლელზე გადადის.*

- მოკლულ ადამიანს აქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება. მას შეუძლია უფალს უთხრას: „ამას რომ არ მოგეკალი, მე მოვინანიებდი ჩემს ცოდვებს“. ამრიგად მისი ცოდვების სიმძიმე მკვლელზე გადადის. მაგრამ ზოგიერთი, ვისაც არ ჰყოფნის საზრიანობა, ამბობს: „ღმერთი რომ ყოფილიყო, ის არ დაუშვებდა ამდენ დაანაშაულებს, ის დასჯიდა დამნაშავეებს“. ასეთ ადამიანებს არ ესმით, რომ უფალი დამნაშავეებს უხანგრძლივებს სიცოცხლეს იმისთვის, რომ განკითხვის დღეს ვერაფრით იმართლონ თავი, თუ რატომ არ მოინანიეს ცოდვები,

მიუხედავად იმისა, რომ მათ ამისთვის უფალმა წლები მისცა. ხოლო იმათ, ვისაც დამნაშავეები კლავენ, უფალი არ ტოვებს.

სიკვდილი რამდენიმე წლით განშორებაა

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ სინამდვილეში ადამიანი არ კვდება. სიკვდილი ეს უბრალოდ ერთი სიცოცხლიდან მეორეში გადასვლაა. ეს მცირე ხნით განშორებაა. მაგალითად, თუ ადამიანი ერთი წლით უცხოეთში მიემგზავრება, ახლობლებს აწუხებს ერთწლიანი განშორება, თუ ათი წლით მიემგზავრება, მაშინ განიცდიან ათი წლით განშორებას. ასევე უნდა უდგებოდნენ ადამიანები საყვარელ ადამიანებთან განშორებას სიკვდილის შემთხვევაში. თუ მოხუცებულ ადამიანს უკვდება ახლობელი, მან უნდა თქვას: „დაახლოებით თხუთმეტ წელიწადში ჩვენ ისევ შევხვდებით“. თუ ახლობელი ახალგაზრდას უკვდება, მან უნდა თქვას: „აღბათ თრმოცდაათ წელიწადში შევხვდებით“. რა თქმა უნდა, ახლობელი ადამიანის სიკვდილს ტკივილი მოაქვს, მაგრამ მას სარწმუნოებით უნდა მივუდგეთ, გახსოვთ, რას ამბობს პავლე მოციქული? ნუ იქნებით მგლოვიარენი, იმათ მსგავსად, ვისაც ნუგეში არა აქვს. ვთქვათ, რა სისწირით ვნახავდი ჩემს გარდაცვლილ ნათესავს, რომ არ მომეკვდარიყო? თვეში ერთხელ? მე კი უნდა ვიფიქრო იმაზე, რომ იქ, მარადიულ ცხოვრებაში მუდამ ერთად ვიქნებით. ჩვენი განცდები მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ გარდაცვლილი ცუდი ცხოვრებით ცხოვრობდა (არაქრისტიანულად). მაგალითად, თუ სასტიკი ადამიანი იყო, ჩვენ გვმართებს მისთვის ბევრი ლოცვა, თუკი ნამდვილად გვიყვარს და გვინდა იმქვეყნად მასთან შესხვედრა.

*იღუმენია ფილოთეას საუბარი ბერ პავსი ათონელთან
წიგნიდან „ოჯახური ცხოვრება“*

ქალბატონს, რომელიც კითხულობს,

თუ რატომ ისჯებიან შვილები მშობელთა ცოდვების გამო

თქვენ ნათესავი ქალის ბოროტ ხვედრზე მომწერეთ. ამბობთ, რომ მისი ტანჯვა აუტანელია. მისი ჩინოსანი ქმარი დაავადდა და საგიჟეთში გარდაიცვალა. ცოლსაც გადაეღო ქმრისგან ავადმყოფობა და ამჟამად ისიც სამკურნალო დაწესებულებაშია. თქვენ მას კეთილ და პატიოსან ქალად იცნობთ და გიკვირთ, როგორ შეეძლო ყოვლისმცოდნე ღმერთის ისეთი ქორწინება დაეშვა, სადაც უდანაშაულობა და ქველმისმოქმედება ასეთ სასტიკ წამებას განიცდის? თუ თქვენი ნათესავი მართლაც ქველმისმოქმედა, პატიოსანი და უდანაშაულოა, მაშინ მისი ტანჯვა, როგორც ჩანს, მისი ბირადი ცოდვით არ არის გამოწვეული. მიზეზი აღბათ მშობელთა ცოდვებში უნდა ვეძებოთ, რამეთუ ნათქვამია უწყნაქის შესახებ, რომ ის შამათა ცოდვის მომკითხავია „შვილითაგან და შვილიშვილითაგან მესამე და მეოთხე თაობაში“ (ვაძ. 34,7). ვიცო, რომ ამას ისევ უბახუხებთ, როგორც ხშირად სხვები პასუხობენ: რატომ იტანჯებიან შვილები მშობელთა ცოდვების გამო? ნება მიბოძეთ, მეც გკითხოთ: თუ უფალი ღმერთი მშობელთა ცოდვების გამო სასჯელს შვილებს არ მოუვლენდა, სხვაგვარად როგორ შეეშინებინა ადამიანები, რომ არ შეეცოდათ? ჩვენი ხალხი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ შვილები მშობელთა ცოდვებისათვის იტანჯებიან. ამიტომაც მათ, ვინც ცრუმორწმუნეობა ან რაიმე სხვა უმშავსო საქციელი ჩაიფიქრა, ხშირად გაფრთხილების მიზნით ეუბნებიან: „შეჩერდი, შენ ხომ შვილები გყავს!“ ეს სახარებისეული ჭკუმაღრტება სამოქალაქო კანონმდებლობაშიც აისახება, როცა მშობელთა დანაშაულის გამო შვილები ქონებას კარგავენ, კარგავენ მორალური თვალსაზრისითაც - კარგავენ რეპუტაციას და არა მარტო შვილები, ხშირად შვილიშვილები და შვილითაშვილებიც. ამას წინათ ჩვენთან ასეთი რამ მოხდა: მაგანმა რომ გაიფო, საცოლის მამა ნაცინარაო, ქორწინებაზე უარი განაცხადა.

თუმცა სასოს ნუ წარიკვეთთ. ყველაფერი ეს განა ბრმა ბედისწერაა. ყოვლადმოწყალე უფალს შვილების დასჯის შეწყვეტა შეუძლია, თუ მისი, ზეცური მამის წინაშე პატიებისათვის ლოცვა და გულწრფელი სინანული იქნება ნაჩვენები. წმინდა ფანურის დედა უზნეო ქალი იყო, მაგრამ მის შვილს დედის ცოდვებმა არ უწია, და არა მარტო არ უწია, წმინდანიც კი გახდა. ფანური, ესმოდა რა, რომ დედამისი ცოდვილია,

გამუდმებით ლოცულობდა მისთვის. თქვენც ილოცეთ თქვენი ნათესავისთვის. როცა ღმერთი გარდაცვლილებს ცოდვებს შეუნდობს, მაშინ მათი ცოდვები შთამომავლებს მძიმე უღლად ადარ დააწვება. სწორედ იმაშია მიცვალებულთათვის ლოცვის არსი, რომ უფალმა მათ ცოდვები მიუტყვოს და რომ შესაბამისად მათს შთამომავლებს სასჯელი ასცდეს.

მშვიდობა და წყალობა გქონდეთ უფლისაგან!

დედას, რომელმაც შვილის საფლავი გერ იბოგა

შენ მას ყველა სამხედრო სასაფლაოზე ეძებდი. ზღაბთორიდან კორფუსა და თესალონიკამდე იარე, კაიმაჩილანზე - კატის ქვაზეც კი ახვედი. მიცვალებულთა ველები არ გამოვითვლებია და თუკი სადმე ყურს მოჰკრავდი ჯარისკაცთა საფლავების ადგილსამყოფელის შესახებ, მათკენ მიიქჩაროდი. სთხოვდი, დაკრძალულთა სიები ამოეკითხათ და თავადაც კითხულობდი წარწერებს ჯვრებზე. არა და არ ჩანს შენი შვილი. ნუ მიეცემა სევდას, ძვირფასო დედავ, ძლიერი გლოვაც ცოდვია. მიწაც და ყოველივე, რაც მასზეა, უფალს ეკუთვნის. სახლის ზღურბლთან მიწას თუ შეეხები, ჩათვალე, რომ გაჟიშვილის საფლავის კიდეს შეეხე, ხოლო უფლის ყოვლისმხედველი თვალისთვის, რომელიც დედამიწას დაჰყურებს, მკვდრები არ არსებობენ. შენთვის დაფარული შვილი ღვთისთვის არ არის დაფარული. უფალმა თავად დაფარა იგი შენგან, რომ შენი გული დარდით გაეწმიდა და თავის მარადიულ სამფლობელოში შვილთან მოულოდნელი შეხვედრის სიხარულისთვის შეეშადებინა.

ბევრი დიდი და წმინდა ადამიანის საფლავი უცნობია. უცნობია წინასწარმეტყველ მოსეს, მოციქულთა და ქრისტესთვის წამებულთა საფლავები, საფლავები მეუღლებთან და მძარცველთა, მაგრამ მათი სახელები ლამაზი ასოებითაა კალენდარში ჩაწერილი. მათ ხსენებას განვადიდებთ, მათ სახელზე ტაძრებს ვაგებთ, მათდამი ვლოცულობთ, თუმცა მათი საფლავები არ ვიცით. ნუ წუნარ, რომ მრავალი წმინდანის მსგავსად შენი შვილის საფლავიც მხოლოდ უფლისთვისაა ცნობილი.

დებარაში ერთი დედა ცხოვრობს, რომლის გაჟიც შორეულ ქვეყანაშია დაკრძალული. უძღურებს გამო მან შვილის საფლავი გერ მონახულა და გადაწვეტა, რომ ყოველ შაბათს დებარის სამო სასაფლაოზე გასულიყო, სადაც ისეთი ჯარისკაცებიც იწვნენ, რომელთა დედებმა აქამდე მოღწევა გერ შეძლეს. იგი ამ საფლავებზე ხანთლებს ანთებს და ლოცულობს. მდგდელს სთხოვს, მათ ნაკურთხი წყალი ასწუროს და ჯვრებზე წარწერილი სახელები თავისი გაჟის - ათანასეს სახელთან ერთად მოიხსენიოს.

შეგიძლია, შენც ასე მოიქცე, რომ ტკივილი ჩაგიქრეს. მნიშვნელოვანია, საფლავზე მეტად შენი შვილის სულზე იფიქრო. მერწმუნე, მისი სული დედამიწის არც ერთ საფლავში არ არის, იგი შენთან უფრო ახლოსაა, ვიდრე საფლავთან.

იყო კიდევ ერთი დედა, რომელსაც შვილის საფლავის მონახულება სურდა, მაგრამ რადგან საფლავი შვილმა ბრძოლის ველზე პოვა, იქ არ გაუშვეს. სახლში უნუგეშოდ დაბრუნებულს ერთხელ ღვთის განგებით თთანში შვილი გამოეცნადა. წამოხტა დედა და წამოიძახა:

- სად ხარ, შვილო ჩემო?

- შენთან ერთად დავდიოდი და დავბრუნდი. და კიდევ სთხოვა, ტირილი შეეწვეტა, რადგან კარგად გრძნობდა თავს.

შენც არ იტრო, შვილის სულისთვის მოწყალების გაღება დაიწყე. გულის ნიადაგი საკმაოდ დაგიღტვია ცრემლებით და დროა, ნაყოფი აღმოცენდეს. ცრემლებიდან ამოზრდილი საუკეთესო ნერგები ლოცვა, მოწყალება და ღვთის განგებისადმი მორჩილებაა.

დაე, ლოცვა ჯვრის ერთ ფიცრად იქცეს, მოწყალება კი - მეორედ. მათგან შვილს ჯვარი შეუკარა. ლოცვა ზეცისკენ მისწრაფვის, მოწყალება კი სივანეზე განუფინება. ღვთის განგებისადმი მორჩილება ჯვრის ფიცრების შემაერთებელი ღურსმანი იყოს. ლოცვას მოწყალებისგან ნუ გაყოფ და ზეცის მადლმოსილი ნუგეში ისე მისწვდება შენს სულს, როგორც ცვარი მოწყურებულ ბაღასს. მშვიდობა და კურთხევა გქონდეს უფლისაგან!

ქვრივს, რომელიც ბევრს დარდობს და წუნს

გარდაცვლილ ქმარს გლოვობ, სწუნარ შვილების გამო. დეე და ღამე ტირი, შენს სულში სიბნელე და შფოთია, ბურუსი და გაურკვეველი მომავლის შეგრძნება. გამხნევდი, ნუ გეშინია, უთხარი შენს თავს: ჩემი ქმარი ჯერ ღმერთს ეკუთვნის და მერე მე, შვილებიც უბრველესად ღვთისანი არიან და შემდგომ ჩემნი. თუ გამოცდილი შებადე ღეროებს მარგლავს, იცოდე, რომ ეს აუცლებელია. მან უწყის თავისი ნამოქმედარის მიხეზები, რომელთა შორის მეზობელი ყვაფილების უკეთ განვითარება და ყვაფილობაცაა. ამიერიდან შენც შვილებთან ერთად სულიერ ზრდას და აყვავებას დაიწყებ. ფიქრები მიწიერიდან ზეციურისკენ ამაღლდებიან, სული უფრო მიეკრება უფალს, სული ხორცზე იხეიმებს. სიკვდილი შიშს აღარ მოგვგნოს. ადრინდელი შენი შფოთვა სასაცდლოდ მოგეჩვენება. ამა სოფელზე, როგორც ნამდვილი და მტკიცე ბედნიერების წიაღზე,

წარმოდგენა შეგუბვლება. შესაბამისად, დიდ სულიერ მოგებას მიიღებ. იცოდეთ, რომ უფალი მაშინაც აშენებს, როდესაც ანგრევს.

შვილებზე ნუ დარდობ. ყველაფერი გააკეთე, რაც შეგიძლია, დანარჩენში კი შემოქმედს მიანდე ისინი, რამეთუ დაწერილია: „*მოუტევე უფალსა ზრუნვაი შენი*“ (ფს. 54,23). და მხედები, რომ მსუბუქია შენი ჯვარი. ბევრი დაქვრივებული დედა შენზე უფრო მძიმე ჯვარს ატარებს. ერთ მეტად მძიმე ჯვარზე მოგითხოვ. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში გერმანელებმა ერთი ჩემი ნაცნობი საკუთარი სახლის წინ დრინის ნაპირზე მოკლეს. სახლი დაწვეს, ხოლო ცოლი ექვსი შვილით იმ ადგილებიდან გააგდეს. გავიდა თორმეტი წელი. ერთხელ სკოლაში მოულოდნელად ვიღაც რკინიგზელი მომიხლოვდა და წარმომიდგა, როგორც ჩემი დაღუპული ნაცნობის შვილი. ძლიერ ვამეხარა და შიშით ვკითხე, ცოცხალი თუ გადარჩა რომელიმე მსიანი. მან სინარულით მომიგო: „ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელები ვართ. მადლობა ღმერთს! თრი ჩვენგანი სანკლმწიფო სამსახურშია, თრი - ვაჭრობაში, უფროსი და გათხოვდა, უმცროსი კი დედასთან ცხოვრობს“. ამის შემდეგ მან ტკივილით გამანდო გადატანილი ტანჯვა და საშინელებანი: დრინიდან ბიტოლამდე ხეტიალი, შიმშილი, ავადმყოფობები, სიციფე, პატიმრობები, სადგურსა და გზისპირა დუქნებში გათენებული ღამეები, შიში და გაურკვევლობა უცხო მხარეში, მაგრამ დასასრულს - გამარჯვება და სინარული. გადარჩა პატივით, ცნობიერებაც, სიცოცხლეც და რწმენაც. კიდევ რა გითხრა? ვფიქრობ, ექვსი შვილიდან დარჩენილი ამ დედის ბრძოლა და გამარჯვება ნაპოლეონის ყველა გამარჯვებაზე უღამაზესი და უდიდებულესია.

უფალი შენც შეგაწვევა. ნუ დაიფიქვებ მას და არც ის მიგატოვებს. გამარჯვებ და ეს გამარჯვება უკუნისამდე უტკბილესი შეიქნება შენთვის.

მშვიდობა და კურთხევა გქონდეს უფლისაგან!

წმ. ნიკოლოზ სერბი (ველიმროვიჩი)

„ადამიანის დარდი მიცვალებულთათვის?“

- სრულიად ბუნებრივია, რადგან
სიცოცხლე ღმერთისგანაა...

ძვირფასო მისიელი!

თქვენ დამისვით სერიოზული სახარებისეული შეკითხვა, რომელიც ყოველი კუთხით მარადიულობისკენ მიისწრაფვის? მარადიულობა კი საშინელია უფლის გარეშე. ყველაფერს ადამიანურს აქვს სასრული და სიტყვიერი ახსნა - მხოლოდ ღმერთკაცში. უფალ იესო ქრისტეს გარეშე ყველაფერი ადამიანური აუცილებლად გადადის ქათში, საშინელებაში, სიკვდილში, ჯოჯონეთში; გონება - უგუნურებაში, გრძობა - უსასობაში, ნება - თვითგანლევაში საკუთარი თავის გაღმერთების ან შეძლების გზით.

„ადამიანის დარდი მიცვალებულთათვის?“ - სრულიად ბუნებრივია, რადგან სიცოცხლე ღმერთისგანაა, სიკვდილი კი ეშმაკისგან. ადამიანისათვის, რომელსაც აქვს ღმერთის მსგავსი ბუნება და რომელიც მას ურიცხვი გზებით იზიდავს ღმერთისაკენ, ღვთიური უკვდავებისა და მარადიულობისაკენ, სიკვდილი ყოველთვის და ყველგან „უკანასკნელი მტერია“. ამ მტრის განადგურება შეუძლო და მართლაც გაანადგურა ღმერთკაცმა ქრისტემ თავისი აღდგომით. და ამით ჩვენი ოდინდელი, თავდაპირველი დარდი აქცია სინარულად, რომელსაც ვერავინ წაგვართმევს: ვერც ადამიანთაგანი, ვერც ანგელოზთაგანი, ვერც ეშმაკთაგანი და ვერც თვითონ სატანა. ამ სინარულში ყოველი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს იგი, შეპყავს მხოლოდ მკვდრით აღდგომილი და მარად ცოცხალი ღმერთკაცის რწმენას.

ეს რწმენა ადამიანში ნერგავს გრძობას და გრძობით შეგნებას იმისას, რომ სიკვდილი მთელს ქვეყანაზე დამარცხებულა და ადამიანურ ბუნებას ელის მარადიული ცხოვრება უფალ იესო ქრისტესთან და მარადიული სინარული მასში. ამიტომ ქრისტიანები ისე არ გლოვობენ თავიანთ მიცვალებულებს, „როგორც სხვა დანარჩენები, რომელთაც იმედი არ გააჩნიათ“. ჩვენი გლოვა თანდათან გადადის, ლოცვით სევდაში და სინარულში: სევდა გვაპყრობს დროებითი განშორების გამო, სინარული კი - მარადიული სიცოცხლის გამო.

მკვდრით აღდგარი უფლისადმი რწმენა ანათებს ყოველივე ადამიანურს, ყოველივეს, გარდა ცოდვისა. ანათებს მის აზრებს, გრძობებს, გადაწყვეტილებებს, საქმეებს. და, რაც ყველაზე მთავარია, ანათებს მის გონებას, გულსა და ნებას. ასევე ნათდება და წმინდა ხდება ჩვენი დარდიც მიცვალებულთა გამო. წმიდა დარდი კი ლოცვით ცოცხლობს და სუნთქავს. ამიტომ საჭიროა მეტი, რაც შეიძლება მეტი ვილოცოთ აღდგომილი უფლისადმი!

უფლისადმი რწმენით ჩვენი ტირილი წმინდა ტირილად გადაიქცევა, ჩვენი ცრემლები - წმიდა ცრემლებად; „ნიჭი ცრემლისა“ კძლევათ მხოლოდ მხნე, ღვთისმოყვარე მოღვაწეებს. ისინი იმედით დასტირიან თავიანთ თავსაც და ყოველ არსებასაც, რადგან ცოცხლად გრძნობენ ცოდვის არსებობას ჩვენს ადამიანურ სამყაროში. მაგრამ მათ არ ეშინათ ცოდვის, რადგან ყოველთვის ამარცხებენ მას უცოდველის შეწევნით; არ ეშინათ სიკვდილის, რადგან ყოველთვის ამარცხებენ მას უკვდავის შეწევნით; არ ეშინათ ეშმაკის, რადგან ყოველთვის ამარცხებენ მას ღმერთის შეწევნით.

ქრისტე აღდგა! რამდენი სინარული მოუტანა მან ადამიანს! რამდენი სიკვდილი გათქვა! რამდენი დემონი დაამარცხა! ამიტომ მგლოვიარე ადამიანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა სიკვდილი ყოველი მხრიდან ესმის თავს, უნდა მიენდოს ერთადერთ ნუგეშისმცემელს, რომელმაც გვახარა: „*ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, ვრწმენის ღმერთისა და ვრწმენის ჩემდა მომართ*“ (იოან. 14,1) და ძალიან მალე ადამიანის გული იფსება საკუთარი უკვდავების გრძნობით და ღმერთკაცში და ღმერთკაცთან ერთად მარადიულობის შეგნებით. ადამიანი ღვთიური სიყვარულის მოციქულთან ერთად სინარულითა და აღფრთოვანებით ამბობს: „*ჩვენ უწყით, რამეთუ მივეცვალენით სიკუდილისაგან ცხორებად*“ (1 იოან. 3, 14).

ყველაფერი ყველაფერშია. არ არსებობს არც ერთი ჭკუშმარიტი ადამიანური საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ადამიანს შეეძლოს დამოუკიდებლად, ღმერთკაცის გარეშე, რადგან ადამიანი შექმნილია სწორედ იმისათვის, რომ გახდეს ღმერთკაცი.

ვისურვებთ უფლის მიერ ნუგეშსა და სინარულს.

თქვენი მამა იუსტინე

წიგნიდან „ღმერთკაცობრივ გზაზე“

დიონის იუსტინე პოპოვიჩი

უფალო, გარდაცვლილთაგან მიმაგალი გზა აკურთხე!

თავს გუებნება: შენს თავს შეხედე, ვითარცა მკვდარს და მაშინ სიკვდილის მოსვლას გეღარ შენიშნავ. სიკვდილის გესლი სიცოცხლეშივე მოაჩვენებ, რათა როდესაც მოვა, არა ჰქონდეს, რითაც მოგწყლავდა. შენს თავს ყოველ დღიას ისე შეხედე, როგორც ახლადშობილ სასწაულს და ვერ იგრძნობ სიბერის მოსვლას.

ნუ დაელოდები, რომ მოვა სიკვდილი. ნახე, აგერ უკვე მოსულა და განაბულა შენში და შენს სხეულს გამუდმებით ღრღინიან მისი კბილები. ის, რაც შენს დაბადებამდე ცოცხალი იყო და შენი სიკვდილის შემდეგაც დარჩება, ახლაც ცხოველ არს შენში.

ერთ ღამეს ანგელთაგან დროის გრავინილი გაშალა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა და მასზე გვერდოვებოდ მდებარე ორი წერტილი მაჩვენა:

- წერტილებს შორის მანძილი შენი სიცოცხლის ჟამია - თქვა მან.

- მაშ დალეულა ჩემი ჟამი! - წამოვიძახე - დროა, გზას ვაგუდვე. შრომისმოყვარე დასახლისს უნდა მივეშვავსო, მთელ დღეს სახლის დალაგებასა და ხვალისდელი დღეობისთვის საჩუქრების მზადებაში რომ ატარებს.

ჭკუშმარიტად, დღევანდელი დღე ძეთა კაცთათა მომაგალი დღის საზრუნავითაა საფსე, მაგრამ სიკვდილის შემდგომ არსებულზე მოფიქრალნი და შენი აღთქმისა რომ სწამთ, მცირედნი არიან; უფალო, დაე, უკანასკნელი ამოსუნთქვა ჩემი მარადიული ნეტარი ხვალისდელისა და არა ამა ჭკუყნისათვის თხვრა იყოს.

ჩემს მეგობართა ჩამწვარ სანთლებს შორის ჩემი სანთელიც ამთავრებს წვას. დარდით თავს ნუ იკლავ და მინავლული სანთელი შენი ნუ გებრალება. განა მეგობრები იძენნად მცირედ ვიყვარს, რომ გეშინია უკან გაჰყვე მათ, წასულებს? გული მინავლული სანთლის ვამთ კი ნუ გწყდება, არამედ იმაზე ვწყდებოდე, რომ ბუუტავს და ჩაქრობის შემდეგ ხრჩოლავს.

მიუჩვია ყოველ დღე და ღამე სული ჩემი სხეულის დატოვებასა და სამყაროს კიდებამდე ვართხმას და ასე ვართხმული გრძნობს, როგორ დაცურავენ მასზე მზე და ვარსკვლავები ჩემს

ტბაზე მონარნარე გედების დარად. ანათებს იგი მზესთან ერთად და ცხოველყოფს სიცოცხლეს დედამიწაზე. უბერია მთანი და ზღვები, მართავს ქარებსა და ქარიშხლებს, ჭკურეტს წარსულს, დღევანდელსა და ხვალისდელს და ღამის გასათევად დედამიწის სევდიან და დროვადასულ საფანეში ბრუნდება, უბრუნდება სხეულს, რომელსაც კიდევ მცირედში იტყვის თავისად და რომელიც ჩრდილივით ირხევა სასაფლაოთა ბორცვებს, ნადირთა ბუნაგებსა და გაცრუებული იმედების კენესას შორის.

სიკვდილს არ ვეძღურო, ღმერთო ცოცხალთ, რისთვის დავეძღურო? ადამიანმა თავად შექმნა მისგან საფრთხობელია. სიკვდილზე მეტად არაფერი მიბძვებს შენთან შესახვედრად, უფალო.

ჩემს სახლთან თხილის ბუჩქი იზრდება და სიკვდილმა წამართვა იგი. ვსაყვედურობდი და ვწყევლიდი სიკვდილს, ვუბნებოდი: რად არ წამიყვანე მე, გაუმაძღარო, რად წამიყვანე უცოდველი?

ახლა კი თავს ჩემი ბუჩქის მსგავსად მეკვდრად ვთვლი.

წმიდაო უკვდავო, წყალობით მოხედე მინავლულ სახთელს, ვანწმინდე მისი ალი, რამეთუ მხლოდ სუფთა ალი წვდება შენს პირს და აღწევს შენს თვალებში, რომლებითაც სამყაროს ჭკურეტ.

„ლოცვები ტბის პირას“, წმ. ნიკოლოზ სერბი

საშინელ სამსჯავრომდე ჯერ კიდევ არის დრო

საშინელ სამსჯავრომდე ჯერ კიდევ არის დრო ერთმანეთის იმქვეყნიური ხვედრის შეცვლისა. ყველა მიცვალებული, რომლისთვისაც შეიწირება უსისხლო მსხვერპლი, ცოდვების გახსნას იღებს და უკეთეს მდგომარეობაში გადადის. უსისხლო მსხვერპლშეწირვის შემდეგ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცოდვების გახსნისათვის მოწყალების გაღებაა. წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: „პატივი ეცი ქველმოქმედებით და მოწყალების გაღებით მიცვალებულის სულს, რომ მოიცალოს საუკუნო სატანჯველი“.

სიღარიბის ნუ შეგეშინდება, გახსოვდეს, ღარიბი ქვრივის წვლილი უფლის თვალში მდიდრულ შესაწირზე ძვირფასი იყო. ერთი მართალი ამბობდა: „როცა ეკლესიაში მიდინარ, ცოტა ფული გაქვს და ფიქრობ, სახთელი იყიდო, თუ სამოწყალო გაიღო, უმჯობესია, მათხოვარს მისცე, თვითონ კი ღმერთისთვის იყავი სანთელი: რწმენით აქნოე და ღვთიური სამყარო შენი სიყვარულით გაანათო.“

ამ უსაყვარლეს სულს შენ გიძღვნი უფალო!

ოველი კვერქის შემდეგ მდგელი მოუწოდებს ხალხს, მთლიანად მიენდონ უფალ იესო ქრისტეს. იგი აცხადებს: „თავი თვისი და ურთიერთას და ყოველი ცხოვრება ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შევედროთ“. ხალხი კი ამაზე პასუხობს: „შენ, უფალო!“

ეს ძალზედ მნიშვნელოვანი სიტყვებია. იგი ადამიანის ცხოვრების ყველა გარემოებას შეიძლება მივუსადაგოთ:

როცა ჯანმრთელი ხარ და საქმეშიც წარმატებული, მიმართე გული შენი ღმრთისაკენ და უთხარი: „გმადლობ, შენ, უფალო!“

როდესაც ადამიანები პატივს მოგაგებენ და გაქებენ, უთხარი შენს თავს: „მე ამას არ ვიმსახურებ, ეს მე არ მეკუთვნის, არამედ შენ, უფალო!“

როდესაც შეგიღებს სამუშაოზე, სკოლაში ან არმიაში ისტუმრებ, სახლის წღურბლზე აკურთხე ისინი და თქვი: „შენ განდობ მათ, უფალო!“

როდესაც ადამიანთა შორით, ან მეგობართა ღიაღობით იძლევი, სულით ნუ დაეცემი და მწუხარებას ნუ გაიწერებ გულში, არამედ თქვი: „ყველაფერ ამას შენ მსჯავრსა და განმართლებას ვანდობ, უფალო!“

როდესაც შენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის კუბოს გაჰყვები, მტკიცედ იარე! თითქოს საუკეთესო მეგობრისთვის ძღვენი მიგქონდეს და თქვი: „ამ უსაყვარლეს სულს შენ გიძღვნი, უფალო!“

როდესაც დემონური განსაცდელების შავი ღრუბლები – ტანჯვანი და სწულებანი შეგაფიწროებენ, გულს ნუ გაიტყვ, არამედ თქვი: „მეოხებისა და წყალობისათვის შენ მოგმართავ, უფალო!“

როდესაც სიკვდილის ანგელოზი დადგება შენს საწოლთან, ნუ შეშინდები: ის შენი მეგობარია, მაგრამ საწუთროსთან განშორებისას თქვი: „შენს ხელთ შეგვედრებ ჩემს გვეძულ სულს, უფალო!“

წმ. ნიკოლოზ სერბი